

თ. ილია ჭავჭავაძე

როგორც

ქართველთა პროტოპის მღალადებელი



ტფილი

Тип. М. Шарадзе и к°. Ник. 21. || სტ. 8. შარაშია ჭ. აშ. ნიკ. ქ. 21
1897



თ. ილია ჭავჭავაძე

როგორც

შაროვალის მრთობის ელექტროლი

→ წესი →

11034

გამოცემა

მიხეილ გამებილაძის

→ წესი →



ფ ვ ი მ ი ს ი

Тип. М. Шарадзе и К° Ник. ул. 21. | ს. გ. მ. ვარაძისა და ამს., ნიკ. ქ. 21.

1897

Дозволено цензурою, Тифлисъ, 5 Марта 1897 г.

თავ. იღის გრიმოლის ეს ჭავჭავაში.

„დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში;
რომ ხალხისა მოძმე ვიყო,
ჭმუნვაში და სიხარულში“.

I.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობის ისტორიაშ
თავის დამამშვენებლათ იპოვნა რამდენიმე ღირსეული გვამი
ქართველთა, და ერთი ამ ღირსეულთაგანი ბრძანდება ილია ჭავ-
ჭავაძე.

ილია ჭავჭავაძე არის პოეტ-ფილოსოფი, კრიტიკოსი,
სიტყვა-კაზმული მწერალი, მეცნიერი, და მასთანვე ევროპიუ-
ლის განვითარებით აღქურევილი ღრმა მოაზრე. იგი არის ჩვე-
ნი ფინანსისტი, ეკონომისტი, პუბლიცისტი, ხელოვანი მგო-
სანი: ვიქტორ ჰიუგო და ბაირონი. ქართველებისთვის იგი უფრო
ძვირფასი გვამია, რადგანაც ეს შესანიშნავი პირი სიტყვა კაზ-
მულის მწერლობით თითქმის განმარტოებული სტეს იალბუზის
მთაზე და იქიდამ თავის „აჩრდილით“ დიდის დიდებით ანათებს,
ქართველთ ცხოვრებას ცხოველის მყოფელის შუქით მოსახს;
ჩვენს გულს და სულს, ჩვენს მწერლობას წინ ლამპარევით მი-
უძლვის მისი ღირსეული შრომა.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრების შესახებ წერა ჩვენს მდგო-

მარეობაში მყოფ პირისთვის ძლიერ ძნელია რომ ყველაფერი დაიწეროს და გამოქვეყნდეს, რომ მის მეოხებით საზოგადოებამ და ნამეტურ ახალმა თაობამ სრული ცნობა იქონიოს აღწერილ პირის შესახებ, მაგრამ რას ვიზამთ, გარემოებას უნდა დავემოჩილოთ და სრული სურათის გაცნობა ამ პირისა მომავალს ისტორიულს დროს უნდა მივანდოთ. ვითხოვ ბოდიშს მასზე, რომ მე ამ წერილში უნდა ვიღაპარაკო სულ ჩემით, მე აქ სხევების შემოწმებას და დასაბუთებას არ გსაჭიროებ, რადგანაც ჩემი საუბრის კილო მკაცრათ იქნება მოცილებული იდიალურს თაღლითობას, იგი იქნება შედგენილი ნამდვილს ცნობებზე, ნამდვილს ცხოვრების მხარეებზე, დიდის გულის სიწმინდით, რომელსაც თან დაჰყევება მეტათ კეთილშობილური და კაცთ მოყვარეობითი სავსე მხარეებიც. მე გახლავართ მხოლოთ მომთხრობი ჩვენის სახელმოვანის პირებისა. მე ამათ შესახებ წერის დროს ვემორჩილები იდეალურს რიალიზმს.

აკაკი, ილ. ჭავჭავაძე, იაკ. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, ანტ. ფურცელაძე, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი და გ. წერეთელი — აი ჩვენი ქვა-კუთხედი, აი ჩვენი სვე და სიღიადე, ჩვენი სიამაყენი და სიმძლავრენი. ეს პირები მე ჩვენს ცხოვრებაში მწერლობის დამაარსებლად ვიწამე. მე ვსღვევარ მათს წინაშე და დიდის პატივის ცემით უმზერი, მერიდება, რომ ამ მოღვაწეების არა სასიამოვნოთ და არ შესაფერ მისაღებათ, საღმე რამე არა წამცდეს-რა, დიდათ ვეკრძალვი ამას, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მე, როგორც შვილი მათის მწერლობისა, ნაყოფი მათის ამავისა, არ შემრისხვენ, არამედ ყოველს ჩემს ნათქვამს, წმინდათა წმინდის უმანკოს გულიდამ აღმონაქვენათ მიიღებენ და მას ისეთ სამსჯავრო დალს მოუძლვენან, როგორიც მათგან ეკალრება. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ჩემი წერილები ასეთ დამოკიდებულებასთან მკაცრათ უნდა იღეს შორს.

ჩვენმა ამაგდარ მწერლებმა ეს არ გვასწავლეს, რომ ოდესაშე უადგილოთ და უკანონოთ შევეხოთ ისეთ პირებს, როგორიც ბრძანდება იღლია ჭავჭავაძე. როგორ, განა შეკაძლებელია

ამ პირის შესახებ ჩვენგან რამის თქმა და ისიც საყვედურებით და კიცხვით! ჩვენ ამის კრძალულება შესწავლილი, გვაქვს, ჩვენს კრძალულებას წმინდა ჭეშმარიტება ჰფლობს, მაღალი მა-მა-შვილური მხარეები და ის მიმოხვრანი და მსჯელობითი კი-ლონი, რომლის მოვალე ყოველი ქართველია; რომელ პირის პატივისცემაც ყოველს ქართველს გულში მტკიცეთ უნდა ჰქონ-დეს დამკვიდრებული, — და მაშასადამე ჩვენ რა უფლებითის მხა-რეებით უნდა ვისარგებლოთ იმ დროს, როცა ხსენებულ პი-რის შესახებ ჩვენს საუბარს მყაცრს კილოს მივცემთ, არა შე-საფერს და მასთან სავნოსაც, ხსენებულნი პირნიც რომ ჩვენ-გან არა პატივ-სადებ პირებათ იქმნენ ცნობილ-გამოაშარავე-ბულნი, მაშინ ჩვენ ამათ გარეშე სხვები ვიღა დაგვრჩება?

ამიტომ მკითხველისაგან მე ვითხოვ სულგრძელებას, ჰეშ-მარიტს შეხედულებას და საქმის რიგიანათ განსჭვრეტას, აქ თვითოვეული პირის ცხოვრების ცნობები დაფუძნებულია პირ-დაპირ იღებულ გვამის საზოგადო ცხოვრება და მოქმედებას-თან, მყაცრად შეფარდებული, აწონილ-დაწონილი და ისე მიძღვნილი. ხსენებულ პირების მოღვაწეობა და ცხოვრება არა-ვის ენა-მხეობითი მიმხრობას და ნაფიც ვექილობას არ საჭი-როებენ, ეს ვექილობა და მომხრეობა ისეთ პირებს დასჭირებათ, რომლებიც ხსენებულ პირების ცხოვრებას ეჭვის თვა-ლით შეხედვენ, ჩვენ საუბარს რამე ზე-გავლენას მიაწერენ, ამას ამ წერილის დამწერი არ საჭიროებს, მას არავისთან არა-ვითარი კავშირი და დამკიდებულება არა აქვს, იგი არის შვი-ლი თავის ქვეყნისა, მოღვაწე თავის ერისა და რაც მას უნა-ხავს, და შეუსწავლია ამ ამაგდარ პირთა ცხოვრებაში, იმას დღეს იგი საქვეყნოთ აღიარებს. მაშ ჩვენ აქედამ დავიწყებთ ჩვენის სამშობლო ქვეყნის. და ქართველთა დარღვეულის ერთობის მღალადებელის ილია ქავჭავაძეოთი.

შამთა ვითარებამ საქართველოს ერის საქმეები სხვაფერ წარმართა, შინაურმა და გარეულმა გარემოებამა და ცხოვრე-ბის პირაბებმა ქართველობას მიღულების ხანა წარმოუდგინა,

და ამ ხანამ ისე იმოქმედა ქართველობაზე, რომ ქართველს ხალხში მკაცრათ და ცხადათ აღმოიკვეთა სიფხიზლე, თვით-მცნობელობათ ტრფიალი, მამა-პაპათ ნაშთთა პატივისცემა, ძველ ქართველთ ბრძენთა და მეცნიერთ პირთა ცხოვრების გაცნობა, საგვარეულო სულიერების აღდგენა და მის მეო-ხებით ფეხზედ წამოყენება ქართველის ტომის და ნამეტურ ქართველთ მდაბილთ განკაცება და გამოქალაქებისა. საქართვე-ლობი შისწყდა ხმა ცხოველ-მყოფელობისა, ხმა მოძრაობისა და დადგა მის მაგიერ ხანა მცნობარობისა და უმოძრაობისა. ამ ხსენებულს წლებს რომ დააკვირდეს ქართველი კაცი და გაიცნას, იმას გული ათასნაირის ვარამით აღევსება და მასზე მწარე ცრემლებსაც დააფრქვევს.

ასეთ მხარეში და ასეთ დაძინებულს ერში დაიბადა ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძის თვალის გახილების დრო შეკავშარებუ-ლია და შეხორცებულია იმ ხანასთან, როცა საქართველოში ქართული მწერლობის დასაწყისი აღორძინდა, როცა ივ კუ-რესელიძეს „ცისკრის“ გამოცემა განახლდა. ამ უურნალის პირ-ველ წლის ნომრებშივე ვხედავთ ილია ჭავჭავაძის სახელს. ეს პირი ჩვენს მწერლობაში გამოვიდა საბავშო ლექსი „ჩიტი“-თ, რომელ ლექსიც თავის ისტატობით და წერის წესით, ძველ ქართველთ მელექსეთ ლექსების წერის წესით კი არ იყო ნა-წერი, არამედ მდაბიო, მარტივის ენით, მკაფიოთ გამოხატუ-ლი. ეს პირველი მაგალითი იყო თითქმის, რომ იმ დროის მელექსეთა შორის ვისმეს ასეთის კილოთი დაეწერა და ეთარგმ-ნა რამე ლექსი. ჩვენ არ ვიტყვით, რომ ასეთ ლექსების წე-რის წესი და რიგის აღორძინება მარტოთ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდეს. არა, ასევე დაიწყეს წერა მრავალ ქართველთა მგლსნებმა და მელექსეებმაც თავის დროს, მაგრამ ისე თავისუფ-ლად და საღარ კი არც ერთს მათგანს არ ჰქონია მომართუ-ლი თავის ლექსების წერის წესი და კილო, როგორც ილია ჭავჭავაძეს. ჩვენში ლექსები წინეთაც იწერათარგმნებოდა, მაგ-

რამ უმეტეს ნაწილს სულ ძველებურის ენთ და ძველებურის ბაიათურის კილოთი სწერდნენ და სთარგმნიდნენ.

ილია ჭავჭავაძე ვიღრე ლექსების წერას დაიწყებდა, მაგ ნამდისაც იყო შენიშნული, როგორც ფხიზელ გონების ყმაწვილი კაცი, როგორც დიდათ მოტრფიალე თავის სამშობლის ქვეყნის და მწერლობის, ამის მოქმედება და ცდა ყველას სანაქებოდ მიაჩნდა, რადგანაც მასში ხდავდნენ არა ჩვეულებრივ ქართველობის სიყვარულს, ნიჭის და ძალას, არა ჩვეულებრივ მოვლენას; იმ დროის ჩვენთა თავადის შეილებთა რიცხვზე ყველგან ილიკოს ქება განისმოდა, ყველა იმას ამბობდა, რომ ილიკო ჭავჭავაძე მეტათ ჭკვიანი კაცი გამოვაო, მეტათ შეიყვარებს საქართველოს, ქართველობას და ქართველთ ერის ცხოვრებასაც. ხალხისაგან შედგენილი ესეთი შაზრები არ იყო ჭეშმარიტებას მოკლებული. ილია ჭავჭავაძემ თავის ნორჩ გულში დიდი ადგილი დაუთმო საქართველოს სიყვარულს, მან თავის გული მამულის მოყვარეობის სიყვარულის გრძნობებით აკოკრა, ამით გააყვავილა. ღირსეულმა ძემ შეიყვარა თავის საყვარელი სამშობლო საქართველო, საქართველოს ტურფა ბუნებამაც მას მიანიჭა ზეშთაგონებითი ნიჭი, მაღალი გრძნობა, მამულის უზომო და უზადო სიყვარული, მისი გონება შემოსა უდიდესის სხივოსნობით, კაცთ-მოყვარეობით, ნაზის სიფაქიზით და ქეშმარიტებით იგი ისე აღაფრთოვანა, რომ დღესაც ილია ჭავჭავაძე ქართველთა ცხოვრებაში ერთ უპირველეს მამულის შეილათ ითვლება, იგი ამშვენებს ქართულ მწერლობის ისტორიის საქმეს. მას დიდი მნიშვნელობა, აქვს მითვისებული:

ვამბობთ აქ; რომ იგი უმაღლესად უნდა იყოს პატივი საცემი, რადგანაც მისი მამულის სიყვარული, მისი სპეტაკი უზადო მიმოხვრანი და ქართველური გრძნობანი ჩვენ დიდათ გვაკვირვებენ და გვაოცებენ; გვაოცებენ მით უფრო, რომ იმ უზანობის დროს, როდესაც ილია ჭავჭავაძის გვამში იგი ძალა აღფრთვენდა და გაიშალა, ნეტა, იმ გაშლის მიზეზათ რა გახ-

და, რომ აღაფრთოდანა ეს მაღალი გონების კაცი, მამულის მაღალი სიყვარულით აღსავსე შვილი. აქ ცხადი საქმეა და ეჭ-ვი არ უნდა, რომ თუ ბუნებას იგი დაუბადნია მაღალის გრძნო-ბით და ნიჭით, მაშასადამე აქ საკვირვლათ აღარაფერი უნდა დაშთეს ილია ჭავჭავაძის განსპეტაკების და განკაცების გამო, ბუნება და მისი მაღალი საიდუმლოება ერთ კაცს თუ მეორი-საგან არჩევს ნიჭით, ცოდნით და მეცნიერებით, იგი ამ პირს სხვაფრივაც აღამაღლებს და წინ-წასწევს. თავის თანამედროვე ერზე.

როცა ილია ჭავჭავაძე დაიბადა და თავისს სამშობლოს ასპარეზზე გამოვიდა, ამ ბნელსა და შავს დღეებს ისე კარგათ არავინ შეეხო, როგორც თვით ეს გამოჩენილი პირი, იმ დრო-ის ქართველობას ისე ვერავინ შეხედა ფხიზელის თვალით, რო-გორც მან და ამიტომაც წარმოსთქვა მწუხარებით:

„ნახამ ჩვენ ბედშაობას, ჩვენს ერთობას დარღვეულს, ჩვენსა წმიდარ გმირობას და მამულს დაობლებულს“.

ან კიდევ შემდეგი მხარე და საგანი ჩვენის ცხოვრებისა, რომელიც დიდათ საყურადღებოთ უნდა ჩაითვალოს ჩვენს მწერლობაში:

„ჩვენ ძუძუს ვწოვდით, რომ თქვენა ჰგმობდით ენას და ხალხსაც გარეთ და შინა!“

ზემოთაც ვსთქვით, და აქაც ვიტყვით, რომ ილია ჭავჭა-ვაძე პატივსაცემია მით უფრო, რადგანაც იგი თავის ღროის ქართველთ ცხოვრებაში; აკაის გარდა, მაღლა დასდგა თვის თანამედროვე ქართველებზე, მას ამ სიმაღლის ძალი შე-სწევდა, ეს სიღიადე სურდა, ამას ელტოდა და მიტომაც დად-გა იგი ქართველთ დაქვეითებულს ცხოვრებაში უმაღლეს წერ-ტილზე. ეს ჩვენ დიდ საქმეთ მიგვაჩნია, დიდს შნოთ და ძა-ლათ, რადგანაც იმ დროის ქართველთ ერის ცხოვრებაში იქ-ბოდნენ და იღიდებოდნენ ისეთი საქმეები და კაცები, რაც ქების მაგიერ უნდა ძაგებულიყვნენ და გმობილიყვნენ.

საქართველოს ყოველს კუთხეებზე გამართული იყო ქეი-

ფები, ლხინები, წვეულებანი, უზომო სმა-ჭამა, ქალებისა და კაცების ჭორიკანობა, ერთმანეთზე გადაკიდება, მაღალსა და დაბალს წოდებაში სრული უმეცრება არსებობდა, ერთმანერთის დაჩაგვრა, ერთისაგან მეორის დანთქმა, დიამბეგების სრული მეფობა, უბრალო მოხელეების სრული უფლება, მებატონების ნავარდი ყმებზე, გოგო-ბიჭების დაყიდვა თავისუფლათ და ხშირათ ოსმალეთშიაც გარევა, ყოველ ღამეს ორთაჭალაში ქეიფები, ზურნა, დიმპლიბიტო, ნაღარა. და ამისთანანი.

ჩვენს ერში ბევრი რამ იყო მაშინ დასაბადებელი, ბევრი რამ იყო საჭირო ასაღორძინებელი, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ იმ ღროის ქართველებს ღრმა ძილით ეძინათ, მათში დარღვეული იყო ერთობა, ერთობის სიყვარული, ერთობის თანაგრძობა, ერთობის პატივის-ცემა და განმტკიცება. აქ ყოველი ქართველი მარტოთ ჭამისთვის იყო გარდაჭცეული, ყოველი ქართველი აქ მარტო იმით იყო აღფრთოვანებული, რომ მას როდის, სად და როგორ ექვიფნა, სად რა ეჭამნა, რა ესვა, როგორ გაერ-გამოეარა ზურნით და დაირ დიმპლიბიტოთი. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ ჩვენის ბედოვლათობით ბევრი რამ დავკარგეთ, ბევრი რამ ყვავით უარი. ჩვენ ვერ ვისარგებლეთ მით, რითაც უნდა გვესარგებლნა, ჩვენით სხვებმა ისარგებლეს. ჩვენს ვერაგობას და უხეირობას კარზე მოსული ცხოვრების ცვლილებაც უწყობდა ხელს და აფართოვებდა, გარემოებას უფრო წინ მიჰყვანდა ჩვენი უბედურების ძალა, ანეთ ერის-თვის აღარაღორის ლტოლვა აღარ იყო, აქ მართალია მწერლობაც არსებობდა, მაგრამ ვაი იმ მწერლობას, ვაი იმ მწერლობის მიმართულებას და ღირსებას! მაშინდელ მწერლობას თითქმის ურყოფილი აქვს ქართველი ხალხი, ქართველთა წაკლულევანების შესახებ საყვედურითი შეჩვენებანი, დაცემულ ერის შესახებ ნატვრა და ამათი განკაცება. არსად სიტყვა, კრინტი და ჩამი-ჩუმიც არ მოიპოვება ამის შესახებ. მწერლობა თუ კი იყო, უნდა განვიმეოროთ, რომ იმან თითქმის უარი ჰყო ქართველი ხალხი, ამ ხალხის ფეხზე წამოყენება, ხალხათ ქცე-

ვა, მოქალაქური მიმართულების დაარსება და ქართველი ხალხის კაცად განკაცება. ამ უხეირობის მოვლენათა ძალასაც რა-საკვირველია თავის საკუთარი მიზეზები აქვს.

ასეთ დროს და ერს ილია ჭავჭავაძე წამლათ მოვლინა, იგი თავის გულით და სულით, თავის მამულის სიყვარულით გახდა ციდამ მოვლენილ მანანად, მოძღვრათ და პატრონათ, ამან თავის ახალგაზღობიდამვე დაიდო წინ დევიზათ:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემგზავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს“.

აგურ დაადგა ეს კაცურ გზას, აგურ დაიწყო სიცოცლეით სავსე მოქმედება და „ცისკარსაც“ დაიწყო გამშვენება. „ცისკარში“ ილია ჭავჭავაძის ნაწერებმა დაიკავა საპატიო ადგილი. ეს პირი „ცისკარს“, აშ ერთად-ერთს ქართულ გამოცემას ჯეროვან ყურადღებას აპყრობდა, თავიდამ ბოლომდის ფურცლამდა, აქ დაბეჭდილ ყოველ წერილს სიამოვნებით კითხულობდა, ყველაფერს დიდის სიბეჭითით ავლებდა თვალს. მაგალითებრ, „ცისკრის“ რედაქტორმა ივ. კერესელიძემაც მარწმუნა: „როცა „ცისკარში“ — მე „სალაყბოს“ ფურცლების ბეჭდვა დავიწყეო, მაშინ ამ წერილების ერთ გულ-მხურვალე მკითხველათ ილია ჭავჭავაძე აღმოსჩნდაო. იგი მაშინ პეტერბურგში იყოვო, უნივერსიტეტში სწავლობდა და მე წერილი გამომიგზავნა და ამ წერილების გამო დიდათ მაქოვო. წამახალისაო, რომ სწორეთ ეგრე დაიწყე ჩვენს იარებზე ლაპარაკი და წუხილიო“ მაშინ ეს ჩემთვის დიდი საქმე იყოვო, დიდი მოვლენა. სხვებისგან მე ამის შესახებ არაფერი მიმილია, ქება კი არა და ბევრნი მყვედრიდნენ კიდევ, რომ რა არის, ყოველთვის ქართული ენის და „ცისკრის“ გამო ეღრიტინები ხალხსაო. ეჭვი არ უნდა, რომ „სალაყბოს ფურცლებს“ ილია ჭავჭავაძე სწორეთ ასეთის თვალით შეხედავდა, რადგანაც „სალაყბოში“ დამწერი ხშირათ ბევრათ თუ ცოტათ, ავათ თუ კარგათ ქართველთა ვრდომილებას. ცხარე ცრემლით ას-

წერდა, ქართველთაგან ქართული ენის უპატრონობას დიდის მწერებით მოიხსენებდა.

ილია ჭავჭავაძის გული და სულიც ამისთვის უნდა ყოფილიყო აღფრთოვნებული და გაშლილი, ამ აღფრთოვანების-თვის მას ხომ პატარაობიდამვე უმზადდებოდა ცხოველი გრძნობები, ეს ჯერეთ სკოლის სკამზე იჯდა, გემნაზიაში, რომ ქართველობისთვის მწარეთ ნალვლიანობდა. გემნაზიის მოწაფეებში ამის მხრით იგი პირველი იყო, ამისი სიტყვა ამხანაგებში ყოველივე პატივით იქმნებოდა მოსმენილი. როგორც მიამდეს მის თანამედროვე პირებმა და მის მოწაფობის დროს გემნაზიაში ზედამხედველათ ყოფილმა: „ილია ჭავჭავაძე გემნაზიაში პირველ შეგირდათ ირიცხებოდა, პირველ ქართველ შვილათ, ყველას ნათლათ და ცხადათ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ილია ჭავჭავაძე ნამდვილი ქართველია, ნამდვილი მამულის შვილი, პატირიოტი“. გემნაზიის სწავლის დამთავრების შემდეგ ეს 1856 წ. პირირბორებულები წაიგიდა და უნივერსიტეტში შევიდა, როგორიც საქართველოში იყო, რა მამულის შვილობათაც იგი აქ აღიგზნა და აღფრთოვანდა, მას იგივე გაპყვა თანა. იგივე გრძნობები და მამულის შვილობა შეურყევლათ. დაუშთნენ გვამში და უცხოობაში ყოფნამ უფრო განასპეტაკეს, უფრო მაღალის გრძნობებით შემოსეს, ამიტომაც ბრძანებს იგი ერთს თავის ლექსში:

„უცხო თემის ყარიბ მთქმელსა, რად აღმიგზნე სიყვარული? ლამის, ტურფა, შენს ტრფობაში მე შთავწურო სრულად გული, ერთხელ მითხარ: „უხველ ქვეყნის ივერიის შობილი ხარ: მაღალ მთების ქარიშხალით, ელვით, ჰექით გაზრდილი ხარ!“

დასავლეთის ცივმა პაერმა უფრო გაამაგრეს მის გრძნობები, უფრო მაღალის ნიჭით აღამხედრეს, უძლიერესის იარალით შემოსეს, ეს უძლიერესი იარალი არის უმაღლესი სწავლა-განათლება და უმაღლეს სასწავლებელში ყოფნა. მყითხველი ამას ცხადათ დაინახავს თვით ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებიდამაც. ჩვენ არ ვიტყვით მარტო იმას, რომ ილია ჭავჭავა-

ძის გონებითი და ჰაზროვნებითი განვითარების და განსპეტა-
კების მხარეებზე გავლენა მარტოთ უნივერსიტეტის სწავლას
და კედლებს ჰქონოდეს, არა, ეს ასე არ არის. კლასიდამ-
კლასში გადასვლა და უნივერსიტეტის კედლები ყმაწვილ კაცს
არაფერს შესძენს, თუ თითონ ყმაწვილ კაცს არა აქვს ბუნე-
ბისაგან მიმაღლებული მაღალი გრძნობა, მაღალი ნიჭი და ის
სამკაულებითი მხარეები და თვისებანი, რაც ყოველს ნორჩ
ახალგაზღა გვამის გრძნობებს არ ასულდგმულებს და აცისკ-
როვნებს. უნდა ვსთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძეს ყველა ზემოთ
ნათქვამი ღირსებანი და სამკაულებითი მხარეები ღვთისაგან
ჰქონდა მინიჭებული, მაღალ ქვეყნის და მთების შვილის გუ-
ლი ბუნებას მაღალის ნიჭით და სამკაულებით აღევსო, ბუნე-
ბას დაელოცა მისი ზორს-მხედველობა, თვალის სინათლე,
გრძნობათა სინაზე, ჰაზრთა უმანკოება. ბუნებამვე დააყენა იგი
იალბუზის მწვერვალზე და იქიდამ გადმოამზერინა თავის სამ-
შობლო ქვეყნის ვრდომილებაზე, იქიდამ იგრძნო მან ქართველთ
სამშობლოს მშვენება და ღირსება, იქიდამ დაინახა მან საქართ-
ველოს ამწვანებული მთა-ბარნი და ამიტომაც დასძინა ზედ:

„ტყემ მოისხ, ფოთოლი, აგრე მერქალიც ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითაც სტირის,
აყვავებულო მდელო, აყვავებულა მთები,
მამულო საყარელო, შენ როსლა აყვადები?“

ამ სიტყვებს ჩვენმა თავობამ დიდი პატივი უნდა სცეს,
შესაფერის თავაზით უნდა მიიღოს, რადგანაც ეს სიტყვები
ილია ჭავჭავაძის გულიდამ ისეთ დროს არის აღმონაქშენი,
როცა ქართველებს უბრალო საკითხავი ანბანის წიგნიც არ
ჰქონდათ, როცა მთელს ქართველთ გლეხ-კაცობაში სულ 60
კაცს ვერ ნახავდით წიგნის მცოდნეთ; როცა ყოველს კუთ-
ხეს იგი სამწუხარო სამზერს წარმოადგენდა, მაგრამ იმ დრო-
საც იგი იყო მშვენიერებით სავსე, ტურფა სახილველი და
მტრისთვისაც კი სანატრი და შესაბრალისი, რომ ეს ძვირფა-
სი კუთხე, ეს ძვირფასი აკვანი ქართველთ მამულის-შვილებისა,

ეს დიდი და მასთანავე ძეელი კერა განათლებისა, ზუნების ძალის მეოხებითვე მობრუნებულიყო, შის მკერდს გაღვიებოდა სიცოცხლის აღმაგრძნობელი ალექსი და მის მეოხებით ხელ-ახლავ აყვავებულიყო ისე, როგორც ხშირად ბაღ შიაც უი აბ-ლათ მდგარი გაჩი აყვავდება ხოლმე.

მითხრას ვინმემ და ვკითხავ თუნდ პასუხათ, რომ ასე უარგათ, ასე ჩინებულათ და მწუხარეს გულით რომელი ქართველი შექნო ქართველთ ვრდომილებას? რომელმა დაღვარა პირველათ ქართველმა ღრმა ძილის შესახებ? ცრემლები, ვინ დააპკურა თავის ქვეყნის მაღალს მთებს ძვირფასი მარგალიტი ცრემლები?

ილია ჭავჭავაძის განკაცებას და განვითარებას რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს და სწავლას გარეშე, დიდათ დაეხმარა ის ხანა და მოღვაწე პირებიც, რომელთაც რუსნი „მესამოცე“ წლებს „უწილებენ, და რომელთა წინაშეც ჩვენ ქართველთა შვილებიც კი დიდის მოკრძალებით უნდა ვიქმნეთ, მიტომ რომ რამდენადაც იმ ღროის პირებს თავიანთ სამშობლოს და თანამემამულეთ შვილების განკაცებაზე და განსცემა-კებაზე მიუძლვით შრომა და ღვაწლი, იმაზე არა ნაკლები ჩვენზე ე. ი. ქართველებზე. ვინ აღზარდეს ჩვენი ეროვნის მღალადებელი ილია ჭავჭავაძე, მათ, ვინ აღზარდა სხვა ქართველნიც და კიდევ მათ. დასახელება რომ იყოს, განა ამით გათავდება საქმე, არა, მაშინ ჩვენ აქ ოცობით დავასახელებთ ისეთ ქართველთა, რომელნიც რუსეთის „მესამოცე წლების“ მწერლების გავლენის ქვეშ გაიზარდნენ, მათის ჰუმანიურის ნაწერებით იკვებებოდნენ, მათის მეცნიერებით ირაზმებოდნენ, მათგან დათესლის კაც-მოყვარებითის გრძნობებით იღსებოდნენ და ყველა საგანზე და კითხვაზე ნამდვილს, ნათელს ჰაზრს და შეხედულებას იძენდნენ.

როგორც რუსის ყმაწვილ-კაცობა იზრდებოდა ძვირფას მწერლებთა ნაწერების გავლენის ქვეშ, სწორეთ ასევე იზრდებოდნენ, ყველა ის ქართველ მოსწავლენც, რომელნიც გა-

შინ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ, და რომელთაც დაახლოვებული კავშირი ჰქონდათ იმ დროის რუსის მოწინავე ახალგაზღობასთანა.

ილია ჭავჭავაძეც ერთი ასეთ იმ დროის ახალგაზღა უმაშვილ ქართველთაგანი იყო და ზემოხსენებულისავე მწერლების და ნაწერების ქვეშ გაზრდილი და გაწვრთნილი, რომელმაც სხენებულ ძვირულ პირების ღვაწლ-დეპა კანონიერათ, რიგიანათ შეასრულა და დღესაც, ხანში შესული მოძღვარი, სდგას გზასა და კვალს გადუხვეველი. და მკაცრათ და პატიოსნათ იცავს ჭეშმარიტს და ჰუმანიურს ჰაზრებს, ამის მხრით ილია ჭავჭავაძე დიდი ღირსების შექონი პირია და შეუმცდარი, ამას ჩვენში მის თანამედროვე კი არა და ბევრი ახალგაზღათაგანიც კი ვერ შეედრება, რომელნიც ხშირათ აბდაუბდოსაც თამაშობენ, ხან ასე არიან, ხან ისე. ესენი დროის მორჩილნი არიან, დროის შვილნი. ილია ჭავჭავაძე კი ასეთ ჯურის პირებს არ ჰგავს და არც ჰგავნებია.

რუსეთში ყოფნის დროს ილია ჭავჭავაძე დიდათ შრომობდა, ერთთავად აქა-იქ სტუდენტების კრებაზე დადიოდა, ერთთავად სჯაში და ბაასში იყო სტუდენტებთან, ამას გარდა კითხულობდა დასავლეთ ევროპის მეცნიერთ თხზულებებს, სწავლობდა ზედ-მიწევნით მათ და სწავლობდა. თითქმის ყველა-მეცნიერებას. არ დარჩა რომელიმე ევროპის განათლებულ ერთა სამეცნიერო მწერლობა, რომ მას ამაების გაცნობა არ დაეწყო. ზედ-მიწევნით შეისწავლა პოლიტიკური ეკონომიკა, რაც მაშინ ერთობ აღძრული იყო რუსის უმაწვილ-კაცობაში, ნამეტურ კითხულობდა საფინანსო კითხვების შესახებ წერილებს, იურისპრუდენციის და ბუნების მეცნიერების, საზოგადო ისტორიას, ახალს ფილოსოფურ მწერლებთა შორის აღძრულს სამეცნიერო კამათს. ილია ჭავჭავაძე თავის ასეთ მეცადინეობის დროს ქართულს მწერლობასთანაც ახლოს იდგა და იგი გეგმას ადგენდა „კაცია ადამიანის“ და „გლოხის ნამბობის“ დასაწერათ,

რომელ კლასიკურ თხზულებანიც ჩვენს მწერლობაში გახდნენ
ილია ჭავჭავაძის სახელის განმაღილებლათ და ასამაღლებლათა.

ნათქვამია, რომ შორს მყოფ კაცს უფრო აღუფროთოვან-
დება ხოლმე თავის სატრუკოს ტრფიალებანიო. ასევე მოუვიდა
რუსეთში მყოფს ილია ჭავჭავაძეს, ამას იქ უფრო გაუცხოვლ-
და საქართველოს სიყვარული, იქ ყოფნის ღროს მან უფრო
ფხილათ დაიწყო ქართველებზე ღრტვინვა და ჰაზროვნება...
იგი მაღვე დარწმუნდა ასეთ კეშმარიტებაზე, რომ საქართვე-
ლოს ერის წინ-მსვლელობის საქმე დამოკიდებულია მის ანუ
ქართველთ მდაბითათ უმრავლესობის განსპეტაკებას და განვი-
თარებაზეო. მე ჩემის ცხოვრებით და პრიალა კალმით ამ უმ-
რავლესობის სამსახურს უნდა მივეცეო, ამათი მხველრი და სა-
მსახური გვიწვევს ჩვენა, ჩვენი სამოქმედო ასპარეზი ამ უმრავ-
ლესობის საქმისთვის არს შექმნილი და დაბადებულიო. ჩვენ
დღეის შემდეგ ის უნდა ვცადოთ, იჭ ერსა და წოდებას უნ-
და მივეკედლოთ, რომელთაც ჩვენი მამა-პაპები შორიდამ უმ-
ზერდნენ და ახლოს არ ეკარებოდნენო. ილია ჭავჭავაძემ რომ
თავის გულში მკაცრათ ჩაინერგა ქართველი ერის სიყვარული
და ნამეტურ იმ წოდების, რომელიც უფრო დაჩაგრული იყო
ჩვენის იორამ-იოთამებისაგან, ამას ცხადათ აჩენს მისგან დაწე-
რილი ლექსი „ხმა სამარილამ“, სადაც შესაფერათ და ღროის
საჭიროს დაცინვებითის კილოთი მორთო და შეამკო მდაბით
ერის მყვლეფავი დიამბეგი, რომლის სამართალი უსამართლო-
ბისაგან შესდგებოდა და რომელიც შეუბრალებლათ ანიავებდა
გლეხ-კაცობას.

რა იყო ჩვენში 1850 წლებში წინ-ჭასული, და უმრავ-
ლესობა ვისგან და რით იჩაგრებოდა? იჩაგრებოდნენ ურიგო
დიამბეგ და ბოქაულებისაგან, უსამართლო მოხელეებისაგან.
ერთი უბრალო მოხელე მაშინ შიშის ზარს ჰგვრიდა თვით მო-
წინავე კეთილშობილთ თავადთა, აზნაურთ, მოქალაქეთ და
გლეხებზე ხომ არაფერი ითქმის, ესენი სახსენებლათაც არ
ლირდნენ, ამათზე ლაპარაკიც არ ლირდა. ამათი ტანჯვა მაშინ


ლვთისაგან მიერ დაფუძნებულ და კურთხეულ წესებათ იყო
მიღებული, თვით საბრალო გლეხვაცობასაც ასევე სწამდა თა-
ვის ცხოვრების და მდგომარეობის შესახებ, მათ ისე სწამდათ,
რომ თითქოს ლმერთს იგინი სატანჯავათ გაეჩინა, მარტო მის-
თვის, რომ დატანჯულიყვნენ ბატონ-ყმობის მონობის ქვეშ,
თავადის, ღიამბეგის, ბოქაულის და შინაურის და გარეულის
მცარცვავებისაგან და იმავე დროს მის მოსაზრებაც არ უნდა
ჰქონოდათ, რომ ასეთი დიდ-პატარაობა არ შექვერის ისეთ
ერს, რომელიც ქრისტიანობის გულისთვის თავს სლებს და
იბრძვის მწარეთ. ესეთი მონების არსებობა წინააღმდეგია თვით
ქრისტიანობის მოძღვრების დედა-აზრებისთვის, მაშინ ასე იყო,
ასე იყო დაყენებული და ლვთისაგან მიმადლებული ნიჭირე-
ბა ჯერეთ ფრთებ-შეკვეცილი იყო, არსად ჩამი-ჩუმი გლეხების
პირად უფლების მოპოვების შესახებ არ დაძრულიყო. მაგრამ
რუსეთში აღიძრა კითხვა, გაჩნდნენ მწერლები, რომელნიც
ღრმად შეგნენ გლეხების ოყოფა-ცხოვრებას, ეს იყო სალა-
დებელი კილო რუსეთში და ესევე შემოიტანა ილია ჭავჭა-
ძემ საქართველოში. ჩვენის დაარსების ღროდგან დაწყობილი
ჯერ არ ქმნილიყო და მომხდარიყო მის მაგალითი, რომ რო-
მელიმე მგოსანს არამც თუ თავის ბრწყინვალე კალმით ეთქ-
ვას რამ ასეთ უსამართლოების შესახებ, არამედ საღმე პირა-
დათ თუნდ ერთი სიტყვა დაეძრა. ამ გაუზედავობის წინააღმ-
დებ წავიდა ნეტარ-ხსენებული დანიელ ჭონქაძე, ახალგაზდა
ქართველ-მოქალაქე, დიდი მამულის შეილი და ილია ჭავჭაძე.
ამათ დაჰგმეს არსებული წესები, რომლებიც ჩვენს ღარიბ
გლეხ-კაცობას დღეს უშერებდა, უწყალოთ ანიავებდა. აი
თვით სიტყვებიც:

„სამართალსა ფულით გსჭრიდი, გროშისათვის ძმას გავყიდდი“... და სხვანი.

ეს სიტყვები თავის ღროზეა გამოჭრილი და მიძღვნილ-
მიწყული. ასეთი ზედ შეკეცვით და ასე ლამაზათ ჩვენ მწერ-
ლებთაგან ბევრს არაფერი უთქვაშს ჩვენის ტომის უმაღლურე-
ბის გამო; თუმცა ღარიბთა ცხოვრების გამამწარებელთ ალ.

ჭავჭავაძე 1805 წ. შექმო დასთევა, რომ „გინც დარიბთა ცხოვ-
რებას ამწარებთ, მთელდეთ, რომ ერთხელ თქვენც მათ გაუთხა-
სწორდებითო, სამარადისფად მაგ შეებით არ დაშეებითა“. მე რომ
მკითხოთ, იმ დროს აღ. ჭავჭავაძისაგან ეს ლექსი უდროვო-
იყო, ამ ლექსს მაშინ არაფერი მნიშვნელობა ჰქონდა, იგი მა-
შინ არავის წაუკითხავს და დღესაც თითქმის უქმათ სძვეს, რად-
განაც იგი საარქეოლოგიო მოსაგონრათ გარდიქცა; თავის
დროს იგი გაუგებრათ დაშთა ქართველთათვის. ილია ჭავჭავა-
ძის ლექსმა კი უსამართლოების შესახებ თავისი მნიშვნელობა
იქონია, თავის კვალიათ ქართველ ხალხს სარგებლობაც მოუ-
ტანა. ილია ჭავჭავაძეს აღრიდგანვე დაენერგა გვამში ის ღვთი-
საგან მიმაღლებული ნიჭი, რაის მეოხებითაც იგი კარგათ მიხვ-
და, თუ ქართველებში როდის რა უნდა დაეწერა, რას უნდა:
შეპებოდა, რა კითხვები უნდა აღეძრა საზოგადოებაში. ბა-
ტონ-ყმობის წინეთ იგი მუსრავს იმას, რასაც ხალხში ფესვი-
ჰქოდა გამაგრებული და ხალხსაც მუსრავდა. განვლო დრომ,
დადგა გლეხ-კაცობის განთავისუფლების ხანა და ამან ამ კითხ-
ვებს მიმართა, ამ კითხვებს მოუჯდა გარს და დაიწყო ნატვრა,
წავიდა ის ხანაც, მოხდა დიდი ცვლილება, დაარსდა სხვა დრო,
სხვა ხალხის ცხოვრების წეს-წყობილება და ილია ჭავჭავაძეც
სხვაფერ აღმოჩნდა, სხვა მიმართულებით და სიტყვა კაზმულის-
მწერლობით. ვიტყვი მოკლეთ, რომ ასეთი მწერლებისთვის,
მარტო სიტყვა კაზმული მწერლობის ნიჭი არ კმარა, მარტო
წერა და სამშობლოზე გოდება და ტირილი. აქ მწერლისთვის
და ისიც ისეთი დახელოვნებული მწერლისთვის, როგორიც
ილია ჭავჭავაძეა, დიდი ნიჭია საჭირო, საჭმის ულრმესად და-
კვირვება, განსჭვრეტა და ისე მოქმედება. ჩვენ ისევ პირველ
საგანზე შივიდეთ და ვსთქვათ ის, თუ ამ მოლვა ჭავჭავაძეს
მწერლობაში ქართველ საერთო — საჭიროა საჭმელ რაზაა, რაზაა,
რას მიაქცია ყურადღება.

ეს საჭირო მხარე, ეს მიუკილ ბეჭდი რაზაა ჭიშიდგი



ბოძი ჩვენის ეროვნებისა — არის ქართული ენა, ქართული მწერლობა, მარტივის ენით ქართულს ენაზე წერა, მწერლობის და ახლოვება ერის ცხოვრებასთან და მით საერთო ლტოლვილების აღფრთოვანება. ვინც კი მა შინდელს მწერლობას და ქართველ მწერლებს გაიცნობს, ის ცხადათ შენიშნავს შემდეგს: ქართული მწერლობის გაჩალება უბრალო იქმნება, თუ ქართული ენა არ გამარტივდა. თუ წიგნები დაიწერება, დაიბეჭდება და ამისას ერი კი ვერაფერს გაიგებს, მაშინ რა საჭიროა და რის მაქნისი ჩვენთვის ქართული მწერლობაო, ამიტომ, ბატონებო, უპირველესად ქართული ენა უნდა შემუშავდეს. „ცისკრის“ თანამშრომლებმა ამ ნაკლს უნდა მიაქციონ ყურადღება, მათ ეს საქმე უნდა წაიმძღვარონ წინ და ააღორძინონო. ამ აზრით გამოვიდა ილია ჭავჭავაძე „ცისკარში“ და დაიწყო ქადაგება, მაგრამ ეს ქადაგება ზოგიერთ იმ დროის ხნიერ მწერლებს სასტიკათ ეწყინათ, ილია ჭავჭავაძეს ენის ლალატი და ქართული ანბანის გარყვნა დასწამეს.

ამაზე დიდი ბჭობა ატყდა, დიდი კამათი, დიდი პოლემიკა; მაგრამ უკანასკნელ იმან გაიტანა ოავისი, რაც უფრო ჭიშმარიტებით იყო სავსე, მან გაიმარჯვა, — ეს ვამარჯვება დარჩა. ილია ჭავჭავაძეს. ეს ბევრს ეწყინათ, ბევრნი აღმხედრდნენ ამის შესახებ და დაიწყეს გოლება, რომ ილია ჭავჭავაძე ქართული ენის დასაცემათ მობრძანდათ.

სწორეთ ამან გამოიწვია „ცისკრის“ მკაცრი პოლემიკა. სწორეთ ეს გახდა მის მიზეზი, რომ გრიგოლ ორბელიანშაც კი თამამათ სთქვა:

„თქვენ უსწავლელნო, ცრუ რუსთაველნო,
რათ წაგვიპილწეთ ენა მდიდარი,
ენა მაღალი, მის სიღრმე-ძალი
წახდა თქვენს ხელში უწმინდურთ ჯიჯნით.
მტერობა ენის არს მტერობა ქვეყნის,
ჩირქი რათ წასცეთ ტაძარსა წმიდას.“

ვაი საბრალოს, ჩვენს საქართველოს,
თქვენ დაებადეთ მას საღილებლათ". და სხვანი.

ილია ჭავჭავაძე წინააღმდეგ წასულა ძველის ენით წერა-
ზე, ქართული ანბანის ზოგიერთ ასოების ხმარებაზე, რომ ესაჭ-
და-ეს ასოები საჭირო აღარ არისო, რადგანაც მის მაგივრობ-
ბას მეორე ასოები ასრულებენო.

ამას გარდა ამან და დავით ყიფიანმა (†) თბილისში პანსიო-
ნიც გახსნეს. აქ საკიუხი და საგმობი არაფერი იყო, მაგრამ
ტკბილთა და ჩვილთა მოხუცებულთა მამებმა იწყინეს ის რჩე-
ვა, რომ მწერლობა უნდა საერო, კარგის ენით იწერებოდეს
და არა მაგარის გაუგებარის სიტყვებითაო, რომლის მსგავსი
მწერლებით სავსე იყო საქართველო; ყოველთვის ასეთის ნა-
წერებით ივსებოდა „ცისკრის“ ნომრები: სწორეთ ასეთივე
ცოდნა დაამტკიცა ქართული ენის მცოდნე გრიგოლ ორბე-
ლიანმა, როცა მან გ. წერეთლისაგან დაწერილ და „კრებულ-
ში“ დაბეჭდილ „მგზავრის წერილები“ გაარჩია 1874 წლის
„ცისკარში“. სამწუხაროთ, აღმოსჩნდა, რომ ჩვენს პოეტებს
ქართული ენა მარტოთ ლექსების წერის საშუალებით სცოდ-
ნიათ და არა პროზაიკულის წერით. ლექსების წერით ქართუ-
ლი ენა თვით ჩვენ მთიელ სახალხო მელექსეებს და მესაზანდ-
რებსაც ეხერხებათ. ლექსებს სწერენ ისეთი ბიჭებიც კი, რო-
მელთაც ანბანიც არ იციან. ილია ძავჭავაძე კი ამით მაღლა
იდგა მათზე, მათში ამის ცალი არავინ იყო, ამისმა კალამმა
უფრო დიდი ზე-გავლენა იქონია იმ დროის ქართველობაზე,
ვიდრე მთელმა ძველ თაობის მწერალთ გუნდმა.

ილია ჭავჭავაძემ სცნა საქმის სიძნელე, ხსენებულ პირებ-
თან დაახლოვება და კავშირი, ამიტომ ამან განიძრახა განმარ-
ტოება, თავის გარშემო არადენიმე მხურვალეე ქართველ მო-
ლვაწეების შეკრება, შრომა და მეცადინეობა შასზე, რომ
ოდესმე იქმნება ჩვენ ჩვენი უურნალი დავაარსოთო, სადაც
ჩვენ ჩვენის კილოთი თავისუფლათ შევიძლოთ საუბარიო, თოვ-
რემ „ცისკარში“ სულ კამათობას უნდებით და საეროთ კი ან-

ბანიც არა ვრცელდებაო. ეს მიეცა საურნალო საქმის გაცნობას, წერილების წერას და სამზადისს, ერთი წლის განმავლობაში კარგათ მოემზადა სამწერლო საქმეებში, მალე მთავრობას თხოვნა მისცა და ნება რთვა ითხოვა თვიურ ურნალის „საქართველოს მოამბის“ გამოცემისა. ნება-რთვა მალე მიიღო და 1863 წ. ურნალის გამოცემაც დაიწყო, რომელ ურნალის გამოცემის დაარსებითაც იწყება მეტათ შესამჩნევი ხანა ჩვენს მწერლობაში, რომლის მსგავსიც ჩვენის ტომის დაარსებილამ იმ დრომდის არა გაკეთებულა-რა. ამ ურნალის დაარსება რამდენადაც ილია ჭავჭავაძის ნიჭის გამოსაჩენათ და საპატიოთ ჩაითვალა, იმდენათვე ჩვენის მწერლობის აღსაფრთხოებლათ და გასამდიდრებლადაც.

აქ პატარა უნდა შევიცადოთ, შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ განა ის დრო რა დრო იყო, ან ქართული მწერლობაო, რომ ილია ჭავჭავაძემ „ცისკრილამ“ განსვლა ინდო-მა და ცალკე ურნალის გამოცემაო? ამაში ილია ჭავჭავაძეს ვერავინ გაამტყუნებს, იმ დროს უამისობა იმისგან შეუძლებული იქმნებოდა, რადგანაც მაშინდელი „ცისკრის“ მოღვაწეები ისეთი პირები და გმირები იყვნენ, რომელთანაც ილია ჭავჭავაძეს მოღვაწეობა არადროს არ შეიძლებოდა. თუნდ გარემოების წინააღმდეგ რომ არ წასულიყო და „ცისკართან“ არ მოესპონ კავშირი, მაშინ ხსნებულნი მარები ატყდებოდნენ და ერთი ომი და ოდიგარი მოხდებოდა. ამას ეჭიგი არ უნდა. ყველა ის წერილები, რაც კი ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდა, თავის დღეში ვერ ნახავდნენ „ცისკარში“ აღვილს და გინდ ენახათ კიდც, იგი მეორეს მხრით შეურაცხოფაც უნდა ყოფილიყო, რომ იმ ურნალში დაბეჭდილიყო ბელინსკის, პრუდონის, ლობროლივბოვის და თუნდ ბასტიას სტატია, სადაც ახალგაზდა მხედრებს ლექსათ თავის დადებას ასწავლიდნენ და ბელინსკის „სნეულს, ზაფრა-აშლილს ეძახენ“ („ცისკარი“ 1860 წ.).

ილია ჭავჭავაძის „ცისკრილამ“ განდგომა მე ერთობ სა-

ფუძლიანათ მიმაჩნია. ეს საჭირო იყო ასე, რადგან აც „კისკარში“ დაშთა ისეთი ნიჭიერი მგლისანი, როგორიც აკაკი, და ცნობილი პუბლიცისტი ანტონ ფურცელაძე.

ილია ჭავჭავაძე, როგორც მხერვალე გრძნობებით სავსე შეილი თავის სამშობლო ქვეყნისა, იგი საქართველოს ერის ცხოვრების საქმეს მხარ-და-მხარ მისდევდა, იგი ისე მოღვაწეობდა, როგორც დრო და გარემოება ითხოვდა, ეს დღეს არ იტყოდა იმას, რაც ზეგ იყო საჭირო.

დიამბეგების ხანა სამარეს ეძლეოდა, რგინი გმობას მიეცნენ, მათი უსამართლო საქუიელი მრავალთაგან იქმნა გმობილ-შეჩენებული, რუსულშიაც და ჩვენშიაც ამის წინააღმდეგი მწერლობაც გაჩაღდა, აქ ამის წინააღმდეგ პირველად კალამი ილია მორთო. გარემოებამ ისე მოაწყო საქმე, რომ დიამბეგობის და ასეთ მოხელეობის ბოროტება დევნას მიეცა, ვინც ამათ დაიჭერდა უსამართლობის დროს, მაშინ მათ სამართალში აძლევდნენ და სჯიდნენ სასტიკათა. ეს ნაყოფი გამოილო მათმა უსამზღვრო-უსამართლო ცარცუა-გლეჯამ, ხალხის ანიავებამ, დარბევამ და სამართლის ფულზე გაყიდვამ. საქმემ რქამდის მიაღწია, რომ ასეთ პირების ალაგმვას თვით მთავრობამ მოჰკიდა ხელი და საქმარისად სასტიკადაც დაუწყო ბოროტ პირებს დევნა. მედიდურებით ამხედრებულ მოხელეებს ფრთები შეიკვეცათ. ამ ფრთების შეკვეცით საკმარისად გაიშალა გლეხ-კაცობა, გლეხ-კაცობამ ღმერთს მადლობით შეხედა. გული საიმედო ნიშნებით აუტოკლათ და ყოველს კუთხეს სიამოვნების ხმები იფინებოდა. აი სწორეთ ამ სასიამოვნო ხმების დაბადების და განხორციელების ხანას მოჰკვა ბატონ-ყმობის და გლეხ კაცების განთავისუფლების საუბარიც.

ვიდრე ბატონ-ყმობის შესახები საუბარი ფეხს შოიკიდებდა, მანამდის ილია ჭავჭავაძე საქართველოში ერთ გულ-მხეურვალე ქართველთა ერთობის მღალადებლათაც ირიცხებოდა, შემდეგ უფრო განცხოვლდა მასში და როცა „კისკარში“ წერა დაიწყო, მაშინ იგი აღმოჩნდა ერთ უღილეს გულ-მხეურვალე

მღალადებლად და პატრიოტად. კმარა ამისთვის გავიხსენოთ ჩვენ მისი ლექსი „ნანა“, რომელიც დაწერილია თითქმის იმ დროს, როცა ჩვენი გლეხ-კაცობა უსამართლო მოხელეების მონების ქვეშ იჩაგრებოდა.

ნახავ ჩვენს ბედშავობას,
ჩვენს ერთობას დარღვეულს,
ჩვენსა წამხდარ გმირობას
და მამულს დაობლებულს...

მთელ ლექსს არ მოვიყვან აქ, ესეც კმარა. ეს ლექსი დაწერილია 1859 წ. ლექსის ღირსების შესახებ ჩვენ როგორ ვისაუბროთ, როგორ რა გავმარტოთ, ლექსის მაღალი ღირსება და მნიშვნელობა მგონი ყველა ჩვენთაგანმა კარგათ უნდა იცოდეს, რადგანაც ჩვენი თაობა თითქმის ამ ლექსის ბრწყინვალე სხივებით არის განკაცებულ-გაქართველებული. აი თვით ერთი მე ამათაგანი, როცა ეს ლექსი წავიკითხე მის შემდეგ ჩემში გაიღვიძეს უზომო მამულის სიყვარულის გრძნობებმა. მაგრამ ვინ იქმნება ისეთი ქართველი, რომ ამოიკითხოს ჩვენი დარღვეული ერთობის შესახებ რამე სიტყვები და იგი მასზე მწარეთ არ დალონდეს, გული უქრობელის გენის ცეცხლით არ აღენთოს. ილია ჭავჭავაძის ერთობის შესახებ ღალადებას ცხადათ და მკაცრათ ეხმარება ის გარემოებაც, რომ ეს ქართველი ღობროლივიბოვი, ეს ქართველთა ერთობის მღალადებელი თითქმის იმავ დროსვე გახდა პატრონი და მფარველი მუშა ერისაცა. იმავ დროს იგი ისე ბეჯითად აღევნებდა თვალს ქართველთ მღაბიოთა ცხოვრებას, რომ მის წინ ყოველ უძლურ ქართველთა მწარე ცხოვრებას მეტათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აგერ ილ. ჭავჭავაძის წინ სდგას რაჭველი მუშაც, თავის ოფლით, ღონით, კურტნით და სილატაკით. იგი მას აღვიწერს დიდის შებრალებით, დიდის კაც-მოყვარეობით და თანაგრძნობით.

ეს ლექსი სარკეა ჭავჭავაძის მაღალის თანასწორულის ჰაზროვნების, ლექსი ცხადათ მოწმობს, რომ ილ. ჭავჭავაძეს ქა-

როველთა დარღვეულ ერთობის შესახებ ქადაგება და ქართველთა მუშათ ცხოვრების შებრალების თანაგრძნობები ერთ დროს უნდა აღძროდა. ამ მაგალითიც ილია ჭავჭავაძის ლექსი „მუშა“ ნუ თუ არ კმარა ამის დასამტკიცებლათ, რომ ილია ჭავჭავაძეს ერთ დროს თავის მამულის შესახებ ათანაირი გრძნობები უნდა ჰქონიყო აღძრული და გაღვიძებული. ამ რა ეჭვი უნდა ვიქონიოთ ამაზე! ცხადი საქმეა, რომ ერთობის მღალადებელის წინაშე მეტად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მუშების ცხოვრებას და ტანჯვა-წამებასაც.

აშკარათ და თვალ-ხილულათ სჩანს, რომ ილია ჭავჭავაძემ თვისი მამულის შეილური მოვალეობა ადრიდგანვე შეიტყო და გაიგო, ამან აღრევე გამოთქვა ის აზრი, რომ ალაზანი ქართველ ერის ცრემლით არის შემდგარით, ჩემს სამშობლოს დიდი ტანჯვა და წამება გაუვლია და ამიტომ მე მის ერთგულს შეიღს ნება არა მაქვს, რომ ჩემის მელექშეობის დროს ციურს ხმებს კი არ დაემდეროვო. არამედ გულში ჩაეინერგო ერის ტანჯვის გრძნობები და ამ გრძნობების თანხმად ვიმეცადინოვო, მაგალითებრ:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა,
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა“.

რასაკვირველია, რომ ილია ჭავჭავაძე ამას ჭეშმარიტად ამბობდა, ეს ყველა რიგიან ქართველს თავში უკვდავ-უქრობლათ უნდა ჰქონოდა, მაგრამ საუბედუროთ ეს ბევრს ასე არ სწამდა და იგინი მარტოთ ტკბილის ხმებისთვის იყვნენ ცისაგან მოვლენილნი და ამ ტკბილს სამღერალს ლექსებსაც დასტრიფოზენ გარს. ილია ჭავჭავაძე კი, როგორც ქართველთ ერთობის მღალადებელი ამისაგან შორს იღგა და იგი ცხადლივ და ხმა-მაღლა ამბობდა, რომ

„დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,

რომ ხალხისა მოძმე ვიყო.

ჭმუნვაში და სიხარულში“.

აგერ ილია ჭავჭავაძე ქართველ ტომის გვერდით სდგას, ამ ერის ცხოვრებას მკაცრათ აღევნებს თვალს და ამ დაკვირვების დროს იგი თავის სიტყვასაც ასრულებს და სატირელ მხარეს მწარეთ დასტირის, საგმობს ჰგმობს, დასაცინარს დასცინის და ყოველს შემთხვევაში კი წინ აქვს ერთობის ლალადება მიღებული და ამით თუ იმით ყველას ერთობას ავედრებს და ამას ამდეარებს. ერთობის დარღვევამ მოგვიღო ბოლოვო, ამის დარღვევის შემდეგ დავარდა ჩვენი სამშობლო ჭვეყნის ერი, ამიტომ ვითხოვ ერთობასაო. ამის დასასაბუთებლათ მე თვით ლექსი ელეგიაც მიმაჩნია. ელეგია არის დიდის ერთობის მღალადებლის გლოვა და ტირილი, რომ მე დღეს თითქმის მარტოკა ვსდგევარ ჩემის ქვეყნის ასპარეზზე და დავსტირი ჩემი ერის უბედურებასაო. „ნანა“ და „ლეგია“ ერთ დროს ჩვენის თაობის გულის ასანთებ ნაკერწყლათ გარდაიქცენ. აქ არ შეიძლება, რომ ძვირფასი ლექსი მთლათ არ მოვიყვანოთ, რომ მით დამტკიცდეს პოეტის უსამზღვრო ურწმუნოება თანამედროვე ქართველთ მაყუჩებულს ყოფა-ცხოვრებაზე.

„მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა

მშობელს ქვეყანას ზედ მოჰყენოდა,

და თეთრი ზოლი შორის მთებისა

ლაჟვარდს სივრცეში ჩაინთქებოდა.

არსაიდამ ხმა, არსით ძხილი,

მშობელი შობილს არას მეტყოდა,

ზოგჯერ კი ტანჯვით გამოძახილი

ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა!

ვიდეგ მარტოკა... და მთების ჩრდილი-

კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება,

ოხ, ღმერთო ჩემთ! სულ ძილი, ძილი,

როს-და გველირსოს გამოღვიძება“.

ილია ჭავჭავაძე ქარგათ და აშკარათ გრძნობდა ქართველთ

ლრმა ძილს, იგი კარგათ უმზერდა და ამჩნევდა ჩვენს დაძინებულს მდგომარეობას და პირდაპირ ამბობდა, რომ ვიდრე ერი ასე დაძინებული იქმნება, მინამდის მას არაფერი ეშველება, ვერც ერთობის გრძნობები მოიფინება და ვერცა-რა სხვა აზრებით. ამიტომ განიძრახა მან „საქართველოს მოამბის“ გამოცემა, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, მინამ ძვირფას მოღვაწემ თავის ქვეყანასა კიდევ მიმართა, თავისს პოეტურს მაღალს ნიჭს, კიდევ დაჟკენესა მან მწარეთ თავის დაძინებულს სამშობლო ქვეუნის ერს, დაძინებულს მხარეს და ერთობას. მე რომ ილია ჭავჭავაძის წერილისა და გლოვის შესახებ დაწვრალებით ვისაუბრო, ეს მაშინ ერთობ შორს წავა. აკაკი და ეს პირი დიდის ჭიდებით სჩანან ჩვენს. მწერლობაში. ამათ საპატიო ადგილი უკავიათ სიტყვა კაზმულს მწერლობის ასპარეზზე.

უსახლვრო გლოვის შესახებ ავილოთ თუნდ ის ლექსი, სადაც იგი პირდაპირ ამბობს, რომ „ჩემთ მამულო, შენის სიუკა-რულისაგან ძილი და შეება გამიტუდათ, მე ადამ მაქვს ძილი და შეებათ. განა ვისმეს ებატიება, ომ შენი მდგომარეობა ნახოს და იგი მწარეთ არ დანადევლიანდესთ“ კეშმარიტება იყო ეს და კეშმარიტებასვე ჰქადაგებდა იგი. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ პოეტს ხშირათ თავის ბედიც კი უგმია მწერხარების გამო, რაც სხვა ქართველთათვის საყურადღებოთ გამხდარა და მრავალთაგან მისაბაძიც. მისი მწერხარება არ იყო უმნიშვნელო და უაზრო. მას ბევრნაირი წინ-წამყვანი მხარეები და იმედები ცხოვლათ უდგნენ თვალ წინა და ეს გრძნობები აღვიძებდნენ და ამხნებებდნენ. ერთს ასეთს გასამხნევებელს სასიხარულო მოვლენათ ჩაითვალა საქართველოში ბატონ-ყმობის მოსპობის შესახებ ატეზილი საუბარიც, რომელ საუბარმაც ილია ვავჭავაძე მკაცრათ გამოაფხიზლა, გული სიხარულით აღუცსეს და მეტის სიხარულისაგან ამ დიდებულს მოვლენასაც თავისებურის სასიხარულოს კილოთი მიეგება.

„შესმის, შესმის სანატრელი

სალხთ ბორკილის ჩმა მტვრევისა,

სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუჩს
დასათრგუნვად მონებისა...

* *

აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღვიძებს იმედს გულში,
ლმერთო, ლმერთო, ის ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში”.

მე არ მგონია, რომ საქართველოში ოცი და ორმოცი კა-
ცი ყოფილიყოს ამ გვარ კეთილ აზრების პატივის-მცემელი.
მთელს საქართველოში სულ ათი კაცი. არ ჩამოითვლებოდა,
რომელთაც ასეთი გრძნობა და პატივისცემა ჰქონდათ გვამ-
ში გაღვიძებულ-გაჩაღებული. ესენი არიან ილია ჭავჭავაძე, ავა-
კი, ანტ. ფუცელაძე, დანიელ ჭონჭაძე, რომელიც ქართულმა
მწერლობამ ერთობ ადრე დაკარგა. საქართველოში; ან კერ-
ძოთ ქართველ ერის. ცხოვრებაში არ მოხდა ერთი რამ ცხოვ-
რების ცვლილება და მხარეები, რომ მას ილია ჭავჭავაძე თა-
ვის ბრწყინვალე კალმით არ შეხებოდა. ეს არის საყოველთა-
ვო ღირსება ღიღებულის მამულის შვილის, ღიღის კაცთ-მო-
ყვარის, მეცნიერის და ფილოსოფის. ამიტომ ჩვენ ილია ჭავ-
ჭავაძეს ისეთ საპატიო ადგილს ვაკუთნებთ ჩვენს მწერლობაში,
როგორც მის ღირსებას შეეხება, როგორიც ეკადრება მას. რაც
უნდა დიდი ნაკლულევანებაებიც ჰქონდეს, მაინც იგი ჩვენს
წინ ჩალათ არ გამოჩნდება, რადგანაც მან დიდი დავალება
დავდო, მან მიგახდინა ჩვენს ქართველურს მოვალეობას, მა-
მულის სიყვარულს, ერთობას და სხვანი, რომელსაც ცხადათ
დაღადებენ მისი ლექსები, მისი მიმართულება, მოღვაწეობის
ცნობები და ლტოლვილებანი.

II.

„საქართველოს მოამბის“ დარსებამ ზოგიერთ ქართვე-
ლებში ვერაფური სასიხარულო მხარეები დაბადა. ზოგიერთებ-

მა ამ საქმეს სხვაფერ შეჰქედეს, ესენი ამაობდნენ, რომ „ცისკარსაც“ ვკრ უხეირნია და ორი უურნალი როგორ იხეირებსო! ამიტომ ზოგი ერთინი „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ წავიდნენ და ნამეტურ ილია ჭავჭავაძის, რადგანაც ამის წინააღმდეგობა „ცისკარში“ 1860 წლიდამ დაიწყო. ილია ჭავჭავაძის მოწინააღმდეგებმა „საქართველოს მოამბის“ პოლემიზატორათ ანტონ ფურტკელიაძე გამოიყვანეს.

„საქართველოს მოამბის“ დაარსებამ იმ დროის ქართველთა პატარა დასი ორ დასათ გაყო. ერთი მეორის წინააღმდეგ წავიდა; ეს არ შეეფერებოდა იმ დროის ქართველთა დარღვეულს ერთობას, მაგრამ რა უნდა ექმნათ, გარემოებამ იგრე მოაწყო საქმე. მალე „საქართველოს მოამბის“ ნომრების გამოსვლა დაიწყო და მან ლირსეულის სტატიებითაც იწყო გამოსვლა. იმ დროის ქართველთათვის ასეთი უურნალის მოვლენა ცის მანანათ უნდა ჩათვლილიყოს, რა მაშინ კი არა და „საქართველოს მოამბე“ დღესაც დიდის სიამოვნებით იკითხება ჩვენში. დღეს ამ უურნალის ნომრებს სამთლით სძებნიან! ასე იცის მამულის შვილის პრიალა კალამმა და მაღალმა გრძნობამ. და ნიჭმა. ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბეს“ ხელოვნური მწერლობის მიმართულება მისცა და მასთან მეცნიერულიც. ამ უურნალის მეცნიერული მიზანი დიმიტრი ყიფიანის წერილიდამაც სჩას, რომელიც დაბეჭდილია იმავე უურნალის ნომრებში სახელდობრ „ზეციური მნათობები“ მიტჩელისა. „საქართველოს მოამბეში“ ყველაზედ მეტი შრომა ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, აქ ამის წერილები რამდენიმეს ფსევდონიმით იბეჭდებოდა. იმ დროის ქართველთ დობროლუბოვმა, „საქართველოს მოამბის“ ნომრები გააბრწყინა თავის მშვენიერის ლექსეგით, სადაც ერთთავად ქართველთა სამშობლოს ვრდომილებას დასტირდა და ჰელოვობდა. პირველად ამ უურნალში დაიბეჭდა პოემა „აჩრდილის“. დასაწყისი, სადაც ილია ჭავჭავაძე მწარეს გულით შესტირის თვით დედა-მლევთისას, რომ საქართველო მაცხოვრის მსგავსად ეწვალა, ეტანჯა და დღეს შენ მა-

ნც მოპმადლე ამ ერის წყლულებას კურნებაო, სალვთოთ
მიიღე ის სისხლი. რაც ამათ ქრისტიანობის გულისხმვის შეუ-
წირავსთო. ანუ ის სიტყვები, სადაც ეს ჩვენს წამებულს სა-
მშობლოს მიმართავს და გულ-მდუღარედ ეუბნება: — „რაც
მე შენი სიყვარული ვცანი, ჩემო მამულო, მე ძილი და შვება
გამიკრთაო, მოსვენება აღარ მაქვსო. დასამოწმებლათ მის თუ
ილია ქავჭავაძის გვამი როგორ იყო ქართველთა სიყვარულით
მოზღვავებული, ამას გამოხატავს ხსენებული ლექსის რამდენი-
მე სტრიქონი, რომელნიც მომყავს აქ:

მას აქეთ რაკი შენდამი ვხუან მე სიყვარული.

ჰოი მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!

შენ ძარღვის ცემას მე ყურს უგდებ სულ-განაბული,

ღამე თენდება ეგრედ ჩემი და დღე ღამდება.

დაქინებითა ფიქრი-ფიქრზე მოდის, გროვდება,

გრძნობა-გრძნობაზედ შეუპოვრად იძგრის ჩემს გულში,

და მე არ ვსჩივი, — მიხარიან, რომ ეგრედ ჰშვება

ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,

ის არის მხოლოდ სავალალო და სატირალი,

რომ შენს მიწაზედ, მდევ ხალხში კაცი არ არი,

რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განუზიარო...

ვინც რა უნდა სთქვას და ეს წმინდა სამგლოვიარო ლექ-
სი მოწამეა იმ ჭეშმარიტებისა, როცა საქართველოში მართ-
ლაც და ისეთი კაცები არსად იყვნენ, როგორიც ამ ერთო-
ბის მღალადებელს ენატრებოდა, მაგრამ მისმა მაღალმა სამგლო-
ვიარო გოდებამ თავის წილ სარგებლობაც მოიტანა, ჩვენის გლე-
ჭის შვილებთა გული კეთილის გრძნობებით შემოსა, გული
მამულისა და სწავლა-განათლების სიყვარულით აუმღელვარა
და დღეს საქართველოში გლეხთა შვილებით სავსეა ქართველ-
თა ასპარეზი, დღეს აქ ისე აღარ არის, როგორც წინეთ იყო,
დღეს ილია ჭავჭავაძემ სიამოვნებით უნდა შეჰედოს ამ მოვ-
ლენას, რადგანაც გლეხთა შვილებით სავსეა ჩვენი სამწერლო

ასპარეზი. აი შაგალითებრ: დღეს მთელი ჩვენი მწერლების დამა-
შშენებელი, მუშაკი და მოღვაწენი სულ გლეხის განათლებული
და დარიბ აზნაურისშვილები არიან.

ილია ჭავჭავაძის ყველა ნაწერებმა გლეხის შვილებზედ
უფრო დიდი გავლენა იქნია, ვიდრე იმ წოდებაზედ, რომელ-
საც თვითონ ეს ძვირფასი მწერალი ეკუთვნის, ამას ისრც აკეშ-
მარიტებს, რაღანაც ილია ჭავჭავაძე ერთის მხრით თუ ქართ-
ველთ ერთობის მღალადებლათ ითვლებოდა, იმავ დროს ეს მა-
ლალის ხმით დავობდა გლეხთ პირად უფლებათა მხარეებს და
მუშაკაცის არა საკეთილ-სანეტარო შრომას. ცხადათ დამტკიც-
და მაშინ, როცა „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა „გლა-
ხეს ნამბობის“ დასჯწყისი, „რამდენიმე სურათი ყაჩალის ცხოვ-
რებიდამ“ და ლექში „მუშა“. ამათი დაბეჭდვა რის მომასწავე-
ბელი უნდა იყოს იმ უურნალში და ისეთ წერილების გვერ-
დით, საღაც ილია ჭავჭავაძე გულმდუღრაჲ სტიროდა ჩვენს
დაძინებულს, მიბნელებულს მდგომარეობაზე და დარღვეულს
ერთობაზე. განმარტება აღარ სჭირია, რომ ამ პირს ერთს დროს
უხდებოდა საუბარი, ენატრებოდა ქადაგება, როგორც ჩვენს
სიმკვიდრე-სიბნელეზე და უსწავლელობაზე, ისევ ბატონ-ყმო-
ბის წინააღმდეგ და მუშებზე. ილია ჭავჭავაძემ გლეხკაცობას
დიდი სამსახური გაუწია, გლეხთა წოდებამაც დაინახა ბრწყინ-
ვალე მწერლის ნაწარმოები, ამ ნაწარმოებში მან დაინახა და
ამოიკითხა თავის ცხოვრების ცნობები და მიტომ მან მოუ-
ლოდნელის სასიხარულოს თვალით და გულით შეხედა ამ მოვ-
ლენას. ეს პირველი მაგალითი იყო, რომ ვინმე თავადის შვილს
გლეხის გულში ჩახედნა და რამე დაეწერა. გლეხკაცობაშ ილია
თავის მფარველათ იცნო, მათ დაუწყეს ამის სიტყვებს და პაზ-
რებს შესწავლა და გულში ჩანერგვა. ის დღეა და ის, და
ილია ჭავჭავაძის გრძნობები იდგამს ფესვს გლეხის შვილების
გულში და ამით სპეტაკლება მათი გონება და გული, მათი
ჰაზრები იმოსება მაღალის გრძნობებით, მამულის შვილობის
სიყვარულით, მოქალაქურის განვითარებით, და მის შეოხებით,

ხელი-ხელს ჩაკონილნი გამოდიან დღეს ჩვენი მშობელი ქვეყნის ასპარეზზე და ელტვიან ათასნაირს წინ-წამყვანს საქმეებს, ცხოვრების სასარგებლო წყობილებას, ყველა დაწესებულებაზე ფეხის შედგმას.

გლეხეკაცის შვილების მომხრეობის საფუძვლათ ჩვენ ნათლათ უნდა გვეწიმა ილია ჭავჭავაძის ნაწერები, რადგანაც ამ დიდებულმა მწერალმა, ამ შესანიშნავმა მოძღვარმა, როცა ჩვენს ერთობაზე დაიწყო ღალადება, ჩვენს ვრცომილს გლეხეკაცობაზე და მათ უძლურებაზე, იმავე დროს მან წარმოადგინა თავისი კლასიკური თხზულება „კაცი აღამიანი“, რომელ შესანიშნავის მოთხრობითაც აღწერა ისეთი უქმი წოდება და ერი, რომელ წოდების წევრნიც კაკოს, გაბროს, თამროს და სხვებს კისერზე ასხდნენ და სისხლს სწოვდნენ, რომელნიც ათასნაირს უმეცრებაში იყვნენ შთაცვივნული და ამის მეოხებით ისინი სრულს სიბნელეს წარმოადგენდენ. ასეთ უდიდეს წოდების უქმათ ყოფნას არ შეუშინდა ჩვენი მღალადებელი, ამან თავის საუკეთესო კალმის ნაწარმოები მათ ცხოვრებას უძლვნა. მათი ამაოთ ყოფნა დაპგმო და შეჩვენა. ჩვენი უქმათ ყოფილ პირების გმობა ისე თვით მათვის არ გახდა საყურადღებოთ, როგორც გლეხთა შვილებისათვის. უკვე მოვიდა იმისი დრო; დაპკრა მის ზარმაც, რომ ჩვენთა დიდებულთა მამებთა ამაოდ გდება და უსარგებლოთ ქვეყნის და გლეხების ფცქვნა ისეთ მწერალს უნდა დაეგმო, როგორიც ილია ჭავჭავაძეა. აი საქმე აქ არის, აი ამის მეოხებით უფრო გავახილეთ ჩვენ თვალები, შევხედეთ სოფელს, ერის ცხოვრებას, გაოცებულნი დავშთით და გულის სიწმინდით ვაღიარეთ: ახლა კი გვიახლოვდება დასავლეთის მანათობელი ვარსკვლავით.

„საქართველოს მოამბე“ გახდა ჩვენ გლეხთ-კაცთა ცხოვრების და ტანჯვის მოამბეთ. ამ უურნალში შეიკრიბეს თავაილია ჭავჭავაძის ყველა საუკეთესო მეგობრებმა, ყველა ესენი საუკეთესოთაც უნდა ყოფილიყვნენ დარაზმულნი, ამის ცხადათ დამამტკიცებელია უურნალის მიმართულება და წერი-

ლები. „საქართველოს მოამბე“ პირდაპირ „სავრემენიკს“ მოგაგონებსთ. აქ არის დაბეჭდილი. დობროლუბოვის წერილები, ბელინსკისა, პრუდონის, ბასტიასი, ვიქტორ-პიუგოსი, გოგოლისა, მიტჩელის ვარსკვლავთ მრიცხველობა, კონარდ კიფერი, პედაგოგიური წერილი, ზალცმანისა, ლერმონტოვის წერილები და ზოგიერთიც სხვა თარგმანნი. არიგინალურთ შორის დაიბეჭდა თვით ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი“ და რამდენიმეც სხვა ნაწარმოებნი, რომელთაც ქართველთა ბნელი ცხოვრება საქმარისათ შეანჯლრიეს. ამავე უურნალში იბეჭდებოდა პირველად სულხან ბარათა შვილისმიერ დაწერილი საქართველოს ისტორია და სხვა ისტორიული წერილები. უურნალი დიდის ღირსების იქმნა და ქართველობამაც დიდის სიამოვნებით მიიღო, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების მეოხებით და ზოგიერთ პატივ-საცემ მხარეებთაგამო წლის ბოლოს უურნალი მოისპო. ქვეყნის რეფორმების საქმეები წინ მიდიოდა. აქა-იქ დიდად საჭირონი იყვნენ განათლებულ-მოსამართლენი, ილია ჭავჭავაძე, როგორც იურისტი, სამსახურ-ში შევიდა. ივანე კერესელიძეს დაულოცა უურნალი და უთხრა ასე:

— აჲა, ჩემო ივან ივანის-ძევ! განაგე შენ ისევ შენი უურნალი, მე არ მინდა რომ შეგეცილო.

თორემ მეორე წელიწადს, ან მესამეს „ცისკარი“ დაიხურებოდა, რადგან აც მისი ხელისმომწერთ რიცხვი „საქართველოს მოამბემ“ საქმარისად შეამცირა. „მოამბე“ საქმარისი რიცხვი აღმოუჩნდა და „ცისკარის“ აღარც 200 დაურჩა. ორში ერთ-ერთი უნდა დახურულიყო; ისევ ილია ჭავჭავაძემ არჩინა თავის უურნალის დახურვა და ივ. კერესელის არ გაწირვა. როგორც ვთქვით ზემოთ, ილია ჭავჭავაძეს და ზოგიერთ ძველ ქართველთ პირებთ შორის ქართული ანბანის და ენის შესახებ 1860 წ. „ცისკარში“ პოლემიკა ატყდა. ამ პოლემიკის დროს ილია ჭავჭავაძე განმარტოვებულ პირათ აღმოჩნდა, „ცისკრის“ თანამშრომლები სულ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ

სწერდენ; ერთად-ერთი მხოლოდ დ. ბაქრაძის წერილი დაიბეჭდა, რომელმაც ილია ჭავჭავაძის აზრს სანაქებოთ შეჰედა, ამანაც ილია ჭავჭავაძის აზრისავებრ ქართული ანბანის, მწერლობის და ენის გამარტივება ითხოვა. „ცისკრმა“ დიდი კამათი ასტეხა: როგორ თუ ილია ჭავჭავაძე ჩვენს აზრებს და ენას იწუნებსო. ამის შესახებ პოლემიკამ ცოტა არ იყოს 1861 წლის ბოლოდამ მივიწყება იწყო, მაგრამ 1863 წ. კიდევ გამოჩნდა «ცისკრში», ნიმუში ყველრებისა. აქ დამწერი სწერს: რომ ჩვენ მამულისშვილები ვართ, ძეველის ქართულის ენის მცდენენი და ამიტომ ჩვენს წინააღმდეგ ვინ ბედავს ლაპარაკსაც: ამ წერილის შემდეგ გაიბა კიდევ პოლემიკის ქსელი, გაბრწყინდა და განათლდა საუბარი, ნაკლულევანების ჩვენება და მხილება. „საქართველოს მოამბეში“ პოლემიზატორათ გამოჩნდა ოვით ილია ჭავჭავაძე და ზოგნიც სხვანი. ამ პოლემიკამ გამოაჩინა „თერგ-დალეულები“ და მათი გმობა ძველის მამებისაგან, ანუ „ცისკრის“ ორი თანამშრომლისაგან, ამათ შემოიღეს „თერგ-დალეულების“ ხსენება და ვრცელება, ამათ მოჰვინეს. მათი სახელი. „თერგ-დალეულები“ იყვნენ ახალგაზღა ყმაწვილ-კაცები, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლიდამ საქართველოში ჩამოსულნი სამშობლო ქვეყნის ასპარეზზე სამეცადინოთ.

„საქართველოს მოამბის“ დაარსების შემდეგ მათმა პოლემიკამ უფრო ფართო სახე მიიღო, აქამდის თუ მარტოთ ანბანის და ქართული ენის შესახებ საუბრობდენ; აქ ახლა მიმართულებაზედაც დაიწყეს საუბარი. „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ „ცისკარში“ წერა დაიწყო ანტონ ფურცელაძემ. ანტონ ფურცელაძეს „ცისკრის“ თანამშრომლებმა სრული უფლება მისცეს წერის, ილია ჭავჭავაძის დასთან კამათი და პოლემიკა. ანტონ ფურცელაძემ გაეღლაპარაკა „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლებს, მაგრამ ანტონ ფურცელაძის ნაწერები იმოდენათ ილია ჭავჭავაძეს და მის მიმართულებას არ ეწინაღმდეგებოდა, რამდენადაც ოვით „ცისკარს“ და მის წარმომადგენლებს. როგორც ილია ჭავჭავაძე, ისევე ანტონ ფურ-

ცელაძეც აღვსილი იყო უზომო მამულის სიყვარულით, უმაღლესის გრძნობებით და ევროპიულის განვითარებით; გარდა ამისა ანტონ ფურცელაძესაც დიდათ ემჩნევდა. რუსის მესამოცე წლების მწერლების ზე-გავლენა; როგორც ილია ჭავჭავაძე, ისევე ანტონ ფურცელაძე, ერთი დროის შეიღები იყვნენ, ერთის საზოგადო მიზნის, პრივ ერთის გავლენის ქვეშ გაზრდილნი, ორივენი ერთნაირის მოქალაქობით აღვსილნი და მაშასადამე ამათში სადაცო რა უნდა ყოფილიყოს. ესენი ერთ-მანერთის წინააღმდეგ, კი არ უნდა წასულიყვნენ, არამედ ერთად უნდა შეკავშირებულიყვნენ, ერთის მტკიცე შეერთებულის ძალით უნდა აღჭურვილიყვნენ იმ დასთა წინააღმდეგ, რომელ დასმაც ანტონ ფურცელაძე მიიკედლა თვისკენ.

ანტონ ფურცელაძის საპოლემიკა წერილები ცხადათ აჩენენ, რომ იგი დიდი თანამომხრე უნდა ყოფილიყოს რუსეთის ტო წლის მწერლების, მათი მოძღვრების დიდი პატივის-მცემელი, ერთი მხერვალე მქადაგებელი და მღალადებელი მოქალაქურის პაზროვნების და კაცო-მოყვარეობის დედა-აზრების, ამის ნაწერების ყოველს სტრიქონს, ყოველს სიტყვას ცხადათ ამჩნევია ეს, ყოველი აზრი ცხადათ მოწმობს და ჰქალადებს ამას. ცოტა არ იყოს ამის ასეთი მწერლობა და მიმართულება „ცისკ-რის“ თანამშრომლებს არ მოეწონათ, ამათ თამამათ სთქვეს და ნამეტურ აღ. ორბელიანმა, რომ ანტონ ფურცელაძის ნაწერები ისე ილია ჭავჭავაძეს არ ეწინააღმდეგება და „საქართველოს მოამბეს“, როგორც თვეთ ჩენებო. ამათ ანტონ ფურცელაძის წინაშე თავი ფრთხილათ დაიჭირეს და 1864 წ. რომ „საქართველოს მოამბე“ არ დახურულიყო და პოლემიკა გაგრძელებულიყო, მაშინ ანტონ ფურცელაძეს პოლემიკური წერილების წერის ნებასაც არ მისცემდნენ. ანტონ ფურცელაძე ილია ჭავჭავაძეს მიმართულებაში ჰყვედრიდა და არ ეთანხმებოდა, მაგალითებრ თუნდ ჭართველზა ერთობის, შესახებ გოდებასა და ტირილსა, შაგრამ თან აღიარებდა ილია ჭავჭავაძის

მაღალს ნიჭს, ევროპიულს განვითარებას, კეთილშობილურს გრძნობებს და უზომო მამულის სიყვარულს. ანტონ ფურცელაძემ დიდის დიდებით და პატივით მოიხსენა ილია ჭავჭავაძის ლექსი „ელევია“, „ნანა“, „მუშა“ და სხვანი.— „ამ ლექსებმა ჩვენს გულში დიდი ადგილი მოიპოვეს. მათ ნამდვილი ნავალი აღბეჭდეს ჩვენს ცხოვრებაშიო“. ილია ჭავჭავაძის შესახებ მარტოთ ანტონ ფურცელაძეს არ ეკუთვნის ასეთი აზრები; მცირე ხნის შემდეგ ასეთივე აზრები იქმნა წარმოთქმული ჩვენის საყვარელის მგოსნის აკაკისაგან „ცისკარში“, და ისტორიკოს მოძღვარ ინგილო ჯანაშვილისაგანაც ამავე უურნალში.

მე არ უწყი და არც შემიძლიან მის შესახებ მეაფიოთ მიესცე ვისმეს პასუხი, თუ ანტონ ფურცელაძე ილია ჭავჭავაძეს რათ აეწინააღმდეგა, ესენი ერთმანერთისაგან რა დედა-აზრებით განსხვავდებოდენ, ერთმანერთის საწინააღმდეგოს რას ქადაგებდნენ, რომ უკანასკნელ მათი ქადაგება გახდა იმის საფუძვლათ, რომ იყინი ერთმანერთის წინააღმდეგათაც დაირაზდნენ. აი ვკითხულობ „ცისკრის“ და „საქართველოს მოამბის“ ნომრებს და იქ ამის შესახებ პასუხს ვერას ვხედავთ. იქიდამ მხოლოდ მკითხველი იმას გამოიტანს, რომ ანტონ ფურცელაძე ილია ჭავჭავაძეს არისტოკრატიულს მიმართულების შემოტანას სწავებდა ქართულს მწერლობაში. ილია ჭავჭავაძე სწერს მასხე: რომ „ხომ იყით ვინცა ბრძანდება ანტონ ფურცელაძეო, ქრიტიკის, პუბლიკისტი, პოეტი, მოთხრობის მწერალი და სხვანიო“. ეს ყოფილა მათ უმთავრეს საპოლემიკო წერილების წერის საგნათ. გულის სიწრფელით ვაღვიარებთ, რომ ეს პოლემიკა ერთობ უმნიშვნელოთ, უდროვოთ და უნაყოფოთ მიგვაჩნია. მაგრამ რა გაეწყობა, ეს მოვლენა მათში გამოწვეულჲყო რუსის მწერლების და მწერლობის იმ გავლენამ, რასაც მაშინდელი რუსული მწერლობა იჩენდა ქართველს მწერლებზე და მწერლობის აღორძინებაზე. უნდა ვაღვიაროთ, რომ ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბეს“ უცდომელი მიმართულება მისცა და აქ მკითხველი წერილების კითხვის დროს

ბევრს საიმედო ნიშნებს ხედავდა, „ცისკარს“-კი ამის ღირსება გამოცლილი ჰქონდა, აქ რომ ანტონ ფურცელაძე არ ყოფილიყო, მაშინ „ცისკარი“ სიბნელეს და ვრდომას მიეცემოდა, მაგრამ მცირე—ოდენს სულს და სიცოცხლეს ისევ ანტ. ფურცელაძე უდავდა. ილია ჭავჭავაძე „საქართველოს მოამბის“ საქმეს ისე აფაქიზებდა, რომ სხვათა შორის აქ დაიბეჭდა ანდრე შენიეს ლექსიც-კი, ხომ მოგეხსენებათ შენიე, XVIII საუკ. საფრანგეთის რესპუბლიკის მოღვაწე და ბრწყინვალე პოეტი, რომელიც რესპუბლიკის მეორე წელს, ე. ი. მეშვიდე ტერმიდორს, დასჯილ იქმნა სიკვდილით, თავის-მოკვეთით, 1795 წ.

„საქართველოს მოამბე“ დიდის ბრწყინვალებით დაარსა და მას ეს ბრწყინვალება დღევანდლამდე შერჩა, დღესაც კიდევ მისი ხსოვნა ჩვენს გულში მაღალის შექით ბრწყინვას და ჩვენს მოღვაწეებს დღეს ჩვენ მათგან გამთბარის და განკაცებულის. გულის გრძნობით უმზერით.

საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ილია ჭავჭავაძე თავის სამსახურს მიეცა, მის თანამოაზრენიც აქა-იქ წავიდნენ, ზოგიერთ პირებმა „ცისკარში“ შეაფარეს თავი; ქართული მწერლობის ბედმა ისევ ივ. კერძესელიძეს ხელში იპოვნა მფარველობა, მან დაუწყო ღოლიალით გამგზავრება, მაგრამ ეს საწყალი ღოლიალი ქართულს მწერლობას დიდხანს არ შერჩა. 1865 წ. თბილისში გაჩნდენ ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე პირები, ამათ განიძრახეს ქართულს ენაზე გაზეთის გამოცემა, ეს ყველას დიდათ მოეწონა; მალე გიორგი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძის მხურვალე პატივისმცემელმა, მისმა დიდათ დამფასებელმა და „საქართველოს მოამბის“ ერთმა გულ-მხურვალე პოლემიზატორმა. თხოვნა შეიტანა მთავრობის წინაშე და ითხოვა ქართულს ენაზე გაზეთის „დროების“ გამოცემა. ნებართვა მიიღეს და 1866 წ. მარტის პირველიდამ „დროების“ გამოცემაც დაიწყეს. ილია ჭავჭავაძემ ამ შესანიშნავს საქმეს. კარგის სასიხარულოს თვალით შეხედა, მალე „დროებაში“ თანამშრომლობაც დაიწყო.

ქართველებში უკვე გაჩაღდა ახალის მიმართულების მექონი გამოცემა. ეს მოვლენა ყველასთვის სასიამოენოთ შეიქმნა. ახალშა გამოცემამ დიდი ძალი შეიკრიბა გარს და ამიტომ „ცისკარი“ დარჩა ობლათ. მისი საქმე მეტათ არაკეთილად წავიდა, რადგანაც ერმა იწყო საერთოს გრძნობით თვალის გახსლება, ცხოვრების აწონ-დაწონვა და მწერლობის განვითარების საქმე. ივანე კერესელიძე ამ შემთხვევაში სწორეთ საბრძოლო მოვლენათ უნდა დაშთენილიყო, რადგანაც კაცს, რომელსაც არც ვრცელი განათლება ჰქონდა, არც ლიტერატურული ცოდნა, არც მეცნიერება, არც სამშობლო ქვეყნის ისტორიის ცოდნა, ამისთანა პირი საქართველოში. უურნალის გამოცემის საქმეს ჰქილებდა ხელს და იწყებდა გამოცემას. მაგრამ რას ვიზამთ, დრო და გარემოება ასეთი იყო. მე და სხვებიც მრავალნი მას პატივსცემდით როგორც მუშაქს ქართულის მწერლობისას და წრფელს მოლვაწეს.

რაც ხანი გაღიოდა, მით ქართველთ ცხოვრების ჭითარებაც შალლა იწეოდა, ქართველთა მოღვაწეთა პროგრამაც ფართოვდებოდა. ბატონ-ყმობა უკვე თავის სამარეს ჩაპბარდა. თავად-აზნაურებმა ყმების განთავისუფლებაში ფულები აიღეს. ზოგიერთ ჭკვიან ქართველთაგან წარმოდგენილი იქმნა ისრეთი აზრი, რომ ამ ასაღები ფულის ერთი ნაწილი შევინახოთ და შემდეგ ში მით ბანკი დავაარსოთო, თორემ ამ ფულებს ჩვენ ერთბაშათ შევსჭიმთ და ბოლოს გაჭირებაში ჩავარდებითო. ასეთ საპატიო შვილფას პირებში მოჰყვა ილია ჭავჭავაძეც. იგი იმავ დროს იმოდენად უკვე სახელდებული იყო, რომ მთელმა თავად-აზნაურობამ ეს პირი ამოარჩია. თავის წინამდლოლათ მომავალ ბანკის წინამორბედათ. ილია ჭავჭავაძე მოეცა საერთო სამსახურს და მკაცრათ დაიწყო ხსნებულ საქმეების შესახებ ზრუნვა და მეცადინეობა, რომ მის მეოხებით ქართველთათვის ესწავლებინა მკაცრი და ჭიშიერი გამოცდილება.

ამასოებაში მოახლოესდა 1870 წლები და ქართული მწერლობის საქმეც წინ მიღიოდა, წვრილ-ფეხობა თვალს ახელდა,

წერა-კითხვა ვრცელდებოდა, ნეტარ-ხსენებულ სერგი მესხმა ქართულს მწერლობაში ფეხი ჩამოდგა, ქართულმა მწერლობამ იშოვნა ისეთივე გულკეთილი მოღვაწე და მშრომელი, როგორიც პრანდებოდა გიორგი წერეთელი. ნელ-ნელა უურნალ-გაზეთობის საქმეც ფეხს იკიდავდა; 1869 წ. დაარსდა უურნალ „მნათობი“; 1871 წ. დაარსდა „კრებული“; ორივამ უურნალთა გამოცემას ილია ჭავჭავაძემ დიდის სიამოვნებით შეხედა და ორივე ში მიიღო მონაწილეობა; მხოლოდ „მნათობი“ კი ერთი ამის ლექსის მეტი არ დაიბეჭდა, არ უწყით ამის მიზეზი, იქმნება მიტომ რომ „მნათობის“ უპირველეს თანაშრომლებთ შორის ანტონ ფურცელაძეც ერია, რომელსაც წინეთ ილია ჭავჭავაძესთან პოლემიკა ჰქონდა გამართული, უწყის ღმერთმან. ჩვენ იმას კი ვიტყვით, რომ არც ერთს და არც მეორეს იმ დროს რაღაც განკერძოებით მოქმედება ზა პარტიობა კი აღარ შეეფერებოდათ. ილია ჭავჭავაძე როგორც ქართველთა ერთობის მღალადებელი ადრევეა ჩვენში ცნობილი, მხოლოდ ამ მღალადებლის განკერძოებითი მოქმედების ბრალი ვისი უნდა იყოს, ვის უნდა მიეწეროს ჩვენის მწერლობის ისტორიაში, ილია ჭავჭავაძეს თუ ანტონ ფურცელაძეს — ეს მათ უფრო კარგათ იციან, ჩვენის ფიქრით კი ორივეს, მცირეთ გ. წერეთელს, ს. მესხს და რამდენიმეც სხვა პირებსაც.

„კრებულში“ კი ილია ჭავჭავაძემ მუდმივ თანამშრომლობა, დაიწყო, მე მგონია, რომ აქ მუშაობის მისაზიდს საგნათ ილია ჭავჭავაძესთვის ისცი უნდა გამხდარიყო, რადგანაც „კრებულში“ მოღვაწეობდა ქართველთა უდიდესი პუბლიცისტ მწერალ-მოღვაწე ნიკოლოზ ნიკოლაძე, რომლის პრიალა კალამი ჩვენს თაობის ტვინს ისევე ესმებოდა ზედ, როგორადაც ოდეს-მე საფრანგეთის სახელმოვანთა შვილებთ სიტყვები. ნ. ნიკოლაძის სახელი მშვენება იყო ჩვენი და აბა ცხადი საქმეა, რომ ილია ჭავჭავაძეც ამ მშვენების გვერდით მოთავსდებოდა, სხვა-გან სად იქმნებოდა მისი ალაგი. რაც ილია ჭავჭავაძის პირ-

ველ ტომში წვრილი ლექსებია დაბეჭდილი, თითქმის სულ „კრებულში“ დაიბეჭდა, აქვე დაიბეჭდა მისი „მგზავრის წერილები“ და შექმნირის „მეფე ლირი“, თარგმანი მისი და ივ. მაჩაბლის. აქ დაბეჭდილმა ნაწერებმა მაღალი აღვილი დაიკავეს ქართულს მწერლობაში. მაშინ ცველაფერი დიდის აღტაცებით და სიამოვნებით იკითხებოდა.

ილია ჭავჭავაძე ამ წლებში გახდა დიდათ საყვარელი თა-
ვის სამშობლო ერისა, ამას დიდის პატივით დაუწყეს მზერა
თვით იმ უხუცეს ქართველთ მწერალ მამებმა, რომლებიც გუ-
შინ-წინ, ვინ იცის, რაებს არ სწამებდნენ, მაგრამ ცველაზე
უფრო სანაქებო ის იყო, რომ ილია ჭავჭავაძეს, ცველაზე უფ-
რო მეტის დიდებით ნიკოლოზ ნიკოლაძე უმზერდა. ჩვენთვის
ეს უფრო საჭიროა და საყურადღებო, რომ ისეთი პირიც კი;
როგორიც ბ-ნ ნიკოლოზ ნიკოლაძე ბრძანდება, რომელსაც
საქართველოში მოღვაწეებთა და მწერლებთა შორის ცალი არა-
ვინ ჰყავს და რომელიც ქართველთა გლეხთა-წოდების შეიიღე-
თა გონებითი განვითარების საქმეს უკეთოთ ცხად ჰყოფს,
არღვევს საუკუნოების განმავლობაში დამკვიდრებულ უხეირო
შეხედულებას, მეცნიერებულებით მოსავს გლეხთა
შეიიღთა მაღალ გონების მომავალს იმედს, ასეთ ჭკვიანი და;
უკიდურესის სამოქალაქო აზროვნებით აღჭურვილი მამულის
შვილიც კი მეტად დიდის უაღრესობით იყო სავსე, ილია ჭავ-
ჭავაძეზე მეტად დიდი შეხედულობა ჰქონდა. აქ ჩვენთვის ავ-
ტორიტეტიც საჭიროა. მე მჯონია, რომ ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს
და ანტონ ფურცელაძის შუა აღძრულ პოლემიკის შესახებ
სწორეთ ესეც უნდა გამხდარიყოს მიზეზათა, რადგანაც ნ. ნი-
კოლაძემ თავის წერილებში ბევრჯერ ჰყვედრა ანტონ ფურ-
ცელაძე, რომ შენ, როგორც ახალ აზრების კაცი, ილია ჭავ-
ჭავაძის და „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ ხმა არ უნდა
ამოგელოვო. ეს ცოდვა დაუვიწყელათ დაშთება ჩვენს მწერ-
ლობის ისტორიაშიო. ნ. ნიკოლაძის და ანტ. ფურცელაძის
პოლემიკამ ქართულს მწერლობაში დიდხანს გასტანა და ამ-

პოლემიკას ბევრი ალიაქოთიც მოჰყვა; ის კი უნდა შეინიშნოს, რომ ამ პოლემიკის დასაწყისი ისევ „ცისკრის“ და „საქართველოს მოამბის“ არსებობის დროის საქმეებიდამ იწყებოდა და აქ თითქმის იგივე პირები ეკამათებოდნენ ერთმანერთს, ვინც წინეთ იყვნენ, მხოლოდ მათ მიემატა ნ. ნიკოლაძე, თავის ძლიერის კალმით. დაფანებოთ ამას თავი, ჩვენ მივიღეთ ისევ საგანზე, რადგანაც ხსენებულ პირების და პოლემიკის ისტორიის შესახებ თავთავის ალაგას გვაქვს აღწერილი.

ილია ჭავჭავაძის თანამედროვე ქართველს მოღვაწებს გზაში ბევრი რამ დახვდათ გასაკეთებელი და შესამუშავებელი და ერთი ამ მრავალთაგანი იყო საქართველოში თავად-აზნაურობის ბანკის დაარსების საქმე. და ამ საქმის შესახებ აღძრული პოლემიკა გამოწვეულ იქმნა მის შესახებ, რომ ბანკის წესდება რიგიანათ შეედგინათ, ანუ შედგენილი წესდება განხილათ, ხელახლა შეემუშავებინათ და ზოგიერთი რამ მუხლები შეეცვალათ, რომელ მუხლების გაუქმდას აუცილებლათ ითხოვდა ბ-ნ ნ. ნიკოლაძე, თორემ ჩვენი ბანკის დაარსებით ქართველობა უარეს უბედურებაში ჩავარდებაო. ამ აზრისავე იყო ილია ჭავჭავაძე, მაგრამ საქმეს კი ვერ ახერხ-აგვარებდენ, ვერც ბანკი არსდებოდა და ვერცარა ახალ-წესდებას აღვნდნენ, როგორც იქმნა ბანკი დაარსდა, მისი წინანდელი წესდება დარჩა შეუცვლელათ, ამაზე ნ. ნიკოლაძემ მკაცრათ დაიწყო . დროებაში“ წერა და აუცილებლათ თხოვნა, რომ ბანკის წესდება უნდა გადაშინჯულ იქმნეს და ზოგიერთი მუხლები შეცვლილიო, თორემ თუ საქმე ასე დარჩა, მაშინ ბანკი ჩვენი ხალხის მამულებს უბრალო ფასად დაჰყიდისო და ქართველობას ისიც გამოეცლება ხელიდამა, რაც დღევანდლამდის შერჩაო.

ბ-ნ ნ. ნიკოლაძის პოლემიკა თავად-აზნაურთა ორივ ბანკის წესდების განხილვის საქმეს შეეხებოდა, ეს მკაცრათ ჰყვედრიდა იმ პირებს, ვინც ამ საქმეებში მცონარეობას იჩენდნენ, დრო აპ უნდა დახანდესო. საქმე მაინც ვერ მოგვარდა, ქუთაისშიაც დაარსდა ბანკი, იქაც დაიწყეს მოქმედება, აქ ამ

დროს საქმე სხვაფერ მოიშართა, ბ-ნ ნ. ნიკოლაძემ ზოგიერთ წერილებში მკაცრის კილოთი მოიხსენია ბანკის გამგეობა, მის მოქმედება და ზოგიერთ მოწინავე პირები. საყვედურები საკმარისად ილია ჭავჭავაძესაც ეხებოდა და ქუთაისის ბანკის მრჩეველს და შემდეგ დროის თავმჯდომარეს ბ-ნ ლოლობერიძეს. აქ ამათ და ნ. ნიკოლაძეს შეუა პატარა უკმაყოფილება დაიბადა.

პატარას მოჰყვა ცოტა რამ კიდევ საუბარი ბანკის კითხვების შესახებ. ნ. ნიკოლაძემ თამამათ დაუწყო ზოგიერთ პირებს ყვედრება და მხილება ბანკის საქმეებში, ამაში მოჰყვა თვით ილია ჭავჭავაძეც. აქ საქმე სახუმრო აღარ იყო, ნ. ნიკოლაძე ძლიერის ძალით ამხედრდა, ესვევ ილია ჭავჭავაძე და ამის მომხრენი ნ. ნიკოლაძის და ამის თანამოაზრეთა წინააღმდეგ. მალე გაიმართა მკაცრი პოლემიკა და ადგილობრივ ქართულ გაზეთში, უურნალში და რუსულ გაზეთებშიაც ერთთავად ბანკების შესახები პოლემიკური წერილები იბეჭდებოდა, არ გავიდა დლე, კვირა და ოვე რომ ბანკების შესახებ ჩვენში გაცხარებული ბაასი არ ყოფილიყოს. ამ ბაასმა დაბადა ჩვენში სრული განხეთქილება და საქმე იქადის მივიდა, რომ ჩვენი გამოხენილი მოღვაწე ნ. ნიკოლაძე მრისხანელ დაირაზმა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, მკაცრის კალმით გამოვიდა საბრძოლვად. აი, აქ კი, ამ დროს დაითხსა სრული სიძულვილი და განხეთქილება ამ ორს პირს და მათ მომხრეებთ შორის, აქ ამის შესახებ დაწვრილებით აღწერას არ შეუდგები, რადგანაც ეს ბანკის დაარსების და წარმოების ისტორიას შეეხება. მე აქ მხოლოდ აზრად მაქვს, რომ მკითხველს მოკლეთ გარდავსცე ბ. ნ. ნიკოლაძის და ი. ჭავჭავაძის ერთ დროის პოლემიკა, კამათი და ამის სურათი. მგონი მრავალთათვის არ უნდა იყოს ეს დავიწყებული ვისაც არა მოეხსენება-რა ამისი, ის ჩვენის მოკლეს წერილიდამ მცირეთ მაინც შეიტყობს ხსენებულ პირების განხეთქილების და საპოლემიკო აყალ-მაყალის ისტორიის უმთავრესს მიზეზებს.

გაზეთი „დროება“ მკაცრი წინააღმდეგი იყო ბანკების,

ილ. ჭავჭავაძის და ბ-ნ ღოღობერიძის ნ. ნიკოლაძემ „დროება“ ამათ საწინააღმეგო ზრდოლას მოანდომა. საპოლემიკო მხარეების მეოხებით ჩვენი საქმეები ისე მოეწყო, რომ ქართველთ ცხოვრებაში საჭირო შეიქმნა მეორე გაზეთის დაარსება, ან „დროების“ გაფართოვება და გაუმჯობესობა, ოორემ მაშინ „დროება“ ერთობ პატარა ზომის იყოს და ხშირათ საჭირო წერილების ბეჭდვასაც ვერ ასწრობდნენ. ამიტომ ერთ საღამოს ბანკის დარბაზში კრება იქმნა, კრებაზე დაესწრნენ მრავალნი გვამნი ქართველთა და მათ შორის ილია ჭავჭავაძეც. ბევრის საუბრის შემდეგ დადგენილ იქმნა ასე: სერგეი მესხს, „დროების“ რედაქტორს, ვსთხოვოთ, რომ „დროება“ გააფართოვოს, ჩვენ ამისთვის დახმარებას მივსცემთ. იმან მის მაგიერ ზანკის განცხადებები გვიბეჭდოს. თუ ამას იგი არ ისურვებს, მაშინ ჩვენ მთავრობას სხვა გაზეთის გამოცემის ნებართვა ვსთხოვ ვთოთ. მალე ს. მესხს გარადსცეს ამბავი, მაგრამ იმან უარი განცხადა და ამავ დროს ნ. ნიკოლაძემ წერილი დაბეჭდა „დროებაში“ და დაგმო ხსენებული კრება, რომ „დროების“ შესყიდვა განიძრავს ზოგიერთ პირებმა და მით ამ გაზეთის დამორჩილება და თავისთ დონეზე წაყვანაო; ე. ი. საბანკო კონვენციების მიყუჩებას ღამოდენო, მაგრამ უარი მოხსენდათო.

საქმე, კიცხვა და პოლემიკა მეტად აღორძინდა. მალე ილ. ჭავჭავაძემ მთავრობას თხოვნა მისცა ყოველ კვირის გაზეთ „ივერიის“ გამოსაცემლად. ნება-რთვა მიიღო და 1877 წ. მარტის 1-ლ როცხვებიდამ ტფილისში იწყო ყოველ კვირის გაზეთ „ივერიის“ გამოსცემა. „ივერიის“ მოვლენა ყველას სა. სიხარულოთ დაუშთა, დრო იყო უკვე, რომ ქართველებს საჭართველოში მეორე გაზეთიც დაბადებოდათ და აგერ გამოჩენილ მწერლის მეოხებით დაიბადა კიდევაც — „ივერია“, სადაც ხშირად ვხედავდით ხოლმე ჩვენის ბრწყინვალე მწერლის ილ. ჭავჭავაძის ნაწერებს, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა..

„ივერიაში“ მოღვაწეობა დაიწყო დ. ბაქრაძემ, პ. უმიკა-შვილმა. ორი-სამი ლექსი გრიგოლ არტელიანისაც დაიბეჭდა.

ამათ გარდა ზოგიერთ ახალგაზდა მწერლებმა და მათ შორის ბრწყინვალეთ იმუშავა ნიკოლოზ ქანანოვმა (ნ. დავითაშვილი). გაზეთის საქმე ამ პირს მიყვანდა და უნდა შეინიშნოს, რომ ისე ლამაზათ და ჩინებულათაც დაიწყეს წერილების წერა და ბეჭდვა, რომ იმ დროის კვალით მასზე უკეთესი აღარაფერი შეიძლებოდა. სხვათა შორის «ივერიაში» დაიწყო ილია ჭავჭავაძემ თავის ეკონომიურ წერილების წერა და ბეჭდვა, სახელდობრ „ცხოვრება და ქანთი“, რომელიც იმ დროის ქართველობაში დიდის სიამოვნებით მიიღო, რაღაცაც წერილის შინაარსი, მრავალნი მოსაზრებანი და შეხელულებანი ჩვენს აწინდელ ცხოვრებაზე, ქართველ გლეხთა მდგომარეობაზე და სასამართლოს მხარეებზე ბევრნაირს ცნობებს იძლეოდნენ ხსენებულ კითხვების შესახებ, ნამეტურ ჩვენის ქვეყნის კანონმდებლობაზე, მებატონის და გლეხთა ურთი-ერთობაზე და ბევრსაც სხვა საჭირო საგნებზე.

ამავე ნომრებში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძისაგან დაწერილი ისტორიული პოემა „მეჯვე დიმიტრი თავდადებული“, რომელიც ქართველ ხალხმა სიამოვნებით წაიკითხა. დიდად პატივცემულმა იაკობ გოგებაშვილმა ამ პოემის შესახებ წერილი დასწერა, რომ ქართულს ენაზე „ვეფხის ტყაოსნის“ შემდეგ ასეთი რამ ისტორიული პოემა აღრაფერი დაწერილა. იმ დროს ამ პოემაზე ასე შეიძლებოდა თქმულიყო, დღეს კი ასე არ არის, რაღაცაც მას შემდეგ ქართულს ენაზე თვით ილია ჭავჭავაძემ უკეთესი პოემებიც დასწერა.

გაზეთი „დროება“ თეალ-ურს ადევნებდა „ივერიის“ საქმეს, მის მიმღინარეობას და რამდენიმე ნომერი „ივერიისა“ ბ. ნ. ნიკოლაძემ „დროებაში“ გაარჩია. მალე „ივერიის“ პოლემიკაც აუტეხეს, მაგრამ „ივერიაში“ „დროების“ პასუხათ არაფერს სწერდნენ. ორი წელიწადი ისე იარა ამ გამოცემამ, რომ ერთი კრინტი, პასუხიც არ დაიძრა „დროების“ შესახებ. ბევრნი ამბობდნენ, რომ „ივერიაში“ რას დასწერენ პასუხათ, როცა გასამართლებელი პასუხი არაფერი აქვსთ. ილია ჭავჭავაძე

უმეტესად თავის ბრწყინვალე კალამს სულ სხვა-და-სხვა საჭირო კითხვების შესახებ წერას ანდომებდა და ნამეტურ ქართული ენის გასუფთავებას, გალაზათიანებას და ამ ენის სიყვარულის გავრცელებას ქართველ ხალხში. აქ ყოველი წერილი ბრწყინვას, ყოველი წერილი სიამოვნებით იკითხება; უმეტესი ნაწილი ამ წერილებისა ისე მშვენივრათ არიან ნაწერები, რომ იგინი არ ადროს არ დაკარგვენ კითხვის მიმზიდველურს ძალას. ეს არის ღირსება მაღალ ნიჭის მექონის მშერლისა. „ივერიის“ საქმე კარგად მიდიოდა და წუნი მრავალთაგან არა ისმოდა-რა, მაგრამ იმ დროის ბედ-შავ და ბედ-ასლ ქართველთათვის ორი გაზეთის საქმე ცოტა საჩოთირო გახდა, მრავალთაგან დაწერილნი ვრცელი წერილები „ივერიაში“ და „დროებაში“ ვერ თავსდებოდნენ, ხშირათ დაუბეჭდავათ შთებოდნენ, ამიტომ დაიბადა აზრი ქართულს ენაზე თვიურ უურნალის გამოცემისა, რითაც შესაძლებელი იქმნებოდა ერის სამსახური და საჭირო საქმეების კეთება. ამ საჭიროებას მეტათ დიდი უურნადღება მიაჰცია ილია ჭავჭავაძემ და მთავრობას თხოვნა მისცა «ივერიისა თვიურ უურნალად გადაკეთებაზე. ნებართვა მაღვ მიიღო და 1879 წ. „ივერიაშ“ თვიურ უურნალიდ იწყო გამოსვლა.

«ივერიის» უურნალად გადაკეთებამ მეტათ სასიამოვნო გავლენა იქონია ქართველ საზოგადოებაზე. უურნალში იმავე პირებმა დაიწყეს მეცადინეობა, ვინც გაზეთში სწერდენ. აქ მიემატა ანტონ ფურცელაძე, ძველი მეგობარი ილია ჭავჭავაძის, ძველი მოკამათე მისი, ძველი პოლემიზატორი. ამის დრო იყო უკვე და ესენი ცხადათ მიხვდნენ მას, რომ მათში სადავო არა იყო-რა, მათ ორივეს ერთად უნდა ეზრუნათ და მათი ზრუნვა კიდევ მიპყრობილი უნდა ყოფილიყო ჩვენის მოზარდ-თაობის განსაღვიძებლათ და განსამხნევებლად. მაგრამ ეს ისე არ აღმოჩნდა მაინც და მაინც, „ივერიაში“ ანტონ ფურცელაძის მხოლოდ ერთი ლექსი დაიბეჭდა. მიზეზები აქ ამის ნაწერების არ დაბეჭდვის ძველი უთანხმოება გახლდათ. განვლო მცირე უმშა, და ქართველთა ერთობის მნიშვნელობას ცხადათ მიხვდ-

ნენ, ერთობას ითხოვდა ნამეტურ ქართული ღატაკი მწერლობის მდგომარეობა, რადგანაც ქართულ ახალ მწერლობას სული არ ჰქონდა ჩამდგმარი. აი ამ საქმეებთა კარგათ შგრძნობელმა ილია ჭავჭავაძემ მიმართა სერგეი მესხს ასე:

— სერგეი, ჩვენ ერთმანეთში სადაცო არაფერი გვაქვს, დავანებოთ თავი უნაყოფო პოლემიკას, გმობას და საქმე ვაკეთოთ. შევერთდეთ ერთად და ერთის შეერთებულის უღლითაც ვიმზუავოთ. ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები ერთ დღეს ს. მესხმა მე გარდმომაც და თან დაატანა, მე უთხარიო, რომ „მე თქვენთან რა მაქვს საერთოფლა!“

ილია ჭავჭავაძე „ვერის“ უურნალად გარდაკეთებას აპირებს და „დროება“ და „ივერია“ ერთად შევაერთოთ, ერთ ხელის-მოწერით გამოვაცხადოთ. ს. მესხმა უარი უთხრა. მაგრამ ეს დიდხანს არ დარჩა ასე. ჩვენში მოხდა სხვა-და-სხვა შემთხვევები და ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს და ს. მესხს შეა უთანხმოება ჩამოვარდა. ამ უთანხმოების ჩამოგდების მიზეზი ისე ნ. ნიკოლაძეს არ ედება, როგორც ს. მესხს. ს. მესხის და ნ. ნიკოლაძის მტრობა იმან უფრო გაამწვავა და გააორკეცა, რადგანაც ამ დროს ნ. ნიკოლაძეს რუსულს ენაზე თვისი დღიური გამოცემა გაზეთი «ობზორი» ჰქონდა, რომელმაც იმ დროს ერთობ დიდი გავლენა იქონია ჩვენს ერზე, ამ გაზეთს თვით რუსეთშიაც კი სიამოვნებით უმზერდნენ. გ. თუმანიშვილმა თავის ერთ წერილში კავკასიის «ტაიმსი» უწოდა „ობზორს“. ს. მესხის და ნ. ნიკოლაძის შეა განხეთქილების ჩამოგდება გახდა უმთავრეს მიზეზად და ბურჯათ, რომ ს. მესხი ილია ჭავჭავაძეს დაუახლოვდა, უკანასკნელს ისურვა. ილია ჭავჭავაძეს-თან ერთს მწერლობის უღლელს ქვეშ შებმა. ეს მოვლენა ბევრისთვის გახდა სასიამოვნოთ და ბევრს კი ეწყინათ, მაგრამ საქმეს რომ დავკვირვებიყვით, მაშინ კი აქ საწყენი არაფერი უნდა ყოფილიყოს, გარდა სიყვარულისა, რადგანაც მაშინაც და დღესაც ჩვენი მდგომარეობა ისე არაფერს საჭიროებდა და საჭიროებს, როგორც ერთობას. ნუ თუ დრო არ იყო ერთო-

ბისა, დრო სიწყნარისა და ოსტატურათ მეცალინეობისა. სწორ
რეთ ეს იყო საჭირო და ესეც მოხერხდა. „დროება“ „ივე-
რიას“ შეუერთდა, „დროების“ ზომა გაფართოვდა, თვიურ
უურნალ „ივერიამაც“ წელიწადში ოთხ სქელ წიგნათ იწყო
გამოსვლა, ე. ი. სამ თვეში თითო წიგნი, მაგრამ ვრცელის
ზომის და სისქის.— „ივერიასა“ და „დროებაშიაც“ თითქმის
იმავ თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა, ვინც წინეთ იღებ-
დნენ ამ გამოცემაებში მონაწილეობას. აქ ორივ გამოცემაში
ილია ჰავეჯავაძეც მოღვაწეობდა, ორივე გამოცემა საკმარისად
გამზვენდა, ფერი გამოიცვალა. ამ დროს და ამ შეერთებული
გამოცემაების მეოხებით გამოვიტა სამწერლო ასპარეზზე ცვე-
ლასაგან ცნობილი მწერალი ალ. ყაზიბეგი.

ილია ჰავეჯავაძის წერილები „დროებაში“ რაც კი დაბეჭ-
დილა, ყველა დადის სიამოვნებით იკითხებოდა. აქ მთელი რი-
გი კითხვები აღმართეს ჩვენი ცხოვრების შესახებ და ნამეტურ
ქართული ენის მფარველობის. ამ დროს რუსულს უურნალ-
გაზეთებში ატყდა წერილების წერა შესახებ ქართველთა გვარ-
ტომობის, ამავე ხანას მოცყვა ქართულს ენაზე პიესა „სამშობ-
ლო“-ს წარმოდგენა, ამ გარემოებამ უფრო დიდი ალიაქოთი
გამოიწვია. მოსკოვის პატრიოტებმა თავიანთი ბაასრი კბილე-
ბით მომართეს. კატკოვმაც თავი წამოყო. ამას პასუხი მისცეს
მრავალთა. მეპასუხეუ შორის, გამოჩენილ კრიტიკოს ნ. მიხაი-
ლოვსკიმაც, რუსულს ენაზე, მასვე პასუხი მისცა „დროებაში“
ილია ჰავეჯავაძემ. პასუხი მთელს ქართველობას მოეწონა. რე-
დაჭციას აქა-იქიდამ ტელეგრამები მოსლიოდა და ხსენებული
წერილის დაბეჭდების გამო დიდს მაღლობას და თანაგრძნობას
უცხადებონენ. ილია ჰავეჯავაძის წერილის მაღალ შნორიანი ლირი
სების ცნობები რუსულ გაზეთებშიც გადიტანეს. აქ სწერეს,
რომ ქართველების ბრწყინვალე პოეტმა ილია ჰავეჯავაძემ კატ-
კოვის შესახებ შესანიშნავი წერილი დასწერაო. ამას თვით კატ-
კოვმაც მიაქცია ყურადღება. „დროებაში“ ბევრი რამ საუცხოვო
და ლიდათ საჭირო კითხვები გირკვა ამ დროს, მან რავისი ში-

მართულება ცხად ჰყო გაზეთში. ერთის სიტვით, გაზეთი-გაზეთს და ემსგავსა და ქართველთა ერთობის ღალადებამაც ცაში მომ-ფრინავი ფრთხების მსგავსი ზორტები მოიხა.

მაგრამ როგორც ქართველნი და ქართველების საქმე, არც ეს კეთილ განწყობილება და დაკავშირება დარჩა დიდხანს, ბრწყინვალეს ჰაზროვნებით მომხდარი დაკავშირება მაღვე და-ირლვა, უურნალი „ივერია“ ისევ ილია ჭავჭავაძეს საკუთრე-ბათ დარჩა და „დროება“ — ს. მესხს. ისევ განკურძოებით იწ-ყეს მოქმედება, აქ ალსრულდა დ. ბაქრაძისაგან წარმონათქვა-მი შენიშვნა, რომ ქართველებმა ისევ ცალკ-ცალკ იმეცადინეთ და მშრომეთ, თორემ შეერთებულის ძალით ვერაფერს გააკეთებთ და სიუფარულის მაგიერ განხეთქილებასაც დასთესავთ, ამას სიმძლელვა-რეც მოქვეყნათ. უნდა ითქვას, რომ თუმც ეს ორი გამოცემა ერთმანერთს და მორდნენ, მაგრამ ამათი გაცალკევება იყო მხო-ლოთ მოუთავსებლობა, თორემ სხვაფრივ იგინი დაშთნენ ერ-თის მიმართულებით და ერთის აზრებით. ილია ჭავჭავაძემ მა-ლე მთავრობას თხოვნა მისცა და 1881 წლიდან „ივერიამ“ თვიურათ იწყო გამოსვლა. თვიურ უურნალის გამოცემის დროს დიდათ, უანგაროთ იმუშაკა ივანე მაჩაბელმა, რომლის შრო-მის ცნობებიც ჩვენის მწერლობის ისტორიაში ფართო ად-გილს დაიკავებს. ამ დროებში ტფილისში გამოიცა უურნალ „იმედი“, რომლის მოთავეთ იმ დროის ახალგაზღები ითვლე-ბოდნენ. ქუთაისში დაარსდა კვირის გაზეთი „შრომა“, ამ გა-ზეთის თანამშრომლად საქამისად გამოცდილი პირები ირიც-ხებოდნენ. მოხდა შემთხვევები და ხსენებულ გამოცემაებს ილ. ჭავჭავაძესთან პოლემიკა აუტყდათ იმ დროს, როცა „ივერია“ და „დროება“ ერთად გამოდიოდა. უურნალ „იმედი“ ილია ჭავჭავაძეს არისტოკრატობას სწამებდა, ძველი აზრების ღალა-დებას და მომხრეობას, მოღვაწეობის უკულმართად გამოყენე-ბას და სხვანი. გაზეთი „შრომაც“ ემდურებოდა ილია ჭავჭა-ვაძეს, ესენიც ბევრნაირ შეცდომებს და ნაკლს სწამებდნენ, ამ გამოცემათა სიტყვით, ილია ჭავჭავაძე ვერ ასრულებდა თავის

მოვალეობას, მან თავისი ნიჭი გაალადა, გააცუდაო, ბანკს შე-სწირა თავისი ტალანტით. იგი ხეირიანს აღარაფერს დასწერ-სო, მან თავის მიმართულებას დიდი ხანია რაც ულალატა და განშორდაო, იგი ის პირი აღარ არის, რომელმაც „გლახის ნაამბობი“ დასწერა და „რამდენიმე სურათი ყაჩალის ცხოვრე-ბიდამაო“. ჩვენდა საუბედუროდ, ამ კიცხვა-გმობამ სხვანაირი სახე მიიღო, ზოგიერთებმა ამის შესახებ სულ ხამი, შეუფერე-ბელი შეხედულება შეადგინეს. აქ წამოჭიმეს დ. პისარევის სა-ხელიც და ყოველივე მიზეზი ჩვენი პოლემიკისა, განხეთქილე-ბისა, აღრევისა და არევ-დარევისა პირდაპირ დ. პისარევის გავ-ლენას მიაწერეს, მის წერილების კითხვას და იმავე აზროვნე-ბის ვრცელებას საქართველოში, რაც სხენებული პირის და მის თანამედროვე რუსის მწერლებისაგან რუსეთში აღორძინდა 1860 წლებში, და რომელ აღორძინებულ მამართულებამაც ჩვენს თავობაზედაც დიდი გავლენა იქონია, მაგრამ ჩვენში ეს მიივიწყეს და დ. პისარევი და მისი მოადვირება აბუჩათ აიღეს, ამის შესახებ სწერდნენ ყოველნაირს ცილისწამებას და ბევრს უხეიროთ განმარტულ ქართველთა შეცდომებს დ. პისარევს აწერდნენ. ქართულს მწერლობაში ასეთ უჯერო მოვლენას მრავალთა სამწუბარო თვალით შეხედეს და სხვათა შორის ანტ. ფურცელაძემ დაწერა წერილი ზემოხსენებულ პირთ აზროვნე-ბის წინააღმდეგ და პისარევის მოადვირების საპატიოთ; ეს წერილი „იმედში“ დაიბეჭდა, რადგანაც ანტონ ფურცელაძე იმ დროს „იმედის“ თანამშრომელით ირიცხებოდა.

ჩვენ ღარიბ მწერლობას ხშირათ ასეთი მოვლენაც აწუ-ხებდა; 1879 წლიდამ „დროებამ“ იწყო გმობა ისეთის გამო-ჩენილის მოღვაწის, როგორიც არის ნ. ნიკოლაძე, მალე ამ გამოცემას „ივერიაც“ მიემხრო. ესენი სწერდნენ ნ. ნიკოლაძის შესახებ ყოველნაირ ცილისწამებას, ტყუილს. ცნობებს. ყოვე-ლი ნომერი გაშინდელის ქართველთ გამოცემაებისა საესეა მი-სი გმობით. ხშირათ ეს გმობა კანონიერს ზომასაც გადადიო-და, ხშირათ მის პირად ღირსებასაც ეხებოდნენ. ამ კიცხვა-

გმობაში ნ. ნიკოლაძემ ქრთის მხრით ილია ჭავჭავაძეც დაინახა, სხვებისაგან ამას შეწერა ნ. ნიკოლაძეზე ცილისწამების ვრცელება, მტრების გაჩენა და ფრთხების შესხმა. ამიტომ ნ. ნიკოლაძეს და ილია ჭავჭავაძეს შუა დიდი განხეთქილება ჩამოვარდა, იგი სასტიკათ გამწვავდა.

ქართველთ მალე მოინარიკლეს ნ. ნიკოლაძე, თითქმის კალამი დაატოვებინეს. ეს განმორდა ქართველთ საზოგადო საქმეებს და წავიდა თავისს გზაზედ. ვიღრე ეს მოხდებოდა, მინამ ამან დაბეჭდა ერთი წიგნი სახელით ბრძოლა: „სახალიწლო“, სადაც წერილს „მამულის სიყვარულს და მის მსახურებაში“ ილია ჭავჭავაძის შრომის და ღვაწლის შესახებ ისაუბრა და მის ლირსებასაც შესაფერის თვალით შეხედა. აქაც კიღევ. ბ-ნ ნიკ. ნიკოლაძემ ილია ჭავჭავაძე მაღალ ნიჭის მექონათ აღიარა, რაის მეოხებითაც ნიკ. ნიკოლაძე აღმოჩნდა სიმართლის მოყვარე და სამართლიერ პუბლიცისტად. ამანვე და ამტკიცა ილია ჭავჭავაძის ლირსება იმ დროსაც, როცა მან ილია ჭავჭავაძის „გლეხების განთავისუფლების“ სცენები რუსულათ სთარგმნა და „იზიაშნი ისკუსტეოში“ დაბეჭდა. იმ დიდი კიცხვა-გმობის შემდეგ ნ. ნიკოლაძეს შეეძლო, რომ ილია ჭავჭავაძე სულაც უარ-ეყვა და ეგმო, მაგრამ არა, ამ უდიდესმა განათლებულმა კაცმა, მრავალთაგან უკანონოთ და უსაბუთოთ განკიცხულმა, მაინც ჭრის ჩას დაადგა, სხვა ლიტერატორებივით დალატს არ მიმართა და მან ილია ჭავჭავაძის შესახებ ისეთი აზრები და შეხედულება გამოაცხადა, რაც სხვებისთვის წარმოუდგენელი იყო და მასთან მიუხვედრიც.

მალე ქართველებში მისწყდა ნ. ნიკოლაძის კიცხვა, ამ დროს ჩვენში გაჩნდნენ ერთნაირი ჯურის ახალგაზდა წუკარტი მწერლები, რომელთაც წინანდებულათ იწყეს დ. პისარევის და მის მოძღვრების კიცხვა. მრავალთ უკეირდათ, რომ ქართულს მწერლობაში დ. პისარევის შესახებ აღძრულს კიცხვას რა ადრე გალი უნდა ჰქონდესო, რასა ჰგავს ესაოთ. მაგრამ რას ვიზამ-

დით ბრალიანი და უბრალო ყველა ამ ცნობილ ნიჭიერ-ლის სახელს და ნაწერებს ეკამათებოდა. ამ პირის და ამის ნა-წერების შესახებმა კიცხვა-გმობამ ჩვენს მწერლობაში ღიღანას გასტანა და რაკი 1885 წ. ილია ჭავჭავაძემ დასწერა მოწინა-ვე წერილი „ივერიაში“ და პისარევზე ისაუბრა გაკვრით, ამ წე-რილის შემდეგ კი მცნობნი და არა მცნობნი ეცემოდნენ დ. პი-სარევს, ამის ნაწერებს და ჰემობდნენ უმართებულოთ და უკა-ნონოთ. მიზეზი, ოუ რამ დაბადა ეს პოლემიკა და საუბარი და რისთვის დაირაჩმა პისარევის მოძღვრების წინააღმდეგ ისე-თი შესანიშნავი მწერალიც, როგორიც ბრძანდებოდა ილია ჭავჭავაძე, ამის მიზეზი იყო რამდენიმე ჭორიკანა ქართველთ პირების მეოხება, რადგანა ეს პირები ილ. ჭავჭავაძეს ათასნაირს ჭორებს უზიდავდნენ ზოგიერთს ჩვენს მოღვაწეებზე და ვინ იცის რაებს არ ასმენდნენ, ყველაფერს უტყუვრათ არწმუნებდ-ნენ. ამ ბოროტ პირების ჭორიკანობამ დიდან გასტანა, მათ საკმირისი შფოთიანი განხეთქილება დასთესეს, მათმა ენამ არია ჩვენთა საზოგადო მოღვაწეთა ვითარება, სიყვარული და დამო-კიდებულება, ბევრსაც დასთესავდნენ, მაგრამ უკანასკნელ ეს მათ ვეღარ მოუხდათ, რადგანაც ილია ჭავჭავაძემ კარგათ მიხვ-და მათ უჯერო და უმართებულო ენაობას, აღარაფერი ირ-წმუნა და ჩვენთა ზოგიერთ მოღვაწეთა ყველრებასაც თავი და-ანება.

უნდა ვსთქვათ, რომ აქ მარტოთ ილია ჭავჭავაძე არ იყო უკმაყოფილო სხვა ჩვენს მწერლებზე, აკაკი—ილიას ემდუროდა, ანტონი—ნიკოლაძეს, ს. მესხი სხვებს, ასევე გიორგი წერეთე-ლი.—ივერია—იმედს, დროება—შრომას, „მწყემსი“ კიდევ სხვებს და ყველანი კი ერთმანერთს. ყველა ერთმანერთის კერძო-პი-როვნული მხარეების შესახებ აღძრულ კიცხვა და გმობას ეძ-ლეოდა, ყველა თავის თავის მოყვარეობის ცნობებს იცავდა და მისთვის ბრძოდა ყოველნაირათ, რაისათვისაც აღარაფერს ღონისძიებას არ იშურებდნენ. ამ შემთხვევების დროსაც ილ.

ჭავჭავაძე, როგორც ჩვენი ერთობის მღალადებელი და მქადა-
გებელი, თუმც მრავალთ ემდურის და უსაყველურებს ზოგი-
ურთ რამებზე და არ ეთანხმება, მაგრამ იმავე დროს იგი თან
შერიგებას და ქართველთა ერთობას ამუღარებს, ქართველთა
სიკუარულს და პატივისცემას, რაც მრავალთათვის ხშირათ სა-
ეჭვოთაც ხდებოდა.

ჩვენ, ქართველნი, დღეს ისეთ მდგომარეობაში ვართ ჩა-
ვარდნილი, რომ ჩვენთვის დიდათ საჭირონი არიან მოწინავე
კაცები და მასთანვე ჩვენი დამაკავშირებელი ძალაც. ასეთ ერ-
თობის დამაკავშირებელ ძალათ და ჩვენთა სახელის გამამშვე-
ნებლათ ჩვენ ვხედავთ ილია ჭავჭავაძეს, ~~აკარე~~ და სხვებს, უამ-
თა ვითარებამ ჩვენ თვალები გაგვიხილა, საკმარისად ველორ-
ძინდით განვითარებით, ჩვენ მრავალთ განათლებულ ერთაგან
მივიზიდეთ ჩვენი ყურადღება, მათ ყურადღება მოგვაპყრეს
დაიწყეს საქართველოში მოგზაურობა, ქართველი ხალხის გა-
ცნობა, ქართული მწერლობის და ქართული ენის. ამისთანა-
დროს ჩვენთვის საჭირონი არიან ისეთი თამაში მოწინავე პირე-
ბი, როგორიც ბრძანდება ილია ჭავჭავაძე, ეს ისტუმრებს ყვე-
ლა მოწინავე პირებს, ესაუბრება მათ, აცნობებს ჩვენს ქვეყა-
ნას, ერს, ენას, მწიგნობრობას და წარმოთქვამს ხოლმე შესა-
ნიშნავ სიტყვებს, რომელსაც აღტაცებაში მოყავს მრავალნი,
უცხო მსწავლულნი სიამოვნებით საესენი ბრუნდებიან თავიანთ
სამშობლოში, თან მიაქვესთ ქართველთა შესახებ საიმედო ცნო-
ბები, იგინი ბეჭდავენ თავიანთ მოგზაურობას, მოიხსენებენ
ილია ჭავჭავაძეს, აღწერენ ამის განვითარებას და აღტაცებულ-
ნი შთებიან, როგორც ჭკვიანის მოწინავე ქართველთა შესახებ,
ისევე მაღალის იდეებით გამსჭვალულ მამულის შვილის და შსწა-
ლულ კაცის. რაც ასეთ პირებისაგან ილია ჭავჭავაძის შესახებ
კანონიერი ქება და დიდება წარმოთქმულა და დაბეჭდილა,
ამას რიცხვი არა აქვს. ჩვენში ბევრისთვის ილია ჭავჭავაძის
ასეთი ქება და დიდება საწყენათაც დაშთენილა ხოლმე, მაგ-
რამ ამის წინააღმდეგ რას გავაწყობდით. ეს სენია ბეჩავი ქა-

რთველებისა. ილ. ჭავჭავაძე ჩვენის ქვეყნის სიკუარულით იქამდის მაღალის გრძნობებით არის სავსე, რომ მან გააკვირვა თვით აჭარიდაშ მოსული ფანატიკა ხოჯები და მოლებიც, რომელთაც გაუმართა მასპინძლობა, ესაუბრა მოქარგულის ქართულის ენით და მათში ისეთი ზე-გავლენა მოახდინა, ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ საუკუნოების განმავლობაში ყოფილი ფანატიკები გარინდული და შთნენ. ამათ აღარ იცოდნენ როგორ გადახსადნათ სამაგიერო, შინ დაბრუნდნენ და თან ქართველთ მოყვარეობის შესახებ საზღაპრო ცნობები წაიღეს. ამათ ზოგიერთი მისი ლექსები წაუკითხეს და მათ დიდათ მოეწონათ „მეფე დიმიტრი თავ-დადებული“, „დედა და შვილ“ და ნამეტურ „ინიჩარი“, რომელიც მათზეა დაწერილი და ოსმალეთში მყოფ ქართველთა ცხენოსან მხედრებზე.

შეიძლება იყითხოს ვინმემ, თუ რა აიძულებს ილ. ჭავჭავაძეს, რომ ყველა ჩვენს უცხო სტუმრებს ასე ეპყრობა და პატივსცემს? სხვები ამათზე თავითნთსას იტყვინ და ვინ იცის რას მიაწერენ და მე კი ვიტყვი შემდეგს: წმინდა მამულის-შვილური სიკუარული, წმინდა ქართველობა, წმინდა ცხოველი გრძნობა, რომელიც ამ ძირითას მოძღვარს ახალგაზღობი-დგან დღვევანდლამდის გვამში ულვივის.

ილია ჭავჭავაძის ამაგი საქართველოზე და ქართველ ხალხზე ერთობ დიდია და უსამზღვრო. ჩვენ არ ძალგვიძს, რომ ყველა მის მიერ გაკეთებულ — საქმეების ცნობები აღვნუსხოთ. ეს შეუძლებელია: იმას კი ვიტყვით, რომ ტფილისში არ გაკეთებულა. არც ერთი საზოგადო საქმე, რომ მის მეთაურაშ ილია ჭავჭავაძე არ ყოფილიყოს: ამის ღვაწლი „წერა-კითხვის სამართველოზე“ საქმარისია. ამ საზოგადოებას გარეშე სხვები რომელ ერთი მოვსოვალოთ, ყოველ დღეს, ყოველ საათს და ყოველ წუთს ამის წინ სხევს ან ერთი ჩვენი საზოგადო საქმის ქაღალდი, ან მეორესი, ან მესამესი და იგი ქაღალდი ელის ილია ჭავჭავაძის განხილვას, გაცნობას და პასუხს. ჩვენდა საუბედუროდ და ჩვენის ბანკების მეოხებით ასეთ ბრწყინ-

ვალე პირს ჩვენში ხშირათ მეტათ ცუდი დღეებიც უდგება, ბურუსით და ნისლით მოსილი, ბანკების მეოხებით ბევრს ჩვენ მოღვწე პირებთან კამათი და პოლემიკაც გამოიარა. როგორც ზღვაში ჩავარდნილი ერთი ფიცარი მცურავი და მღელავი ზღვისა და ქარიშხალის ღელვასთან, ისევე მოწყვდეულია ილ. ჭავჭავაძე მრავალთა მოწინააღმდეგეთა შუა და იგი ვინ იცის რა შრომას, კამათს და მღელვარებას არ ითქმის, რომ ყველა ამ მოთმენით და მეცადინეობით ბანკის საქმეს კი არა ევნოს-რა; მისი მიმდინარეობის საქმე კარგათ წავიდეს, მას გზაში რამე ხიფათი არა დახვდეს-რა. მაგრამ მრავალნი ამ პირის ასეთს მეცადინეობას არ ერწმუნებიან, მის ცხოვრებასა და მოქმედებას ბევრნაირს ღალატს და შურს. სწამებენ, ჰემობენ, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მივა, მაშინ კი ყველა ეს დარაჯმული პირები წმინდა გრძნობის წინაშე თავს იხრიან და ილია ჭავჭავაძის საწინააღმდეგოდ ვერას ჰედავენ, გარიდულნი შთებიან და ღირსეულს მამულის შეიღების ღირსეული ქებითაც აჯილდოვებენ, მის სახელს და მოღვაწეობას ია-ვარდების ყვავილებით მოსავენ. ასე ყოველ წლის ბანკის კრებებზედაც.

მაგრამ დავანებოთ ამას თავი და ვსთქვათ მხოლოდ ერთი ცნობა, რომელიც ბანკის შესახებ კითხვების საქმეს შეეხება. ეს არის პოლემიკა დიმიტრი ყიფიანს და ილია ჭავჭავაძეს შუა, რომლის მოუხსენებლობა ჩვენ არ შეეგიძლიან. ეს პოლემიკა ატყდა 1887—88 წლებში. დ. ყიფიანი ითხოვდა: ჩვენ ბანკი მიტომ დავარსეთ, რომ ამის არსებობის საშუალებით ჩვენის თავად აზნაურობისთვის დახმარება მიგვეცა ე. ი. ღარიბები დაგვეფარა და არავის მამულები არ გაყიდულიყო. ტორგითა. ჩვენ რომ გვცოლნდა ეს საქმეები, მაშინ ამას არ ვიზამდით, ბანკს არ დავარსებდითოთ. ილია ჭავჭავაძემ მოკლეთ მიუგო პასუხი და დაუმტკიცა მატემატიკურის და ალგებრიულის ცოდნით, ჩვენ რომ მაგაებს გავყვეთ, მაშინ ბანკი დაეცემაო და ჩვენთა საზოგადო საქმეებსაც თავის დამხმარებელი სახსარი მოესპობაო. ბანკიდამ ვისაც ფული გააქვს, იმან უნდა

სცოდეს თავის მოვალეობაო. თუ ბეჩავმა ქართველმა თავის მოვალეობა არ იცის, იმას ჩვენ რაც უნდა მზრუნველობა გაუწიოთ, იგი თავის ბეჩაობას მაინც არ დაიშლის და უკანასკნელ მისი მამული კი მაინც გასაყიდათ გახდებაო. ბანკი სხვა-და-სხვა საქმეებისაგან დაიტვირთება, მერე ჩვენ მარტოთ მზრუნველობასაც ვერ აუვალთ, ყველაფერი წელიდამ წაგვივა. დროა, რომ ქართველმა ისწავლის ვალის გარდაცდა, დროა თვალები გავახილოთ, თორემ სხვა ტოშის ერნი გაგვისწრობენ წინ თავიანთის შნოთი და ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ. ჩვენ ჩვენი მამაშვილური მზრუნველობა ბოლჩაში შესანახათ გავვიხდებაო. საზოგადოებაში ზოგნი დ. ყიფიანის აზრის მორჩილნი იყენენ, და ზოგნი კი ილია ჭავჭავაძის. ვინ იყო ამ ორში მართალი, ამის განხილვა მკითხველისთვის მიგვინდვია. იმას კა ვიტყვით, რომ რა წესებითაც დღეს ბანკი არსებობს და მოქმედებს, საბანკო საქმეები და აღებ-მიცემა კარგათ მიღის. ბანკის საქმეების კარგათ წასვლა რასაკვირველია მარტოთ ბანკირებისთვის. არ უნდა იყოს, აგრეთვე მოგირავნებისთვისაც, ბანკს რომ რა-მე დაემართოს, ის მოგირავნებისთვისაც ცუდი იქმნება და მას-თან ვე დასაღუპიც, მაგრამ არა, ამის შიში ჩვენ არ უნდა გვქონ-დეს, რადგანაც აქ ბრძანდება ქართველთ გვარის მოკეთე ილია ჭავჭავაძე. ვიღრე ეს პირი აქ ბრძანდება, ვიღრე ეს პირი ცოცხალია, მანამდის თავალ-აზნაურთა ბანკის საქმეს ში-ში არა აქვს, ხოლო შემდეგ როგორ წავა და წაემგზავრება მის საქმე, ეს უწყის ღმერთმან.

დაუმატებთ, რომ ბანკის საქმეში და სამსახურში ჩინებულათ ბრწყინავს თ. ივანე მაჩაბლის სახელიც. ივანე მაჩაბელი ცნობილი გვამია ჩვენში, შესანიშნავი მთარგმნელი შექმნირის დრამებისა, ერთ დროს გაზეთ „დროების“ და „ივერიის“ რე-დაქტორადაც ყოფილა, ამ პირს ბევრს საზოგადო საქმეებში მიუღია მონაწილეობა და იმედია ვიღრე ცოცხალ იქმნება, მა-ნამდის იგი ბევრს საზოგადო საქმეებშიაც მიიღებს მონაწილე-ობას, ბევრს გააკეთებს და ბანკსაც კარგათ ემსახურება. ამაგებს

გარეშე ივანე მაჩაბელი არის საქმარისათ განათლებული. პირი, ეცროპიულის განვითარებით აღვსილი, მასთანვე ქართული ენის კარგათ მცოდნე, ზედ მიწევნიდ, დიდათ მოსიყვარულე საქართველოს ერისა და მის წინმსვლელობის, მაგრამ, ჩვენდა. საუბედუროთ, ამ პირს, ვ. მაჩაბელს, მ. მაჩაბელს და ილია ჭავჭავაძეს შეუ ბანკის საქმეების გამო დიდი ბჭობა და კამათია ატეხილი. ყოველ წელიწადს ამათში სტყდება ბასი, საუბარი და ათასი სხვა დაუსრულებელი ამბები, რასაც ჩვენ აქ ვერ მოვთვლით. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ წინეთ ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი დიდი ერთგული მეგობრები იყვნენ, ვიცით, რომ ილია ჭავჭავაძემ ააღებინა ივ. მაჩაბელს ხელში კალამი და ქართული მწერლობის ასპარეზზე გამოიყვანა. ესენი ერთ დროს ერთად ეწევოდნენ ქართული მწერლობის საქმეებს და ბანკის ულელს. დიდი მეგობრობა სუფევდა მათში. ილ. ჭავჭავაძე იმოდენად პატივს სცემდა ივ. მაჩაბელს, რომ მან შესწირა ივანე მაჩაბელს ისეთი განვითარებული ქართველი მწერალმოღვაწე, როგორიც იყო ნიკოლოზ ქანანოვი („ივერიაში“ დავითაშვილის ფსევდონიმით), ვისაც ახსოვს ნ. ქანანოვის შრომა „ივერიაში“, ის ამ პირის მოცილებას ჩვენის მწერლობისა და საქმეებისთვის დიდ დანაკლისათ ჩასთვლის. ასე იყო წინეთ ამ ორ პირს შეუ კავშირი, ასე შრომობდნენ ესენი. დღეს კი მათში სრული განხეთქილება არსებობს. ასეთსავე მდგომარეობაშია დღეს მოთავსებული დიდათ ნიჭიერი და ენა მახვილიანი მამულისშვილი პუბლიკისტი ილია ბახტაძე, საუბედუროთ ეს პირიც ასევეა დღევანდელის ქართულის მწერლობისაგან უსამართლოთ განრინებული!

ამიტომ გვენატრება ჩვენ, რომ სსენებულ ძველთ მეგობართ შორის მტიცე კავშირი დამყარდეს, დროა მოისპოს აღრევა, ქიშობა, ერთმანერთის ზიზლი და მტრობა, ერთმანერთის საწინააღმდეგოთ დაფარვით მოქმედობა. რასა ჰგავს ეს, რასა ჰგავს ჩვენი მდგომარეობა, ვის მივაწეროთ ეს დავი-დარა, რის მიზეზებს? დროა გონებას მოვიდეთ, დავაკვირდეთ

ჩვენს გაწყალებულს მდგომარეობას, ჩვენი ტომის განსაცდელს, ჩვენი ენის და მწერლობის უძრულებას, დაუსრულებელს აღ- რევას და განხეთქილებას. წარსულშიაც ეს იყო ქართველთა უბედურება, ამის მეტი არა გვაკლდა-რა ჩვენ იმ დროსაც კი, როცა ჩვენს სამეფოს ბოლო გლებოდა; ეს რომ ჰქონიდათ ჩვენს მამებს, მაშინ მათ სხვა აღარაფერი დასჭირდებოდათ, მაგ- რამ ეს ძვირფასი ერთობა აკლდათ, ეს საუნჯე ერის დიდები- სა, კაცთ-მოყვარეობისა, სათნოებისა და პატიოსნებისა; ვამ- ბობთ აკლდათ და ამის შეგნებასაც არ მისდევდნენ იგინი. ჩვენ თავთავის დროის კვალათ წავხდებით, თუ ამ მამა-პა- პურს უბედურებას გზა-კვალი არ აუხვიეთ. იქ, საღაც უნდა ასესებობდეს დიდი ერთობა, დიდი ქართველური მეგობრობა; დიდი ძმობა და კავშირი, იქ ეს არ არის! ილ. ჭავჭავაძეს მთე- ლი ქართველობა იცნობს, მთელს ქართველობას ეს გვამი ქა- რთველთა ერთობის მღალადებლათ ჰყავს მიღებული, რასაც მოწმობს თვით ამ პირის ბრწყინვალე კალამიც, ვიცნობთ აგ- რეთვე ივანე მაჩაბელსაც და ბევრს სხვებსაც, ვიცნობთ ამ პირს; რომ ამ პირსაც საქართველოს პატივისცემა აქვს მოპოვებული. მთე- ლი თბილისის ქართველობა ამ პირებს ჯეროვან ყურადღებას აქცევს, შესაფერს პატივს. ავილოთ თუნდა ის წრეები და წო- დება, ვისაც ამ სტრიქონების დაწერა ეკუთვნის; იქ დიდი მწუ- ხარება სუფევს ამათ განხეთქილების გამრა, დიდი გულისწყრო- მა, უწყიან იგინი, რომ იქ საიდგანაც ჩვენ უნდა ვწავლობ- დეთ ერთობას და მის მნიშვნელობასაო, ჩვენ ვხედავთ სრულს განხეთქილებას და შფოთებსაო. ასეთი საუბარი მე ხშირათ ისეთ წრეებში და შეკრებილებაშიაც მინახავს ხოლმე და ისეთ მდა- ბიოთა შორის, რომ სირცხვილით ხმა ვეღარ ამამიღია და გავ- ჩუმებულვარ. რა მდგომარეობა უნდა იყოს ჩვენთვის, რომ შესმენილ ქართველთა ასეთ ნაკლს თვით თბილისის ქართველთ ხელოსნები და ვაჭრებიც კი აცმევენ, ისეთი პირები, რომელ- თაც სკოლური სწავლაც არ მიუღიათ, მხოლოდ ქართული მწერ- ლობის გავლენის ქვეშ აღზრდილა.

ყველა ამაებს ადგილათ ვწერთ; ენა ადვილად ამბობს, მაგრამ ამავე დროს გული ბოლმით მევსება და ხშირათ ვწუხდები კიდეც, როცა ვხედავ ჩვენთ კეთილ შინდილთ წოდების ასეთ საქციელს, ასეთს არა შესაფერს მოქმედებას; ერთი უბრალო რამე, ერთი სიტყვა და შენიშვნა მათში ჰბადავს პარტიობას, განხეთქილებას, სიმძულვარეს და აღრევას, ჯერ დღეს ამ შვილბიანს დროს, ამ მილულების ხანას რომ ესენი ესეთები არიან, ნეტა წარსულში რაღა იქმნებოდნენ, როცა მათ თავიანთი სათავის აღვირი ხელში ეკავათ თავისუფლათ, ნეტა მაშინ რა კანონმდებლობა არსებობდა მათში, რა კაცთ-მოყვარეობა და ჰუმანიური მხარეები. ამის კითხვის პასუხებს ცხადათ აჩენს დღევანდელი მათი ყოფა-ცხოვრება, მიღრეკილება, თავმოყვარეობა, მელიდურება და მრავალიც სხვა არა სანატრელი საქმეები, რომელშიაც გახვეულია მათი გონება, მათი სულიერი და ხორციელი მხარეები. მაგრამ ვიმედოვნებთ მით, რომ ამ გათახსირებულ დროსა და გარემოებაშიაც ქართველობას თითოეული შესამცნევი პირებიც ევლინებიან, რომელნიც თავიანთის ბრწყინვალის კალმით რისხვას სცემენ ქართველთა კეთილ შინდილთ უხეირობას.

ჩვენ ვთქვით და ვიმეორებთ, რომ დიდის სულით და გულით გვენატრება ილია ჭავჭავაძის და ივ, მაჩაბლის ერთად დაკავშირება და დამეგობრება წინანდებურათ. ეს ჩვენ მით უფრო გვსურს, რადგანაც ათასნაირი ამბოხება შფოთებს ჰბადავს და მოწინააღმდეგებსაც ბრწყინვალე დროს უნაყოფო ბრძოლაზე და კამათზე აკარგვინებს; ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი საქმეები ისე მომართეს, რომ მთელ ქართველთა გვარის კითხვები მპოლოთ ამ ბანკს შესწირეს. ბანკი, ბანკი, და ამის შფოთები, განხეთქილება, დავა და დარაბ! დღევანდელი ქართველი თავად-აზნაურობა მხოლოდ ამ ბანკის კითხვებით არის გატაცებული; როგორც დადგება მაისი და დაიწყება მაშინათ-ვე ერთი ამბოხება! კაცი განცვიფრდება ამაების ხილვით. აქ ხშირათ ისეთი მღელვარება სტყდება, რომ მათ ისეთი დამა-

მშვიდებელი და დამწყნარებელი პირი არ ჰყანდეთ, როგორც ილია ჭავჭავაძეა, მაშინ იგინი ვინ იცის რას იზმენ, ერთ-მანერთს დაერევიან და სულ ამოულეტენ. ეს არავინ იუცხოვოს, ჩვენ ქართველნი ასეთ ულეტა-წყვეტას ძველათვე შევე-ჩვიეთ. ოუმცა ყველა ამ ამბოხებისაგან ბევრი უსიამოვნო საქ-შეებიც იბადება და გამწვავება, რაც დიდათ მოქმედებს ბანკის არსებობასა და მოძრაობაზე, მაგრამ ჭკვიანის მეთაურის ფი-ნანსისტის მეოხებით, ყველაფერი მაინც წინსვლის გამარჯვე-ბას არ სცილდება; ბანკის მსვლელობის საქმე თავის პირიანის, სასარგებლოს მოქმედებით და აღებმიცემით ეძლევა მიმდინარე-ობას, ეს არის ღირსება და ძალა ისევ და ისევ მრავალთა შე-მცნებულთა გვამთა ჭკუიერის შრომის და ამ შემცნებულთა გვამთა რიცხვს მეთაურობს ხშირათ უცდომელობით აღვსილი ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძე რაში არა ბრძანდება მცოდნე, მარჯვე და შორს მხედველი? ყველაფერში, ყოველგან და ყოველთვის მარ-ტო საბანკო და საფინანსო კითხვების ცოდნით არ დაამტკი-ცა ამ კაცმა თავისი განვითარება. ესევე პირი ჩვენს მწერლო-ბაშიაც არის საკმარისად განათლებული კრიტიკისი და ისტო-რიის მხილებელი. მაგალითებრ „Съверныи Вѣстник“-ში დაიბეჭდა „წერილები საქართველოს შესახებ“ ბ. ჯაბადარისა. დაწერება ამა წერილებისამ საქართველოს და მის წარსულს ცხოვრებას ხამის თვალით შეხედა. ბევრი რამ მისგან აღძრუ-ლი კითხვები ჩვენის ცხოვრების ვითარებას არ ეთანხმებოდა. ბევრს სტრიქონებში აზრის მერყეობაც სჩანდა და ნამეტურ იმ ფურცლებზე, სადაც დამწერი საუბრობს XII საუკ. ქარ-თულს მწერლობაზე და უწყის, რომ ვითომც შოთა რუსთა-ველმა „ვეფხის-ტყაოსანი“ სპარსულის ენიდამ სთარგმნა, ვი-თომც ეს პოემა არის გარდოკეთებული შეიხ-ნიშამ შედილინის პოემა „ლეილიანიდამ“. რუსთაველი შემდეგ საუკუნოებში სცხოვრებდა, „ვეფხის-ტყაოსანი“ თამარ მეფის საღილებლათ შემდეგ საუკუნოებშია დაწერილიო. აქ ამან კმაფიოთ სენ-

კოვსკის აზრები განიმეორა. ასეთი წერილების წერა ჩვენ მფ-
ტათ უმართებულოთ მივიღეთ. პასუხი მისცეს ბ. ნ. ნიკოლა-
ძემ „აზალ მიმოხილვაში“ და ოლია ჭავჭავაძემ „ივერიაში“:
პასუხი ფელეტონებათ იბეჭდებოდა და ეწოდებოდა „აი ისტო-
რია“. ოლია ჭავჭავაძემ ამ წერილების დასაწერად იხმარა ყო-
ველნარი ლონისძიება, იგი აღიურვა მთელის ევროპის გან-
ვითარებულ მეისტორიეთა ნაწერებთა შეხედულებით და აზრე-
ბით, ასე რომ როცა კაცი ილია ჭავჭავაძის „აი ისტორიას“
კითხულობს, მაშინ იმას ხსენებული წერილების დამწერათ
ვინმე ბანკის თავმჯდომარე კი არ უნდა ედგას თვალთ-წინ,
არამედ ევროპიულის, ისტორიულის განვითარებით აღჭურვი-
ლი ისტორიკოს-მეცნიერი. ჭართველმა მკითხველმა ილ. ჭავ-
ჭავაძის წერილებს მკაცრის თვალით შეხედა, ბევრნი ჰყვედ-
რიდნენ ილია ჭავჭავაძეს, მაგრამ უკანასკნელ — კი ნათლათ
დარწმუნდნენ, რომ ილია ჭავჭავაძის წერილები იყვნენ დიდის
ქეშმარიტებით სავსე და ისე დაწერილი, როგორ წერასაც
დღეს ჭართველთა გვარის ვითარება და გარემოებათა პირობე-
ბი მოითხოვს.

ასეთსავე და უფრო შესამჩნევს ლირსგბათ ჩაითვლება ილ.
ჭავჭავაძის წერილი აკაკის წაკითხულ შოთა რუსთველის ლექ-
ციის შესახებ. ეს ორი უაღრესი მამულის შვილები „ვეფხის
ტყაოსანზე“ სულ სხვა-და-სხვა შეხედულების არიან. ორივ
ერთმანერთს გაებაასნენ და ამ ბაასის დროს იმაზე კი არ ისა-
უბრეს, რაც ამათ ბაასს შეეხებოდა, არამედ ერთმა ჭარმოსთქ-
ვა, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ ორგინალური ნაწარმოებია, იგი
ჭართველთ ისტორიას წარმოადგენსო. მისი გმირები ჭართვე-
ლები არიან და აქა-იქ მოხსენებული ადგილებიც საჭართვე-
ლოს ადგილებიო. ამ განცხადებით აკაკის სურდა დაემტკიცე-
ბინა „ვეფხის-ტყაოსანი“. ხალისი ჭართველობა და მასზე სპარს-
არაბთა მწერლობის არაფერის ზე-გავლენა. ილია ჭავჭავაძემ კი
„ვეფხის-ტყაოსანის“ გმირებს სხვა გვარი მნიშვნელობა მისცა
და განაცხადა, რომ რუსთაველს „ვეფხის-ტყაოსანში“. მსოფ-

ლიო გმირები ჰყავს წამოყენებულიო, და არა რომელიმე კერძო ცხოვრების მექონე კაცებიო. მკითხველი დაინახავს, რომ აქ აკაკის მოსაზრებაც მართალია თავის განზრახვათა წინაშე, რადგანაც გარემოებამ ჩვენ იმ წერტილამდის მიგვიყვანა, რომ ბ. ჯაბადარმა და ბარონ ბრამბეუსმა „ვეფხის-ტყაოსანი“ „ლეილიანის“ მსხვერპლად გახადეს, სპარსული ენიდამ არის ნათარგმნი, შემდეგ საუკუნოებში დაწერილი და სხვანიო! რაც არ იყო შესაწყნარისი. ილია ჭავჭავაძეც მართალია მით, რომ მისი შეხედულება ემორჩილება საზოგადო მოვლენას, მსოფლიო ერის განვითარების პროგრესს, წინ სვლას, ნიჭის მსოფლიო მნიშვნელობას, მსოფლიო ერის საკუთრებას. გენიალური პოეტები თავიანთ უკვდავს ქმნილებებში კერძო ცხოვრების მექონ პირებს კი არ წარმოადგენენო, არამედ მსოფლიო გმირებსაო. ავთანდილი, ტარიელი და სხვანი მსოფლიო გმირები არიანო და არა კერძოთ ქართველებიო.

ამათ შესახებ მე აქ არას ვიტყვი, მიმინდვია თვით მკითხველისთვის, რომელია ამათში მართალი და უფრო მისაღები.

ისტორიულ მწერლობას და კრიტიკას გარეშე ეს მოხერხებული მწერალია სააგრონომიო მწერლობაშიაც. ამისაგან დაწერილი წერილები ჩვენს მეურნეობის შესახებ, ღვინის დაყენებაზე, საქონლის შესახებ და სხვები, რომელნიც „ივერიაში“ გაფანტულია და რომელთაც კაცი აქ ვერ მოსთვლის, ცხადათ ამტკიცებენ ილია ჭავჭავაძის ხსენებულ საგნების კარგათ ცოდნას.

გამოურკვეველმა და ჯერეთ გამოუძიებელმა მაღალმა ბუნებამ ილია ჭავჭავაძის გრძნობა-ეონებაში მოათავსა ყოველნაირ საგანთა და კითხვათა ცოლნა და არამც თუ მარტო ცოდნა რამე საგნებისა, არამედ მიზეზნიც მათის დაარსებისა. ილ. ჭავჭავაძე როგორც ქიმიკოსი, როგორც მათემატიკოსი და იურისტიც, საკმარისათ მაღლა სდგის. აწინდევლ სამოსამართლო წესდებათა, კანონმდებლობათა და ყაჩაღობის შესახებ იგი შესანიშნავი ამწონ-დამწონველია. მასთანვე ჩვენი გლეხკაცო-

ბის ცხოვრებასაც ერთობ კარგათ იცნობს, ნამეტურ იცის
კარგათ ხიზნების მდგომარეობა და ერთხელ აღძრულ ხიზ-
ნების კითხვებში. რუსულათ და ქართულათ ესეც იღებდა
მონაწილეობას და წერილებს სწერდა. ერთ წერილში ილია
ჭავჭავაძე ბუნდოვანათ სწერდა, რომ ხიზნები უფრო კარგა
ცხოვრებენ, ვიდრე საბატონო და სახელმწიფო გლეხებიო,
რადგანაც ხიზნების დიდი, პატარა, ქალი და კაცი სულ მუ-
შაობაზე არიან დაბანდებულიო. ამათ რომ ყოველთვის ასე არა
ქმნანო, მაშინ ისინი ვერც მებატონებს მისცემენ ხარჯს და ვერც
სახელმწიფოს გაუძლვებიან წინაო. მაშ სჩანს, რომ ხიზნების
მდგომარეობა სახასო და საბატონო გლეხებზე უკეთესი ყოფი-
ლა, სჩანს, რომ აწინდელი მთავრობის აზრიც ხიზნების შესა-
ხებ უნაკოფო ყოფილა, რადგანაც მთავრობა ცდილობს, რომ
ამ საბრალო, უადგილო და უბინაო გლეხეაცობას რამე სა-
კუთრება მოუპოვოს და ერთხელა და სამუდამოთ მოსპოს მა-
თი შეწუხებული მდგომარეობა. აღმართ გლეხებს სასტიკი მდგო-
მარეობა უფრო აღადგენს, აღმართ სახასო და საბატონო გლე-
ხები მიტომ ყოფილან ზარმაცები და თავიანთ ვალსაც ვერ იხ-
დიან, რომ იგინი უზრუნველს მდგომარეობაში არიან მოთავ-
სებულნა. მე ერთობ დიდის გულის წყრომისაგან აღვივსე,
რადგანაც ხიზნების შესახებ ქართულს. და რუსულს მწერლო-
ბაში მაშინ ბაასი ატყდა. მრავალნი სხვა-და-სხვა ხამს წერი-
ლებს სწერდნენ ამ წოდების შესახებ. მე დღესაც ვერ წარმო-
მიდგენია საგანი და ზიზეზი ასეთის აზრებისა, რაც მაშინ ითქ-
ვა ჩვენს მწერლობაშა, ჩვენ დიდის გულის-წყრომით აღვივსეთ,
ზოგიერთ პირების წინააღმდეგ დავირაზმენით, დავიწყეთ ბევ-
რი რამების მხილება. ჩვენი მხილება უმნიშვნელო ღალადე-
ბათ და შთა, რადგანაც ქართველებმა დიდი ხანია რაც დაივიწ-
ყეს და უარი ჰყვეს სამოქალაქო საქმეების აღორძინების დიდ-
სულოვნება, დაივიწყეს გლეხთა განათლების მნიშვნელობაც,
ხიზნების მდგომარეობის დაკვირვება, სასწავლებლის დახსნა,
მწერლობის აღორძინება, სახალხო წიგნების ბეჭდვა და ვრცე-

ლება, ქართველ კათოლიკების. ვითარება და მეგრელების. ნა-
მეტურ ხიზნების მდგომარეობა, ბევრი რამ ითქვა ამ ბედ-შავ
ხალხის ცხოვრების შესახებ, ბევრი წერილები დაიწერა, ბევრი
სიტყვები წარმოითქვა, მაგრამ საბოლოვოთ კი ამათ შესახებ
არა გაკეთდა-რა, ამათ გაჭირვებულ მდგომარეობას არა მოეც-
ხო-რა. დღესაც ისევ ისე რჩება მათი მდგომარეობა, ძველის
წეს-წყობილებით. ამ ბედ-შავი ხალხის ცხოვრებისათვის რუ-
სის პატივცემულს მწერალს ივანოვიჩსაც მიუქცევია ყურად-
ლება, რომელმაც წერილებიც დაწერა ამის შესახებ და ზოგი-
ერთ ქართველთ მწერლთა აზრებიც უარ-ჰყო და აყვედრა,
რომ იგინი ხიზნების საქმეს ურიგო, არა სანატრელის თვალით
უმზერდნენო. ამის წერილები „მოამბეშიაც“ დაიბეჭდა.

ხიზნების შესახებ კი არა და დღესაც, ჩვენს მწერლობა-
ში, ბრძანდებიან იგეთი ვაჟბატონი გმირ-მწერალ პირები, რომ-
ლებიც გლეხ-კაცობას არათა სთვლიან, ილაჯ-გაწყეტილ ვრდო-
მილთ გლეხთა მომხრებს აძაგებენ, ჰგმიბენ და დაცინვით
„ტეტიათა მოტრფიალეს“ უწოდებენ! — სწორეთ ასეთი გვამი
გახლავსთ ცნობილი მწერალ-პუბლიცისტ-ფილოსოფი, რომა-
ნოზ ფანცხავა, რომელმაც ერთს თავის წერილში გლეხკაცო-
ბა ისე აბუჩათ მოიხსენია; რომ მის მსგავსი უღირსი და უმგვა-
ნი ჩვენს მწერლობაში არა დაწერილა-რა. ეს გვამი, ეს ახალი
მოციქული ძმობისა და ერთობისა, მკაცრათ წავიდა წინააღმ-
დეგ იმ ქადაგების და თანასწორობის, რასაც გლეხთა შესახებ
აკაკი და ილია ჭავჭავაძე გვაუწყებდნენ. ასეთი უდიდეს საგ-
ნებზე ასე ლაპარაკი მე თავაგდებათ მიმაჩნია და, ცოტა არ
იყოს, ნორმალურს ზნეობითი მსჯელობის ზომასაც შორს გა-
დასული.

სწორეთ ამ გვარმა უმსგავსოებამ და უწესობამა მაიძუ-
ლეს მე შევხებოდი ბევრს ჩვენს საპატიო მწერლებს, მამულის-
შვილებს და იგინი მკაცრის კილოთი მოვიხსენე. ეს მოხსენე-
ბა ხომ ჩვენში საარაკო საქმეთ გარდიქცა და „სანდალა“ ხომ
გახდა იმაზე უფრო დიდის კიცხვისა და გმობის წყაროდ, რაც

„სანდალამ“ სხვებს მიუძღვნა. მაგრამ მაშინაც ჩემს გულში ილია ჭავჭავაძის პატივისცემა იქამდის მაღალის გრძნობებით იყო დატოვებული და გარემოცული, რომ წიგნში არსად ილია ჭავჭავაძის შესახებ სიტყვაც არ თქმულა. იქ თუ რამ მოხდა ზოგიერთ ჩვენ პირების არ მოსაწონად, ეს იყო ჩვენის გულის ტკივილის მიზეზი, ჩვენი გულის-მწუხარების, რომელ გულის-ტკივილი და მწუხარებაც აღძრულ იქმნა ჩვენს გულში ჩვენის მამულის დაძნებულის მდგომარეობისაგანა, აი ამან გამოიწვია ჩვენი გულის-წყრომა, ჩვენი გოდება. ამან დაბადა სანდალა. ამ მოვლენას ბევრმა სასტიკის თვალით შეხედა საქმე გააძწვავეს, მრავალთა იწყეს ენაობა, მაშინდელი „ივერიის“ მექორე თანამშრომლები ბევრს რასმეს ასმენდნენ თვით ილ. ჭავჭავაძეს. ამან დასწერა რამდენიმე წერილი სანდალას შესახებ და იუწყა, რომ „რაც გინდ უხეირთ მამა-ჰაპა გვუფანდესთ, მაინც შეიღებს არ შეეფერებათ მათი გაფანდებათ.“ მე ჯეროვანი ყურადღება მივაპყარ, მასში რაც სანაქებოთ და ჭეშმარიტათ ვსცან, ის მე მივიღე ჩემს ცხოვრებასა და მოქმედებაში. მკონი ყველასთვის უწყებულია, რომ დღეს ბევრის ხელობათ გადიქცა ფულების უზომოთ ფლანგვა, ქალების მოტაცება, ერთმანერთის ხეჩვა და ხოცვა, უზომო ლაზლანდარობა, მამულების ფლანგვა. ესენი ქართულ საზოგადო საქმეების მიმღინარეობასაც არ იცნობენ, ისიც არ იციან, თუ ქართული ენაზე რამდენი გამოცემა გამოიდის, რამდენია მათში, რომ ქართულ გაზეთსაც არ კითხულობს, რამდენია მათში შეძლებულნი, რომელიც ჩვენი ღარიბი ყმაწვილების მდგომარეობას არ აკვირდებიან, რამდენ ბავშვს რეკავენ უფულობის გამო სკოლიდამ და ამათ პატრონი არავინა ჰყავსთ, რამდენი ჰქვიანი ბიჭი ეკარგება ჩვენ ტომს, რამდენი რიგიანი შვილი, ამათ აინუნშიაც არ მოსდისთ, ესენი მთელი დღე ფაიტონით დაბრძანდებიან, თუ ვისმეს დახმარებას აძლევენ, ისიც სხვებს და მასთანვე საძრახის საქმეებისთვის, არც ერთი ამათგანი სიკვდილის შემდეგაც არ იმეტებს ერთ კაპეიქს ჩვენდა საზო

გადო. საქმეების სასარგებლოთ. ერთი გროშით, ერთი სიტყვით არ იღებენ მონაწილეობას ჩვენს ჭირსა და ლხინში, იგინი მკვდრები არიან ჩვენთვის. მეონია ამას მტკიცება არ უნდა. გადაშინჯეთ ჩვენი გამოცემაების ხელისმომწერთ რიცხვი და თქვენ ამაზე ცხადათ დარწმუნდებით, რადგანაც დღეს ამ საქმის პატივისმცემელთ რიცხვი გლეხთა და მოქალაქეთაგან შეს-ფერება, აზნაურების და სამღვდელოთაგან.

ასეთი ჯურის და სისხლის შვილების პატრიოტიბა მე სამასხარო კომედიათ მიმაჩნია, საცინლათ, გმობათ, რადგანაც ამ პირებს საქართველო მარტო ლოთობის დროს აგონდებათ, ცარიელი სიტყვებით, მასხარობით. მეხი მათაც დაეცეს და მათ ნაჯღანებსაც. მოვიდა უკვე ის დრო, როცა ჩვენ თვალები გავახილეთ, იგინი ჩვენ ვეღარაფერს ვერ მოვატყუებენ, მათს ყოფნას ქარ-ცეცხლი დალეწავს. მათი ამ ქვეყნათ ყველა-ფერი აღიგვება, სახელიც, ხსენებაც, და ნაწერებიც, მათი ნაწერები ისევ მათის შვილებისათვის იქმნება გამოსაყენებელი, ჩვენთვის იგი არათ ლირს. ამიტომ ჩვენ არც არას ვნატრობთ მათსას, ვინც კი პატიოსანი გვამია მათში, ვისაც ჩვენი რამ სწამთ და სულით და გულით ჩვენი კეთილდღეობის მონატრენი არიან, იმათ ჩვენ დიდს პატივს უცემთ და დიდათაც ვაფასებთ. ამათი სიყვარული ჩვენ გვამში გაფართოებულია. ამის გარეშე კი ვინც უნდა იყოს, გინდ თავადის შვილი, ჩვენ მას ვერ შეურიგდებით, ყოველთვის მტრათ და მავნე პირათ ვალიარებთ. ამათ ჩვენ უარსა ვყოფთ და ამასვე ვასწავლით ჩვენს მოზარდ თაობასა.

ვიტყვით, რომ ესევე გვასწავლა თვით ილია ჭავჭავაძის ლექსებმა, თვით ამ პირმაც მრავალ გზის დაპგმო ეს უქმი შემრცხვენი ძალა, იქმნება თვით ილია ჭავჭავაძე ამ წოდების განუყრელი მეტრფიალეა და მენუკე, მათი ინტერესების მფარველი, იქმნება თავის პუბლიცისტიკასაც ამათ სასარგებლოთ ხმარობს, ეს მე არ ვიცი, ამასთან მე საქმე არ მაქვს, მე მხო-

ლოდ სახეში მაქვს მისი სიტყვა კაზმულის მწერლობის ღაღა-
დება, რასაც ის ხშირათ პირუთვნელათ ჰქადაგებს.

ილია ჭავჭავაძის წერილების უმეტესი ნაწილი საუცხო-
ვო მიმართვის არიან, ვინც ამის წერილებს წაიკითხავს, ის მის
კითხვის შემდეგ ხელუარიელი არ დაშთება, საგნის დაკვირვე-
ბას გამოიტანს, ეს ლირსება მას მარტოთ პუბლიცისტიკაში
არ ემჩნევა, ასეთივე ბეჭედი აზის მის ლექსებს, მისი ლექსე-
ბიც ასეთივე ძალაუნების მექონია, როგორც აკაკის ლექსები,
მისი ლექსებიც თავისებურს ზეგავლენას ახდენს მკითხველზე,
მკითხველი ბევრნაირს ჰანგებს გრძნობს. მისი ლექსების კითხ-
ვის დროს. თითქმის ყოველს მისს ლექსს აქვს თავისი მიმზიდ-
ველური ძალა, თავისებური ტალი; ასევე ითქმის მის მოთხრო-
ბებზე, მოთხრობებსაც დიდი ლირსება აქვს და იგინი მკითხ-
ველს ბევრნაირის ცნობის მოყვარეობით ავსებენ, მე არა მგო-
ნია, რომ ვინმემ ამის რომელიმე მოთხრობა წაიკითხოს და ის
ამ მოთხრობების კითხვის შემდეგ ხელუარიელი დაშთეს, იმან
აქედამ რამე დაკვირვება და ცხოვრების ცნობები არ გაიცნოს.
ამის მთელი თხზულების წაკითხვით კი არა და ხშირათ მკითხ-
ველი ერთის და ორის სტრიქონიდამაც იგრძნობს შესამჩნევს
ზე-გავლენას. მე არა მგონია, რომ ქართულს ენაზე, აკაკის
ლექსებს გარდა, ჩვენთვის ისეთი ფარსაგი რამ მოიპოვებოდეს,
როგორც ილია ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილია“. ამ პოემის
დასაწყისი პირველად 1863 წ. „საქართველოს მოამბეში“ და-
იბეჭდა, შემდეგ 1873 წ. „კრებულში“ ერთი თავი და 1881 წ.
„ივერია“-ში კი მთლათ. ეს პოემა ჩვენს მწერლობაში პირ-
ველს ხარისხზე უნდა აღინიშვნოს, ეს ქმნილება ბევრათ მალ-
ლა სდგას ნ. ბარათაშვილის „ბელი ქართლისა“, ვ. ორბელია-
ნის „იმედზე“, გრ. ორბელიანის „საღლეგრძელოზე“ და ბევ-
რიც სხვებისაზე. ნაწერი ცხადათ აჩენს დამწერის ფართო
შეხელულებას კაცობრიობის ცხოვრების წეს-წყობილებაზე და
კერძოთ კიდევ ქართველთა ცხოვრებაზე. ეს პოემა ყოველ-
ნაირის შემოქმედებითის ძალაუნებით უმაღლესათ არის დაჯილ-

დოვე? ული. იგი შესანიშნავია ხელოვნების მხრით, მხატვრობით და ლირიზმითაც. ამაებს გარდა აქ ირჩევა შემდეგი კითხვები: ქვეყნის მდგომარეობა, მდაბალთა და მაღალთა ვითარება, მუშა ხალხის ცხოვრების პირობები, რაც დღეს ევროპაშია აღრული, ვაჭართა და მუშაკთა ურთიერთ დამოკიდებულება, მდიდართაგან დატაკთა დევნა, ბატონისა და მონის კავშირი, ქალებთა მდგომარეობა, რომელთა ვითარებაც სატირელს მდგომარეობაშია ჩავარდნილი და დღეს დღეობით ამ საბრალოების პირად თავისუფლების ლირსება უფრო მიწასთან სწორდება, მათ ვითარებას ფარდა ეხდება, დღეს ევროპის და ჩვენი ქალაქებიც მარტოთ მათის ნამუსის გასაყიდ სახლებით იფინება. ჩვენ აქ ყველაფერს დაწვრილებით ვერ ჩამოვთვლით ამ პოემის ლირსების შესახებ, ვიტყვით, რომ ილია ჭავჭავაძეს გინდ ამ ერთად ერთ პოემის გარდა სხვაც რომ არაფერი დაეწერა. იგი ამითიც სამარადისო სამახსოვრო ადგილს დაიკავებდა ჩვენის მწერლობის ასპარეზზე.

დრო იყო, როცა დ. პისარევმა ბრძანა რუსულს ენაზე, რომ მალე მოვა ისეთი დრო, როცა რუსის ყმაწვილობა მიხვდება, რომ იგი უხეირო რამებს კი არ უნდა კითხულობდეს, არამედ ნეკრასოვის ლექსებსაო. ამასვე ვიტყვით ჩვენ. დროა უკვე, რომ ქართველ ყეაწვილ-კაცობაც ხეირიან ნაწერების კითხვას გაჰყვეს და უბრალო, უშინაარსო ლექსების მაგირ „აჩრდილი“ და ასეთ ნაწერები იკითხონ. თუ როგორი ადგილი უნდა ეკავოს ამ პოემას ჩვენს მწერლობაში და ან რა ლირსებისა არის იგი, ამაზე სამართლიერათ ისაუბრა ერთმა ქართველმა პუბლიცისტმა ერთს თავის წერილში, რომელიც აღრე „ივერიაში“ დაიბეჭდი.

„აჩრდილზე“ არა ნაკლების ლირსების არის ეპიზოდი „დედა და შვილი“, აქაც იგივე გულის უსამზღვრო ფილოსოფიური შეხედულება სუფეს კაცთა ტომის ბრძოლის, შრომის და ცხოვრების შესახებ. აქაც იგივე მაღალი ლირსება გამოისჭვრილება დიდის მამულის შვილისა, რაც სხვაგან სხვა ამის ნაწერი

რებში სჩანს საყოველთაოდ. დასამტკიცებლად იმის, რომ ეს გვამი ყველაფერში კამკამათ არის მოქარგული, ყველაფერში ბრწყინავს სიღიადით, ამიტომ ჩვენ მოვიყვანთ თვით პოე-მის ერთ პატარა ადგილს, რომელსაც ჩვენს გულზე დიდი გავ-ლენა აქვს დაჩნდული.

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდაბა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებადმდე კაცთა ბუნებისა...
ეგრედ ნაშონი რად წაგვერთვი მოსავთა შენთა?
რაღად ლერის დღესაც შენთვის სისხლსა ადამიანი?
რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად ჩვენდა
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირ-სისხლიანი?
თვით ხარ მშვიდობა, უხვად მაღლთა ქვეყნათ მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იყვლევს გზასა მძებნელი შენი!
რათ არ შენდება უსისხლოთა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?..

რომელ ერთი სტრიქონი და ლექსი მოვიყვანოთ აქ, რომ მკითხველს უჟეროთ და უზადოთ დაუმტკიცულთ ილია ჭავ-ჭავაძის ნაწერების მაღალი ლიტერატურა, წმინდა გრძნობები და კა-ცის სულის და გულის გამაფაქიზებელი მიმზიდველობანი. მე მგო-ნია, რომ ეს ყოველმა ქართველმა უნდა კარგათ იცოდეს, მე მგონია, რომ ამის ნაწერების აზრები და ცნობები ყოველ ქარ-თველის გვამში მტკიცეთ უნდა იყოს დამარხული, ყოველს-ოჯახში უნდა მოიპოვებოდეს ამის წიგნები, რათა იქიდამ აღ-მოიკითხონ ერთობის ცრემლით ნაწერი ღალადებანი შესა-ხებ ჩვენის ტომის ვითარებისა.

თამამათ ვიტყვი, რომ ილია ჭავჭავაძის ლექსებმა არამც თუ მარტოთ გულის მიმტაცველობის მხრით იქონია გავლენა და მრავალთა მამულის შვილობით აღმორება და მომზადება, არამედ ამის ლექსებმა გამოზარდა მთელი თაობა, მთელი გუნ-დი თვით ჩვენის სიტყვა-კაზმულის მგოსხებისა. ბაჩანაშ პატივ-ცემული რაფიელ ერთობავი აღიარა დიდ მოძღვრათ, სასიქა-

დულო მგოსნათ, მე ამის საფუძვლათ უფრო თამამათ ვიტყვი, რომ იღია ჭავჭავაძის ლექსებს უფრო დიდი ადგილი უნდა დაეთმოს ასეთ ასპარეზზე, ვაღლიარებ თამამათ, რომ თვით ნიჭიერს მგოსნას ლუკა რაზიკაშვილს, პარმენ თვალჭრელიძეს, ნ. რუზიკაშვილს, შ. ქუჩუკაშვილს, თ. რაზიკაშვილს, აფშინაშვილს და თვით ქართველ ნადსონს — დ. ხოშტარიასაც უნდა ექმნეს იღია ჭავჭავაძის ლექსების და აკაკის გავლენა. ამის უარყოფა ჩვენ არ შეგვიძლიან, რადგანაც დღევანდელი ჩვენი ცხოვრების ვითარება ასეთია, ჩვენი მწერლობის მდგომარეობის პირობებიც ასევე გახლავსთ მომართული. იქმნება ჩემი მოსაზრება ზოგიერთ ჩვენთაგანმა იუცხოვს, მაგრამ აქ საუცხოვო და არ საკადრი არაფერია, რადგანაც ზემოხსენებულ მგოსნებს თავიანთის წარსულის ცხოვრებით მე კარგათ ვიცნობ, ვიცი თუ მათ როდის, როგორ და რა ლექსებით დაიწყეს მწერლობა, მათი ნიჭი და ძალა როგორ ვითარდებოდა ჩვენის მწერლობის ასპარეზზე. ამ პირებთა წინაშე, ამათ ლექსების წარმატების ძალათ და მამათ მე ვაღიარებ იღია ჭავჭავაძის და აკაკის ლექსებს. ვიტყვი, რომ დღეს ეს ახალ მგოსნები ჩვენში პირველ ხარისხოვან მგოსნებათ ითვლებიან და ნამეტურ ვაჟაფშაველა და პარმენ ცახელი. მაღლობა შენსას განგებაო, რომ მოვიდა ის დროც, როცა საქართველოში, ქართული მწერლობის ასპარეზზე, სიტყვა-კაზმულ მგოსნებათ გლეხის შვილები გამოვიდნენ. ერთხელ ამის შესახებ პატივცემულმა რაფიელ ერისთავმაც ბოძანა: რომ თქვენ ცოტა კიდევ მოიცადეთო, აბა მათში განათლება გავრცელდეს და ზოგიც მერე ნახეთო, ეს მხოლოდ ნიშნებია იმ დიდის მოვლენის, რომელიც ქართველობას მოევლინება მომავალშიო. ასე გახლავსთ თუ ისე. ყოველ შემთხვევაში ზემოხსენებულ გვამთა ლექსებს მე დიდ მნიშვნელობას და გვლენას ვაწერ სიტყვა-კაზმულ ჩვენთა და მამ შვენებელთ მელექსეთ პოეტურ ნიჭის გაფურჩქვნის ჭ განვითარების წინაშე. დარწმუნებული ვარ, რომ რაც დღეს ამ მგოსნებს ამლელვარებს, რაც ამათ გულსა და გრძნობას ჰქიბლავს

რაც ამათ აკვენესებს და ცხარეს ცრემლებით ატირებს, რომ ამა-
ების დაბადების უმთავრეს სხივებში იღია ჭავჭავაძის ლექსებს
ნაწილი არ ექმნეს დაკვებული. მე არ შემიძლიან არა ვსთქვა,
რომ ცახელის დასევდიანებული გული, გულსაწვავათ გაყვით-
ლებული ფოთლები — ვაუა-ფშაველას ჩაძინებული მაღალი მთე-
ბი, დაქანცული ლომ-ვეფხვნი, ბაჩანას ცის სიმშვენის გალობა
და ჩვენთა მოდუღუნეთა ნაკადულთა კვნესა, შ. ქუჩუკაშვი-
ლის ნისლები, დელვანი და ბევრისაც კიდევ სხვა სამკაულებით
მხარეები ხსენებულ მგოსნების ზეგავლენას მოცილებული იყას.
არა მგონია და ამის მხრით ბ. რომანოზ ფანცხავამაც საშაროლი-
ერათ ისაუბრა. „ნ. ბარათაშვილის“ გარჩევაში *) მე ჩვენს მე-
ლექსებს ცის მზაობათ არ ვსთვლი, მაგრამ ჩვენის ვარამის
და ვაების მგრძნობელობა ახალ მგოსანთ ჰარიოვნების განვითა-
რების ასპარეზზე კი დიდს მნიშვნელობას უთმობ და აკაკს და
იღიას მათ მოძღვართ ვაღიარებთ.

ბევრნაირ ლირსებასთან იღია ჭავჭავაძეს აქვს ერთი სხვა
დიდი ლირსებაცა. იგი როგორც მოქალაქური აზროვნებით აღ-
ჭურვილი შვილი, თავის ნაწერებში მუსრავს წოდებრივს განრ-
ჩევას, წოდებრივს მხარეებს, ამ გვამს ცველა მღვთის შვილათ
მიაჩნია, კველა ქართველიათ. ამის სული და გული ხსენებულ
აზრების გარეშემო ტრიალებს. ამან ათქმევინა მწარეს გრძნო-
ბებით შემდეგი: „თაგადისშეიაფი კარგი რა არის, ცუდი რა უნდა
სუჯისა?“ ამ სიტყვებში ბევრი რამ გულის უსამზღვროება
ისახება. ამას განმარტება აღარ სჭირია, ეს შენიშვნა ჩვენის
ტომის წინაშე დიდს შემცნებათ უნდა იქმნეს მიღებული, ჩვენ
ამაზე მეტათ გული გვწყდება, სული გვიშფოთვას, რადგანაც
თავადია, აზნაური თუ სხვა; ჩვენ ცველა ქართველად გვწამს,
ქართველად მიგვაჩნია... მათის დაღუპვით და ციმბირში გზავნით
ერთობ ვლელდებით, გარემოებას ვწყევლით, გათახსირებულს
ვითარებას... ცხადი საჭმა, რომ ასევე სულშე შფოთვით იტყო-
და ამ სიტყვებს იღია ჭავჭავაძე.

*) „კვალი“ 1896 წ. რ. ფ. წერილემდ.

ავილოთ თუნდა ამისაგან დაწერილი „შესანიშნავი ლექსი „რა ვაკეთეთ რას ვშვრებოდით? — თვითვე იძლევა მგოსანი პასუხს, რომ მას ვშვრებოდითო, რომ მაღლა თაროს ჩვენ ვისხედით, და ძირს დაბლა უძლურებს ვლადრამდითო. ნათლოვანია, რომ ყველა საქმეში ფრთხილი და მცოდნე მგოსანი ამ სიტყვებს უცაბედათ არ წარმოსთქვამდა, რომ ნამდვილის, კეშმარიტის ცნობებისაგან გული და სული ამღვრეული და შეშფოთებული არ ჰქონოდა. თუნდა ეს ჩვენ ჩვენათ ვსთქვათ და განა ეს ასე არ იყო, განა ჩვენი მოწინავე დიდი სახლის შვილები ასე არ იქცეოდნენ, მათ რომ ასე არ ემოქმედნათ და ჩვენის წინსვლისთვის ხელი შეეწყოთ. დღეს ხომ ჩვენი საქმე ასე დაქვეითებული არ იქნებოდა, ასე დაცემულები არ ვიქნებოდით, ჩვენს ქვეყნაში თითქმის ყველა მოსული ხალხი წავიდა წინა და ჩვენ კი, ქართველებს, რაღაც ღმერთი გვიშვრება, არა გვეშველა-რა, შველის ნაცვლათ ჩვენმა ტომმა კლებაც იწყო და თავის კვალათ გამრავლებასაც მოაკლდა, ასე გამრავლება, როგორც დღეს მრავლდება ქართველი ხალხი, კანონიერს გამრავლებასთან შედარებით არ გამრავლებათ უნდა ჩაითვალოს; დღეს ქართველი ტომის ძეთა რიცხვი 4 მილიონზე მეტი მაინც უნდა იყოს.

სწორეთ ამისავე სახსოვარს მხარეს წარმოადგენს „ოთარაანთ ქვრივის“ დაწერა. რამ დააწერინა ამ გვამს ეს მოთხრობა, რამ აიძული იგი? — რასაკვირველია კიდევ და ისევ ჩვენმა დარღვეულმა ერთობაშ და მისმა პირობებმა. რა არის ჩვენი უბედურების უმთავრესი მიზეზი? — ჩვენი დარღვეული ერთობა და ჩვენ შორის ხიდის ჩატეხა. ვიდრე ეს ხიდი იქმნება ჩატეხილი, მანამდის ჩვენ არა გვეშველება-რაო. ეს მოთხრობა ზოგიერთებმა გაარჩიეს, თავ-თავიანთებურად ისაუბრეს და ახსნეს მის კითხვები, თუ გლეხთა და თავადა-ზნაურებთა შორის რათ არის ხიდი ჩატეხილიო? მათ ბრძანეს, რომ ამ ხადის გამთელებას ურთიერთ შორის დაარსებული ეკნომიური მხარეების უთანასწორება უშლისო.

ჭკვიან და რიგიან პირებმა ყოველ საგნის წარმოთქმის დრო და ხანა იციანო. ამასვე ვხედავთ ილია ჭავჭავაძეში. იყო დრო, როცა ჩვენი ცხოვრება საჭიროებდა თათქარიძების აწერას — და მან აღწერა იგი; მოვიდა დრო, საჭირო გახდა გლეხების შესახებ საუბარი და დროის შესაფერათ დასწერა „გლახის ნაამბობი“ და ლექსები; გავიდა ხანი, შეიცვალა დროება, დღეს ჩვენი ცხოვრების საქმე სხვაფერ მოიმართა, დროის კვალათ დღეს „ოთარანთ ქვრივი“ დასწერა, რომლითაც გვამუნია ის, რაც დღეს არის ჩვენთვის სამუნევი და ყურადღების მისაქცევი, მთელი ამის ღალადება იმას შეიცავდა და შეიცავს კიდევაც, რომ ქართველნი დაკავშირდნენ, ქართველთ დარღვეული ერთობა მოსპონ, იწამონ, რომ იგინი ქართველები არიან და ერთ დიდ საქართველოს აკანსაც ეკუთვნიან, ერთი ენის შეილები არიან, ერთი სისხლოორცის: გლეხი, აზნაური და თავადი ღმერთს არ გაურჩევია; მაშ ნურც ჩვენ გავარჩევთ. ამას ჩვენი მდგომარეობაც თხოულობს, დღეს ჩვენი ტომი ისეთ გარემოებაშია, რომ ქართველთა ეს აღარ შეჰვერის, გარეთ, უცხოელებში-კი შეიძლება, რომ ვინმემ თავი გამოიჩინოს ამით და წოდებრივი უფლების დაფარვისთვის მტკიცეთ იძიოს, მაგრამ შინ კი, ქართველთა შორის იგი ქართველათ უნდა დაშთეს, რაღვანაც ჩვენ ყველანი ერთ ტომის შეილები ვართ, ერთი ენის, ერთი ქვეყნის და ერთი მისწრაფების, ჩვენს ასეთ საქციელს და ერთობას ღალადებდნენ მრავალნი გამოჩენილნი გვამნი ქართველთა და ამასვე ღალადებენ დღესაც მრავალნი, მაგრამ არიან ისეთი გვამნი, ისეთი ავყია პირნი, რომელნიც ჩვენთა საუკეთესო მოძღვრებთა მოძღვრებას უარსპოდენ, ჩვენთა საუკეთესო მამულის შეილების დავალებას ფეხქვეშ სთელენ, საუკეთესო და ბრძენ მოძღვრების წინააღმდეგ მიღიან. გლეხებს კაცადაც არა სთვლიან, ერთი ხელის ჩამორთმევის გამო საჩივრებს და ცემა-ტყებას სტეხენ და თან ჰყვირიან: რომ გლეხის ჩამონართმევი ეს ხელი ვიღას მივსცეთო, რავა გაბედა და ვა-

ჭარ გლეხმა ხელი მომცაო, ვაი ჩვენ კეთილშობილ სისხლ-
საო, ვაი ჩვენს თავსაო!

რას ჰეგვას ასეთი საქციელი, რას უნდა მივაწეროთ იგი.
ჩვენს დროში ასეთს საქმეებს მხოლოდ იგინი ჩაიდენენ, ვინც
მოღალატები არიან, ჩვენი მტრები და არა მოკეთენი. ეს ფი
პირები სთესენ შურს, მტრობას, ზიხლს წოდებათა შორის და
არღვევენ იმ ერთობასაც, რაც ილია ჭავჭავაძის ნაწერის ლა-
ლადებისაგან დაითესა, რაც დიდის შრომით აღსდგა ჩვენს და-
ძინებულს ერში და მხარეში, ასეთი გვამნი ჩვენგან უნდა იდევ-
ნებოდნენ ყოველთვის და ყოველგან, რომ მათ მიმბაძავნი არ
გამოუჩნდეს, დამღუბავმა სენმა. ფეხი არ გაიდგას, თორემ ხომ
მოგეხსენებათ, მრავალნი ისეთის აზრებისაც არიან, რომ ჩვენი
სისხლი სხვა არისო და თქვენი სისხლი სხვაო! ჩვენი საუკეთე-
სო მამულის შეიღები რომ შეხვდნენ ასეთ უკულმართ პირებს,
არ ვიცით მაშინ ესენი რას ეტყვიან მათ და როგორ დაჰგმო-
ბენ. მე კი მენატრება, რომ ხსენებულ პირების აზრებს მალე
ანდერძი აეგოს და საფლავი გაეთხაროს, რომ იგინი თავიანთ
მოუსაზრებლობით ჩირქს არ სცხობდნენ ისეთ პირებს, როგო-
რიც ილ. ჭავჭავაძე და აკაკია, რომელიც ჭართველთა სიამა-
ყეს შეადგენენ. ჭართული ენის ცოდნაში ილია ჭავჭავაძეს ცალი
არა ჰყავს, ამის ენის ცოდნით აღტაცებული იყო დ. ბაქრაძე,
იგი ილია ჭავჭავაძის ენას ნამდვილს საჭირო ენათ სოვლიდა,
ასე ლაპარაკი და წერა არც ერთს ჭართველ მწერალს არ შე
უძლიანო. მისი ენა შუქია ბინდისაო, იგი ცხოველ სიცოცხ-
ლით სავსეა; მან დასძლია ყველაფერი, ჭართული ენა ძლევა-
მოსილის ძალით შემოსა. გაზ. „ივერიაში“ როცა კი ამის წე-
რილი იძეჭდება რამე და ამ წერილს თუნდ სახელი და გვარიც
არა აქვს მოწერილი, იგი წერილი მაინც ცხადათ აჩენს ილია
ჭავჭავაძის ჭართულ ენას და შნოს, იგი იკითხება დიდის აღ-
ტაცებით, დიდის სიამოვნებით. რამდენი ბრწყინვალე წერილი
დაუწერია ამ პირს, რამდენი წერილი მოურთავს თავის მშვე-
ნიერის მოქარებულის ჭართულის ენით, ყველა ამაებს კაცი ვერ

მოსთვლის, ყველა ამაებს ჩვენ ვერ აღვნებსავთ, იგინი გაფანტულებია „დროება“-ში და „ივერიაში“, მათი ერთათ შეკრება, მათი დაბეჭდვა ცალკე წიგნათ და გამოქვეყნება დაარწმუნებენ მკითხველს, რომ ყოველივე ჩვენ მიერ ნათქვამი მართლია და სრულ ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული.

ილია ჭავჭავაძის წერილების უმეტესი ნაწილი თუ არა, ნახევარი მაინც და თუნდ მოწინავე წერილებიც კი დიდხანს არ დაპკარგვენ თავიანთ მნიშვნელობას, რადგანაც ამ წერილების უმეტეს ნაწილში გამოხატულია ილია ჭავჭავაძის სული, გული, ლტოლვილება, ბოროტის ძლევა, კეთილის მომხრეობა; მფარველობა და პატრიონობა უძლეურისა. აქ ხშირათ ქართველი ნახავს მას მღელვარეს, მაწყვევარს ჩვენის ბედისას, მგმობელს, მტირალსაც. ყოველი მისი სტრიქონი არის კვნესა და გოდება ამა თუ იმ საქმეზე და უმეტეს კი ჩვენს ცხოვრებაზე. ამის წერილები ქართული ენის გამო მზრუნველის წინაშე დიდათ საყურადღებოთ დაშთა, მზრუნველმა ყურადღება მიაქცია, პასუხი დიდის ცოდნით დაწერილი დაინახა და ამიტომ პასუხიც აგო.

ვურჩევთ ჩვენს ყმაწვილ-კაცობას, რომ ილია ჭავჭავაძის ნაწერები იკითხონ და ჩვენ დავარწმუნებთ, რომ ამისს ნაწერებში იგინი სრულს სიამოენებას ნახვენ, გრძნობებს გაიფართოვებენ, ცხოვრებაზე ვრცელს და უშესანიშნავეს შეხედულებას მიიღებენ, მეცნიერებასაც დიდის სისწრაფით დაუახლოვდებიან.

ბევრნი უწყიან, რომ ილია ჭავჭავაძე ბრწყინვალე მწერალია და მას არ შეეფერებოდაო, რომ ბუვეს რომანი „იზა“ ქართულათ სთარგმნაო, მასზე დრო როგორ დაკარგაო. როგორ იყადრა მის თარგმნაო; მეც რასაც რცელია ასევე ვფიქრობდი და ვერ წარმომედგინა ის, თუ დობროლიუბოვის წერილების მთარგმნელმა და „ცხოვრება და კანონის“ დამწერმა ეს როგორ სთარგმნა არ ვიცოდით მის მიზეზი და უკანასვნელადმოჩნდა შემდეგი: ილია ჭავჭავაძეს ეს რომანი უფრო იმ აზ-

რით უთარგმნია ქართულს ენაზე; რომ ამის თარგმნით ჩვენის დროის ახალ მთარგმნელებისთვის ესწავლებინა, თუ როგორ უნდა უცხოეთის ენებიდამ ქართულს ენაზე თარგმნა, მას სურვებია, რომ ეს რომანი თავისებურის ჩინებულის ქართულის ენით ეთარგმნა და მომავალ თაობისათვის სარკეთ მიეცა. ეს ასეც იქმნა და დღეს ამ რომანს დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენი მთარგმნელები, ამას გარდა რომანი იკითხება მეტათ კარგათ, რადგანაც იგი დაწერილია ილია ჭავჭავაძის კალმით, ჩინებულის და შეუმცდარის ქართულის ენით.

უცდომელი თვით უდიდესი გენიოსებიც არ იყვნენო, — სთქვეს მრავალთა. ჩვენ არ ვიტყვით, რომ რამე შეცდომა ილ. ჭავჭავაძესაც არ ჰქონდეს. უცდომელი კაცი არ უწყით ვინ იქნება, მაგრამ ვიტყვით იმასაც და ეს ზემოთაც ვალიარეთ, რომ ილია ჭავჭავაძის ცდომილება ჩვენს წანაშე იქამდის უმრიშვნელოა, რომ მასზე ლაპარაკი უბრალოთ მიგვაჩნია.

ორმოც წლის განმავლობაში, ეს მაღალი გონიერი კაცი სდგას ჩვენის სამშობლო ქვეყნის ასპარეზზე და მოღვაწეობს დიდის ნაღვლით სავსე, იგი აღვისილი მაღალის გრძნობით და სამშობლო ერის სიყვარულით, გულამაყაო სდგას საცოველთაოდ ყველგან და ჭკვიანის სიტყვით, წინდახედულის საქმით და სიფრთხილით იცავს და მფარველობს ქართველობას და საქართველოს. ამის გული დღესაც თითქმის იმ ვარჩებით არის სავსე, იმ სამგლოვიაროს გრძნობებით, როცა ამბობდა: „დიდის ღერთის საკურთხევლის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში...“

დღესაც თითქმის იმავ სამგლოვიარო მხარეებით არის მისი გვამი გარემოცული, მისი განსპეციაკებული გრძნობები, როცა იგი ამბობდა: ჩემო მამულო, ჩემი ტანჯვა და ვაება შხოლოდ იმას შეადგენსო, რომ ამდენს ხალხში კაცი არ არის, რომ ფიქრი ჩემი ვანდო და გაუზიაროვო.

ჩვენის დღევანდელის დარღვეულის ერთობის შესახებაც იმავე შეხედულების არის, იმავე გრძნობების და უფრო მკაცრის მიმართვისაც, როცა იგი სწერდა:

„ნახავ ჩვენს ბელშორბას, ჩვენს ერთობას დარღვეულს“..

რაც ზანი გადის მით ქართველებში ილია ჭავჭავაძის ლექ-
სების აზრებიც უფრო ცხოველდებიან და უფროთ საჭირო ხდე-
ბიან; ეს ლექსები რომ ილია ჭავჭავაძეს დღეს დაეწერა, ესე-
ნი დღესაც ჩვენგან იმ ზომის პატივისცემით იქმნებოდნენ მი-
ღებული, როგორც 1860 წლებში. ეს იმიტომა, რადგანაც
ჩვენი ცხოვრების და წინმსვლელობის საქმე თუმც ერთის
მხრით წინ მიღის, წარმატებას ვეძლევთ, დღეს ის აღარა
ვართ, რაც ამ 30 წლის წინეთ ვიყავით. დღეს უმრავლესობაში
თვალი გაახილა. დღეს ილია ჭავჭავაძე მოესწრო იმ ხანას, როცა
მან ქართველთა გლეხის შეიღების საკმარისი რიცხვი განათ-
ლების ასპარეზზე გამოსული დაინახა, ძველის უმეცრების ნა-
ჭუჭიდაშ თავდახწეული, მაგრამ ისიც უნდა ესთქვათ, რომ ამ
შეცვლილს და წინ წასულს დროშიაც ჩვენში ძველებური
ქიშიობა მაინც არ ისპობა, დარღვეულის ერთობის წამლად
უცბათ არაფერი სჩნდება. ამ საუბედურო საქმეებს თავის წი-
ლათ ვნებაც მოაქვს და ხშირათ შფოთსაც სტეხავს.

ამის შესახებ ერთობ შორს არ წავალ დავისახელებ ახალს
და ახლო ამბავს.

ჩვენ ქართველებს ყველას გვიყვარს საქართველო, ყველა
პატივს ვცემთ მას, ველტვით ვითომც რაღაცას, ვაკეთებთ ვი-
თომ რამეს, ვეწარიან მდაბიოთ განათლება, თუმცა ბერეს კი
არავის განათლებთ, ველტვით ხიზნების ცხოვრების გამოცვ-
ლას, თუმცა მათმა სიბრალულმა ჩვენს გულში ადგილი არ
დაიკავა, ველტვით ქონებრივ თანასწორობას, თუმც საუკუნეე-
ბის განმავლობაში მონათ ყოფილს და ან ცარიელათ დარჩე-
ნილს გლეხებს არავინ ერთ საფლავის ალაგიც არ აჩუქა მუქ-
თათ და იგი არ დაიხსნა განწირულებისაგან. გვიყვარს ქართუ-
ლი ენა, ქართული მწერლობა, თუმცა არც გაზეთს ვიწერთ,
არც უურნალს, არც წიგნს ვკითხულობთ, ვითომც თვალს ვავ-
ლებთ ჩვენს ცხოვრების ძარღვისცემის მიმდინარეობას და
იმავ დროს კი არავის არაფრით დავეხმარებით, ვვიყვარს კი

დევ ბევრი რამ და ჩვენს გვამში მაცხოვრის სიტყვებს დიდი ადგილი აქვს დაკავებული, ჩვენი გული და სული განვითარებულია მაღალის გრძნობებით და კაცომაყვარეობით, მაგრამ სულ უბრალოთ, ენას ძვალი არა აქვს, ცრუ ნატვრას — ბაჟი.

ჩვენ ამავ დროს ვართ ქიშპნი, ერთი უბრალო საქმის გამო ვკარგავთ გრძნობას, სმენას, მცირე რამ შეურაცხყოფა გვმოსავს უსამზღვრო მღელვარებით, აღვიჰურვებით ყოველნაირის ბოროტებით, ვლამით კაცის დანთქმას, ნათელ გრძნობის შელახვას და გაუპატიურებას.

„ჯანი ვავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოლონდ ვამოთ ჩვენს საკუთარს სულს“.

ყველას ეს გვაქვს თავში გამოხატული. ეს უნდა სწყლავ-დეს ნათელ აზროვნების მექონს მამულის შეიღს, ეს უნდა ადარ-ლიანებდეს იმ მაღალს იდეებით გამსჭვალულ მკვნესარე მგოსანს შეერალს, რომელსაც სწყურიან ჩვენი ერთობა, რომელსაც ენატრება და სურს ჩვენი მომავალი ცხოვრება, განკაცება, მეცნიერების გზაზე დაღვიმა. ხოლო ამავ დროს რას ვხედავთ და ხედვენ ჩვენის დარღვეულის ერთობის მღალადებელ მწერ-ლები? ვაი ჩვენს თავს, ჩვენს ქართველობას, მამულის შვილობას, განათლებას, „ლომობას“ და ჩვენს გოლიათობას. გა-მოთქმაც კი გვემნელება, გვრცხვენიან, მაგრამ რასა ვიქმთ, „კაცმა ჭირი მაღალ, ჭირმა თავი არ დამალაო“. ჩვენ რომ დავმალოთ, თვითონ ეს სენი არ დამალავს თავისას, იგი ბალ-ლამია ჩვენი, მას ნესტარი უნდა, იგი უნდა გამოვირწყოთ ჩვენის სხეულიდამ, რომ მან ისეც ჩვენი დაწყლულებული სხეუ-ლი უფრო არ დააწყლულოს, იგი სატკივარია ჩვენის სულისა და ხორცისა და ამიტომ ვბედავთ ამ სატკივრს განცხადებას, ამ სატკივარისაგან დაშხამულ არა ქართველ კაცების აღნუსხვას, რომ დღესაც ჩვენში, ჩვენს ტანჯულს სამშობლოში, ჩვენს წამებულ ერში არიან აი ისეთი კაცებიც.

აი ვინ არიან ეს გმირები და სამშობლო ქვეყნის შვილები: რომლებიც ამბობენ, რომ ჩვენ და იმერლები ერთნი არა

շարտո; հռմլցիւ ամ Շենո՛վեցին սայցայնու ապեալցեցն դա տան ամուս սաֆինա ալմացը գոտ հալուս գանոնս և նոյն ածուու մեարցեցն ապ տեռուլութեցն. ծցրկն կուցը սեցա համեցին ծրանցեցն, մացրամ հիւեն պայլու զեր մուշտուլուու. այսու Յուրի ծու Շենաեց առ հա Շարմուստյան սայցայնու ոլուս վազքացաց, հռմել և ուրիշապ պայլու զարտուլ գափեցեցն ապ դաստիւ:

Ծակունցեծու! ցլին, յրտս յարտուցը լուսածարակնու, հռմ տծուուսու ծանցու սայմեցն ապ մուսուլու կապեցիւ ուղեցն մռնաֆուլցութասառ, ուսեաս կապեցու, հռմելուապ այ եմա և սոյլցեց առա այցետու. յս սուրպա Շեյեց օմերլցին. մյ գուգատ թիցուն ասետո և ուրիշու մռումենա. սայշարտուցը մաս Շեմաց դաւ- պա, հռուս հիւենու յրտու դաստիւ, մաս Շեմաց մռուլու ծո- լու, հռուս յս հիւենու սոյլեցուրու սենու դաստիւ. մռուլու հիւենս Շահուլուն և ամպուն պայլու հիւենու մամուլու Շուլցեցն, ծրանցենու յարտուցը և գամոհենուու միւրլցեցն մեռուու ամ յրտունու նարուս անդումթելն յն տապունտ սայցայտը լու, մատ անդրեատ գացուուցը յս, հաջանապ հիւենու մամու- լու մամուլու Շուլցեցն գուգատ գարգութեցն ամանց. յս յա գաձարցեցն հիւեն. ամուրում մյ ցուեռու, հռմ ցոնց հյմու և հյմու անդրեցն տա- նամունարցն ծրանցեցն ցուեռու, ցոնց գրտու յրտունու, հռմ սագաւ- յս սամփյեսարու և սամարլուցունու ցմունա առ դաստիւ և ուշուն, մաս ոյց ցայտեարու սամարյ, անդրենու այցուս և ու ոյց ոյմն յս հայուլու և մոցուրիցն դաստիւ:

Կոչեցն անդրու և ցրենուն ամ մամուլու Շուլցու գամեկալու- լու մալունու նալունունու ցրենուցեցն և մաստանց սամփյես- հռմ Շեյեցուլութեցն. մյ առ մյցուն, հռմ հիւենն ցամոհենու ունց- նուն ուսետու Յուրի ծու, հռմելու ունու վազքացաց ամ սուրպաս համ ցանշանացն գամունու մանց առ դաստիւ և ուշուն, մաս ոյց ցայտեարու սամարյ, անդրենու այցուս և ու ոյց ոյմն յս հայուլու և մոցուրիցն դաստիւ:

მახვილის ენით და სხვაფერ ვინც რამ უნდა სთქვას და ქმნას. ჩვენ გვწამს და გვიწამებია, რომ კეთილი აზრები თავისას გაიტანს, ილია ჭავჭავაძისთანა ბრწყინვალე შუქით მნათობელ ბრძენ ქართველთ უსაფუძვლოთ კი ვერავინ რას დააკლებს და საფუძვლიანის ჭრშმარიტებით კი ყოველთვის.

ეს არის კანონი მართლმსაჯულების შედევრისა, ეს არის დასკვნა კანონიერის ზნეობითის მხარეებისა, ეს არის ემბლემა კაცობრიობისა, ეს არის დევიზი ჩვენის თაობისა. ამით ვსულ-დგმულებთ ჩვენ, და მხოლოდ ჭრშმარიტის მართლ-მსაჯულების განკითხვით ვიმედოვნებთ მომავალში აღორძინებასა. ეს არის ჩვენი თავობის აზრები და ესევე იყო და არის იმ ბრწყინვალე პირის აზრებიც, რომელიც თავის სამშობლო ქვეყნის საქმეებს ახალგაზღობის დროდგან სათავეში უდგას და სამოც წლებში მისული დიდის წალილით აღჭურვილი და მაღალის მამულის-შვილობით გამსჭვალული, ქართველთა ერთობის უდიდესი შრა-ლადებელი „ჰლალადებს ქართველთა ერთობასა“.

ყ. ჭ.

294.63.55
\$ 551

6-55898

187 8. 3. 0 3. 0 6. 1 p. 9

მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 30 №-ზი.

აქ ისყიდება ყველა გამოცემანი, ვინც 10 ცალს ერთათ
რყიდის, იმას მანეთზე 30 კაპ. დააკლდება.

ფასი 20 გაზეიკვ

ისექციება და მაღა გამოვა იაკობ გოგებაშვილი